

1882

ივერია

1882

№ XII, დეკემბერი.



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1882

196

შინაარსი:

I «ივერიის» განცხადება	3
II სიხე შიგნიდამ გატეხილი, რომანი (დასასრული).	7
III ჭეინედამ (ლექსი) ი. ბაქრაძისა	63
IV ისტორიული სურათები—ქართველი ქალი (დასასრული). მღ. დიმ. ჯანაშვილისა.	64
V ისტორიული კილო თ. გრ. მარბელიანის ლექსებში (პროეტის 50 წლის იუბილეის გამო) სილოვანისა	98
VI სამზითეო (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა.	113
VII შინაური მიმოხილვა (ბ-ნ მუისნერის პროექტი)	117
VIII მანცხადებანი.	150

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი მეექვსე.

№ XII.



თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მედიკოსის ქუჩაზე.

1882

605660

Содержание

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Декабря 1882 г.

Тифлисъ

Въздвигнуто въ Тифлисъ
въ 1881 г.

განცხადება

ჭურნალის

«ი ვ ე რ ი ი ს»

გამოცემაზედ 1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

მომავალს 1883 წელს სალიტერატურო და საზოგადოებრივ ჟურნალი «ივერი» გამოვა იმავე სივრცით და პრინციპით, როგორც აქამდე გამოდიოდა. მხოლოდ რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოკლენა, რომელიც კი მოხდება ან ჩვენს ცხარეებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო ქვეყნებისაში, ჟურნალმა უუჩრადლებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვას თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხარეებიდან უფრო მეტი ადგილი ეჭირათ ჟურნალში, ვიდრე აქამდე ეჭირათ. ესაა რედაქციის ხელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხარეებიდან, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი უუჩრადლება ჟურნალში მიქცეული ექნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე თავისა-და-თავის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განყოფილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეც-

ნიერო წერილები, თეატრი და სხვ. გაჩემოებათა შესაფუძნად, რედაქციას ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათაგანი ვრცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ყურნაღს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

რედაქცია ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან, რომ წაჩსულში ყურნაღი ხშირად თავ-თავის დროზედ ვერ გამოდიოდა და შემდეგში ეცდება იგი, რომ ამ დაგვიანების მიზეზები მოსპოს, წამოდენადაც კი რედაქციაზედ არის დამოკიდებული, და ყოველი წიგნი თავისა-და-თავის თავს გამოსცეს.

«იველიაში» მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირობნი: ი. ბაქრაძე, ეკ. ბაბაშვილისა, ბ. ბაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. პრისტაევი, ბ. თუმანიშვილი, ეგ. იოსელიანი, ნ. ლომაური, ა. მოჩხუბარიძე (შაზბეგი), ა. ნანეიშვილი, თ. შორდანი. ნ. ძანანოვი, მ. შიფიანი, ბ. შიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მღ. ჯანაშვილი და სხვ.

ხელის-მოწერა ყურნაღს «იველიაზედ» მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელებს, შეუძლიან ოთხი მანათი პირველს იანვრამდე 1883 წ. შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

სოფლის მასწავლებელთ „იველია“ დაეთმობათ წელიწად-

ში ხუთ მანათად, ან სამი მანათი პირველს იანკრამდე და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883 წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თ ბ ი ლ ი ს შ ი: შავერდოვის სააგენტოში, ბუღვარზე, ალექსანდრევის ბაღთან და ნანუკოვის და ჯაბადრის სააგენტოში, ბუღვარზე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდან ათ საათამდე. რედაქცია იმუშავებს, გოლოვინის პრესპექტზედ (ბუღვარზედ), მანანოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შეძლების ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ.»

რედაქტორები ილია ჭავჭავაძე და
ი. მაჩაბელი.

რედაქციისაგან.

ვისაც ამ 1882 წლის ჟურნალის «ივერიის» ფასი ჯერ სრულად არ შემოუტანია, ვსთხოვთ გამოგზავნონ რედაქციაში ამ წლის დამლევამდე.

ცხე უიზნილა ბატეხილი.

(დასასრული *).

ნაწილი მეხუთე.

—
თავი პირველი.

ხვეული ვეფხვისა.

დიდის ტისკარმა აღმოსავლეთისკენ მშვენივრად გაშვებულ იწყო და გამოჩნდა წყნარის ჯარის ბანაკი. ერთმანეთში აჩუქდნენ-დაჩუქდნენ იყო სანულები, გრგვინ-გრგვინ უმბარები, თეთრები, სალდათები და ქალები. გაისმა ბუკის ხმა და მას თან მოჰყვა სალდათების ლანძღვა-გინება, ცხენების ჭიხვინ-ფრუტუნია.

წყნარის კარავი ბანაკის მარჯვენა მხარეს იდგა, მაგრამ თითონ წყნარს კი იქ არ გაეტარებინა ღამე. მას სად ეძინა? შუალამისას ის დადიოდა თავის ჯარის ბანაკს შორის და აძლევდა ბძანებას; აი ეს-ეს არის აქ იყო, ნახევარ საათის შემდეგ კი სადღაცა ჭქრებოდა.

ის წამოისხამდა ხელმე თავის სალდათის მანტიას, იმის-

*) «ივერია» № 11, 1882 წ.

ვე ქუდს იხუცავდა და სადღაც მიმამულს ადგილას იძინებდა, რომ აწავის ეზოვნა იგი და აწ ეცნო.

აი კიდევ მოვიდა წმინდასი თავის კანკაში, ჯანის უფროსები და აფიცრები გარ-შემოეხვივნენ და იწყეს ჩაის სმა.

კანკავის შუაში იდგა სტოლი, რომელზედაც ბევრი ქალაქლები ეწყო. სტოლის გარშემო სამი მწერალი იჯდა; აქვე იყო ენკლავი კორკაღანი, რომელსაც ხელში ბევრი ქალაქლები ეჭირა.

წმინდასი დანახვად უკვლანი ფეხზედ წამოდგნენ. ადმადგინებულმა თავის მანტიას და ქუდი კრატზედ დააწყო და ბოლოთის ცემას მოჭყვას. მწერლები და ადიუტანტები ფეხზედ იდგნენ და წმინდასი კი მათ უურადლებას აწ აქცევდა.

სადათმა წმინდასს ჩაი მოაწოვა და იმანაც მხოლოდ მაშინ უთხრა ფეხზე მდგომებს ღიმილით:

— დასხედით.

ისინი დასხდნენ,

მერე მიუბრუნდა კორკაღანს და გაკვირვებით ჭკითხა:

— თქვენც აქა ხართ?

— დიაღ, თქვენო მალაღ-აღმატებულეზაგ.

— წოდის მოხუდით?

— ამ ერთის საათის წინად.

— რა ამბავია ქალაქში?

— მშვიდობა თქვენო მალაღ-აღმატებულეზაგ.

— კმაყოფილნი არიან?

— დიაღ, ბატონო.

— ვიქტორიკა რაგორღა არის?

— გუშინ საღამოზედ ვიყავ იმასთან; კარგად არის.

— რაღა კიდევა ნახო, ჩემს მაგიერად მოიკითხე. გუშინ ის

აქ არ იყო და მეშინოდა ხომ არ მოკვდა მეტეი. ის რეკონი დონ-თელოპეც ნახეთ?

— დიად, თქვენო მალა-აღმატებულებავ.

— ვინ იცის შიშითა განკალაბს?... ახლას აქ რაღა ამბავია?

— ამ რჩის საათის წინად ეს ქალაქები მივიღეთ.

— ახა აქ მომეცით.

რეზასმა გახსნა პაკეტები, გადასცა მწერალს და უთხრა წაეკითხნა.

იმან წაიკითხა შემდეგი:

«ბატონს დონ ხუან-მანუელ დე-რეზასს

ბანაკი. აგვისტოს 8-ს 1840 წ.

«დიდად პატრივ-ცემულო გუბერნატორო და გენერალო!

«ამ თვის ხუთს მივიღე თქვენი წერილები, რომელთაგანაც ვსტან, რომ თქვენ მოგწონებიათ ჩემი აზრი შესახებ სალდათების ჩაქმისა, თეთების დარბევისა და სხვ. და სხვ.»

— კარგი, კარგი. ახა ახლას სხვა წაიკითხეთ. ეს ვისგან არის?

— დონ ვისენტე დონზალეცისგან. ის იწერება აჯანყებულების მოძრაობაზედ...

— მე შენ მაგას არა გკითხავ, შენ წაიკითხე.

— «ლავალეს აჯანყებულების მოძრაობა 30-ს და 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს.»

— თვითონ აჯანყებულების მოძრაობაზედ წაიკითხე.

— 30-ს ჩიტხვს...

— რომელ თვეს?

— აგვისტოს, რეგულარულ უკვე წინად მოგახსენეთ, მიუგო მწერალმა.

— ურიგო არ იქნება, გამეორება, გამიგონე შენ ეი, მი-

უბრუნდა წმინდასი მუცლე მწერალს, — მოგონე ამ კიბს, რომ მუცლის უნიტარების მოძრაობა ნამდვილად აღნიშნოს ხელ-
მე...

— რომ ჩიტხვები აღნიშნოს ხელმე, არა ბატონო?

— რა ზეგონი რამა ხარ... ჭო, ჭო, ჭო, წმინდა გეუბ-
ნებიან, ისე მოქცეით. წაიკითხე.

პირველმა მწერალმა განაცხადო.

«30-ს დღის ცხრა საათზე დაიძინენ მუცლი უნიტარ-
ები თავის ადგილიდან და მივიდნენ ლუხანსთან, სადაც და-
იხანაკეს საღამოზე. «31-ს: ავანაკმა ლავალემ დასტოვა ლუ-
ხანში სურსათის ურემები და არტილერიის ნაწილი, თვითონ
კი მსუბუქი ზარბაზნები წაიღო.

„1-ს ჩიტხვს ლავალე თავის ადგილიდან არ დაძრულა.

„2-ს ჩიტხვს უნიტარებმა წინ წამოიწიეს.

«ცოტა ხნის უკან ისევ შედგნენ.

«მეექვსე საათზე უნიტარები დაუახლოვდნენ რამიერის
ჯარებს და დაუწყეს სროლა.»

— სხვა აღწათურო?

— აბა ახლა სხვა წაიკითხე.

მწერალმა წაიკითხა შემდეგი:

მონტეკიდო, 1 სექტემბერს 1840 წ.

თქვენო მალაღ-აღმატებულებავ.

«აქ მუცლი უნიტარების შორის სრული უთანხმოებაა:
ერთნი ლანძღავენ ლავალეს, რომ ისე ჩქარა არ მოქმედებს,
წმინდა იმათ უნდათ, სხვები კი...

— აბა ერთი ნახე, კარკაღან, ეს რა ხმაურება ისმის. ან
არა, შენ აქ იყავ: შენ ეი, აბა წადი, გაიგე, რა ამბავია, უთ-
ხრა წმინდასი სალდათს, რომელმაც ჩაი მოაწოვა.

საღდათი გავიდა; კოჩკასანი და მწერლები ხმა-გაკმენ-
დილნი იდგნენ.

— განაგრძე კითხვა, უთხრა კოჩკასმა მწერალს.

«ერთნი აგინებენ ჯავალებს...»

— ეგ ხომ წაიკითხე, ტუტუტი ნუ ხარ და.

მწერალი გაუვითლდა და განაგრძო:

«სხვანი კი ამბობენ, რომ ის წინ აღარ უნდა წავიდეს,
ვიდრე...»

— რა იყო? ჭკითხა კოჩკასმა დაბრუნებულს საღდათს.

— არატყვი, ბატონო.

— როგორ თუ არატყვი?

— ვილაც მოსულა და ხატავულებს ჭყიდის, ჩვენები კი ამ-
ბობენ რომ ეს ჯავალებს ჯაშუში არისო.

— განა არ იცინა, საიღამაც მოვიდა?

— რა ვიცი, ბატონო, ვგონებ კი ჯავალებსაგან არის გა-
მოგზავნილი.

— კარგი, უთხარ საღდათებს, როგორც უნდათ ისე მო-
ქცნენ.

საღდათი გავიდა. კოჩკასმა მწერალს უთხრა, — კითხვა
განეგრძო.

«ვიდრე არ დაწმუნდება, რომ მოქალაქენი იმას მიე-
მხრობიან. უახლმა ჯავალებმა ესაა აღარ იცის რა ჭქნას: უკვლავ
ჩხუკას აძლევს და არ იცის ვის დაუჯეროს. რაც შეეხება რი-
ვერს...»

მწერალმა უეცრად შესწყვიტა კითხვა, როცა მოისმა ტი-
რილისა და კედლების ხმა კოჩკასის კარავის გარედამ: იმისი
ერთგულნი ჭკლავდენ საწყალ ხატავულების გამყიდველს და ხა-
რობდენ იმის სისხლის დანახვაზედ.

ეს უბედური კაცი სამოც-და-ათის წლისა იყო, სახელად ერქვა ანტონიო კალვინო. ის ყოველთვის სხვა-და-სხვა საჭმელებს ჭყიდდა, მაგრამ ესლა კი ბედმა უღალატა.

— განაგრძე კითხვა, უთხრა რაზასმა ცივად.

...«ჩიკასს, იმას აზრადაც არ მოსდის მათი შუკლავით უნდა იმითი დაღუბვა, იმიტომ კი არა, რომ თვითონაც მუწალი უნიტარნი არ იყოს, არამედ იმისთვის რომ ერთმანეთში ვერ მოერიგებულან.

„განდებილები აქ ყოველ-დღე მოდიან. ყოველივე ღონისძიება უნდა იხმარეთ, რომ იმათ გზა და კვალი შეუკრათ.

«ათი თუმანი, კისგანაც უნდა მიიმელო, მივიღე.

«ღმერთსა ვსთხოვ თქვენს კარგად ყოფნას.

— სხვა არაფერია.

— გაძიგონე, უთხრა რაზასმა კოჩკალანს, რომც ქალაქში წახვიდე, კუიტინოს უთხარი რომ გაუთხილდეს, თორემ უნიტარები მონტევიდეოში იზარებიან-თქო. მასა კიდევ არ მოსულა? ჭკითხა რაზასმა სალდათს.

— გახლათ.

— უთხარი, ხედთან შემოვიდეს.

ერთის წამის შემდეგ შემოვიდა მარინო მასა, უფროსი ზღვის ჯარებისა, რომელიც რაზასის ყველა ბოროტ-მოქმედებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. რაზასმა ჭკითხა მას:

— აქ არიან გუშინ დაჭერილი ტყვეები?

— აქ არიან, ბატონო.

— რამდენნი არიან?

— ოთხნი, თქვენო მალაღ-აღმატებულებაკ.

— ოთხნივ დახვრიტეთ.

მასამ დაუკრა თავი და გაკიდა გაჩეთ: წაშასი კი მი-
უბრუნდა და უთხრა კოჩკაჯანს:

— ახლა კი შეგიძლიანთ ქალაქში წახვიდეთ.

კოჩკაჯანი შეჟდა ცხენზედ და წავიდა.

წაშასმა დაიწყო ბოლოთის ცემა. ამ დროს ეს კაცი სულ
ხალხის ხოცვასა და სისხლის დაღვრასზედ ჭფიქრობდა. ის ად-
გუნდა სხვა-და-სხვა პლანებს ხალხის დასახოცად, რომ იმით
სისხლს ბუნდოს-აიჩუის ქუჩებში ჩუსავით ედინა.

თავი მეორე.

გაბრაზებული პილადი.

ჭაბუკი დანიელ ბელო სულზედ იყო გადაწოლილი და
კითხულობდა მარინოს «საკაჭრო გაზეთს», ამ დროს ქაქა-
ნითა. და ქშენით შემოვარდა იმასთან დონ-ფელიზე კანდინო,
ჩანას სეკრეტარი.

— დანიელ!

— ბატონო?

— დანიელ! დანიელ!

— ბატონო! ბატონო!

— ვიდუბებით.

— ვიცი.

— იცი და არა გკშველი!!

— მაგის მეტზედ სხვაზე რაზე ვფიქრობ!

— კელარ, დანიელ, კელარ... კელარ მოვასწრობთ.

— უფრო კარგი.

— რაგონი თუ უფრო კარგი?! ჭკითხა დონ-კანდინი, გა-
სჭყიტა თვალები და დაჯდა დანიელის გვერდით დივანზედ.

— მე იმას ვამბობ, რომ ამისთანა გაჭირვებულს დროს
კაცმა ერთხანად მოუღონს თავის-თავს ბოლო ისა სჯობიან.

— დიაღ, სახელოვნად კი მოუღონს, ანა?

— თუ უხეიროდ.

— რაგონი თუ უხეიროდ?

— სახელოვნად, თუ უხეიროდ,—ჩემის აზრით შიშით სი-
ცოცხლეს სიკვდილი სჯობიან.

— რისა უნდა გვეშინოდეს?

— იმისი, რომ თავებს დაგვჭრიან.

— შენა და შენისთანა მასშობოტებს გინდა თავები დას-
ჭრან, გინდა რაც უნდა უყონ. მე კი, ბატონო დანიელ,
სამაგისო ანა დამიშაგებია-რა და დრო ანის ჩვენ შორის ყო-
ველივე კავშირი მოისპონს. მე სულითა ზ გულით თანა-გუგრ-
ძნობ ადამადგინებულს და დონ თვლივს, მე მინდა...

— შენ გინდოდა გაქცეულიყავ, ბატონო დონ-კანდინო.

— მე?

— დიაღ, შენ, და მაგის მომქმედს კაცს თვლივს სიკვდი-
ლითა სჯობს.

— მეც რითი მტკიცდება ეგა?

— ბატონო დონ-კანდინო, შენ რაგონიც გეტყობა ჩამოღ-
ჩნობა გინდა.

— მეც?

— მე მხოლოდ მინდა გამაგებინო, ვინ გინდა რომ ჩამო-
გაღჩნოს—როზასმა თუ ლავალემ. თუ როზასმა, მაგას ეხ-
ლავე აგისწულებ, მხოლოდ პოლონური სოლომანთან წასვლა
დამჭირდება; თუ ლავალემ და ერთი-ორი დღეც მოიტანე, ვიდ-

რე ჯაკალე აქ მოვიდოდეს და იმასთანაც გაგიჩივებ ჩამოღ-
ჩრობას.

— მას შე რჩივე შემთხვევაში მომკლამენ?

— გი არ მოგკლამენ, — ჩამოგაღჩრობენ, თუ სულელურს
ჯაჰაჩაკს არ მოიშლი.

— გამიგონე, დანიელ, ჩემო შვილო, განა შენ ჩემს პიჩი-
სახეს ვერა ხედავ?

— ვხედავ, ბატონო.

— მე რე რას მატყობ?

— შიშსა.

— არა, არამც თუ შიშს, არამედ ურწმუნობასაც ხალხისადმი.
ეს არის შედეგი იმ საშინელ შთაბეჭდილებათა, რომელნიც ამ
სტრატა ხანში გამოვცადე.

— რაო, რას ამბობ?

— რაც ბატონ გუბერნატორისგან გამოვედი — მას აქეთ
აქამდის რაჯერ შევხვდი იმ ხალხს, რომელნიც ჭკვანან...

— რასა?

— ეშმაკებს, კაცის ტანისამოსით.

— თუ მასკებთან ეშმაკებს, — არა?

— ღმერთო რასა ჭკვანან, რა საზარელის შეხედულობისანი
არიან!... განსაკუთრებით იმათი ხანჯლები. ერთი იმათგანი მე
ვიცო რადისმე გამომთვასკავს, — არა? რაგორც ჭფიქრობ, და-
ნიელ?

— არა მგონია. მე რე რა დაგიშავებია?

— არათუერი, სრულად არათუერი. მაგრამ წარმოიდგინე, რომ
მე იმათ სხვა ვინმე ვეგონო და...

— ეჭ, კარგი, თუ ღმერთი გწამს, თავი დავანებოთ მაგას.

შენ ხომ აწანასგან იმ განზრახვით წამოხვედი, რომ ჩემთან მოსულიყავ?

— დიაღ, დანიელ.

— მაშასადამე, ახალს ამბავს შემატყუებინებ ჩასმე.

— დიაღ.

— ახა ჩასა, ჩემო მეგობარო?

— ანტ ანათერო ვიცი და ვეწუ ანაკურს შეგატყუებინებ.

მე აღარ მინდა პოლიტიკაში გარევა.

— მაშ შენ გინდოდა საიდუმლო ამბავი გეამბნა ჩამე ჩემთვის?

— მე ეგ სურვილი არა მქონია.

— გინდა დაგენამლეკები, რომ შენის სურთუკის ჯიბეში ეხლა საგულისხმო ქაღალდი ძევს.

— მე ანათერო არა მაქვს-რა.

— იმასედაც დაგენამლეკები, რომ რადესაც აქედამ გახვალ და შეხვდები რომელსამე თედერას, რომელიც შეტყუბას მინდობებს, იარაღს ხომ არ ატარებ, მაშინ ადვილად იზოგის შენს ჯიბეში ქაღალდს, და იმ ქაღალდის გამო ჩასაყვასად არ დაგინდობს.

— დანიელ!...

— თუ შეიძლებოდეს, ბატონო, ჩამახარე ის ქაღალდები...

— ერთის პირობით.

— ახა რა პირობით?

— შენ აღარ უნდა მთხოვო, რომ კვლავაც ქაღალდები მოგიტანო.

— უფრო ცუდი თქვენთვის; რთხი დღე ანტ კი გაიკლის, რომ ჯაკალე შემოვა ბუენოს-აირესში.

— განა შენ იმას არ შეატყუებინებ რა ღვაწლიც დაკვდე თავისუფლებისათვის?

— ანა, თუ ქაღალდებს აღარ მომიტანთ.

— მაშ შენ დარწმუნებული ხარ, რომ ლაკალე უსათუოდ მოვა?

— მაშ რას იზამს.

— ჩვენში კი დარჩეს და მეც აგრე ვთვლიყავ. აჰა და წაიკითხე.

დანიელმა გაშალა დონ-კანდინოსგან მოტანილი ქაღალდი და წაიკითხა:

«მებრძოლი ჯარი.

29 აგვისტოს, 1840 წ.

«ბატონს დონ-ხუან გამელინოს, სან-პედროს გომენდანტს.


«გულთადის სიხარულით გაუწეებთ, თქვენის ქვეშევრდომების შესატყობინებლად, რომ ჩამივარდა ხელში რაზასთან გასაგზავნი ქაღალდები, საიდანაც სჩანს, რომ ხალხი ჩვენს სამართლიანს საქმეს თანაუგრძობს. მრავალი მარტები გადაუდგნენ რაზასს და უარს უცხადებენ შემწეობის მიცემისას.

«ისიც გავიგე, რომ მაგდალინის მილიცია წინააღმდეგ თავის უფროსებს იმ დროს, როდესაც უბრძანეს შეერთებულად ჯარს. თავისუფლების საქმე ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის, უკელა ეს ამბავი შესატყობინეთ თქვენს ქვეშევრდომებს; თავისუფლების ჯარი ანა საჭიროებს სიძრუეს, რომლითაც მტარვალნი რაზასი ცდილობს დამალოს თავის გაჭირვებული მდგომარეობა.

«ღმერთი იყოს თქვენი მოაზრებელი!

«ხუან ლაკალე.»

— ახლა რას იტყვი ამხედ? ჰკითხა დონ-კანდინომ დანიელს, როდესაც იმან კითხვა გაათავა.



უმაწვილმა კაცმა ჰასუსი არ გასცა.

— მოდიან ჩვენთან, დანიელ, მოდიან.

— არა, ბატონო, მიდიან, მიუგო მოწყენით დანიელმა.

— რას ამბობ, დანიელ, ჭკუაზედ მოდი.

— მე კი არა, ისინი არ არიან ჭკუაზედ მოსულები, რომელიც სოფლის მარტებზედ' ფიქრობენ და ქალაქს ბუენოს-აირესს კი თავს ანებებენ. რაღაც უბედური ბუდი სდევს თავისუფლების დასსა და მათთან ერთად სამშობლოსაც!... სთქვა სიმწარით უმაწვილმა კაცმა. დონ-კანდინო კი გაკვირვებული უცქეროდა მას.

— მაშ ჩვენ, ფედერალებს, მარტალი გვითქვამს...

— რომ უნიტარები არ ვარგანან, — მაგას სრულიად მარტალს ამბობ.

ამ დროს მოიპოვა კარების ჩახუნი. დონ-კანდინო შეჭკრთა. დანიელმა დაივიწყო მღელვარება და მხიარული სახე მიიღო.

ამ დროს კარებში შემოვიდა ქალი ფედერაციის დიდის ბანტით. იმის ფარჩის კაბას ისეთი შრიალი გაჭქონდა, რომ გეგონებოდა შხალიერი აცვიანო.

— უჭ!.. ამოიხვნეშა დონ-კანდინომ.

— მობძანდით, ბატონო მარსელინა, — უთხრა დანიელმა.

— ოჭ, თქვენა ყოფილხართ, ბატონებო!

— დიაღ, ჩვენა ვართ.

— ორესტი და პილადი.

— სწორედ ეგენი.

— აი ეს პილადი, სთქვა დონა მარსელინამ და წაჭკრა დონ-კანდინოს თითი.

— ბატონო, თქვენ ბორცოტი დედა-კაცი ბძანდებით, მიუგო მან და ჩამოეცალა,

— „დახედე შენსა ბოროტსა და ამაყსა გულსა,
«იგი არა გრძნობს მეგობრობას და სიყვარულსა.

— რა, ნეტა არ იქნება სულაც ჩვინისა ვიყო... უთხრა
მხვრით დონ-კანდინომ.

— განსაკუთრებით კისერი გქონდეს ჩვინისა, არა ჩემო მე-
გობარო, უთხრა დანიელმა.

— რა არის? ამ პილადს თავის მოჭრა ხომ არ მოეღის?...

— მე გთხროთ, ბატონო, მაგისტანსა სიტყვებს თავი დას-
ნებოთ. მე უნიტარი არცა ვარ და არცა კულოფილვარ, — გეს-
მით თუ არა.

— დიდი რამ კია შენი თავი!

— ეგ იმასკა დამოკიდებულა, ვისი თავია; თუ შენია არა-
ფერია, მაგრამ ჩემი კი...

— შენი გოგრა რაღაა. ანტონიოს და ციტერონის თავები
არ იყო, რომ კაპიტოლში ხალხს აჩვენებდენ.

— დანიელ, ეს დედა-პატი თუ ეშმაკის ნათლი-დედა არ
იყოს, ღმერთი გამიწერეს... ეს ან ეშმაკია და ან ეშმაკის ქა-
ლი. ყოველთვის, როდესაც კი ამის სახლისკენ წავსულვაროთ,
უსათუოდ უბედურება რამ შეგვმთხვევია. როგორც შენი უწინ-
დელი მასწავლებელი, როგორც შენი ძველი მეგობარი, გთხრო,
ეს ქალი აქედამ გაგდო...

— „კითხა აძლეკ შენს მზაკვარს ენას ნებას,
«რომ შეურაცხ-ყოფს მშვენიერსა ქმნილებას.

— მშვენიერი ქმნილება?! დამიხედე მშვენიერს ქმნილებას!?!
ღ დონ-კანდინომ ზიზღით გაიშვირა ხელი დონს მარსელინასკენ.

— ბატონო დანიელ, ეს რას ნიშნავს?

— კისერში წაჭკარ მაგას, დანიელ.

«ეს რა ადგილს მომაგდო შავმა ბედმა!...

— ეგ იმას ნიშნავს, რომ პატივ-ცემული ბატონი ცოტა გაჯავრებულია, უთხრა დანიელმა მარსელისას ზ სიცილს ძლიერი იმპრეზია.

— ამას მე ვკვებ ინგლისის ლიტერატურის მეტი არა შეუსწავლია-რა, უთხრა სტუმარმა ქალმა და ზიზღით შეჭხკდა დონ-კანდინოს. ამას რომ ჩემსავით შეესწავლა ბერძნული და ლათინური პოეტები, მაშინ ასე გაუთლელი აღარ იქნებოდა.

— ვაი შე საცოდავო, ვითომ და იცი ბერძნული და ლათინური.

— არა, მაგრამ იმათი მიმართულება კი ვიცი.

— შენა?!

— მე, მე, საწყალო და საბრალო.

— დანიელ, თუ ღმერთი გწამს გააკდე ეს დედა-კაცი, თორემ მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან.

— არ ვიცი ღმერთმანი, დანიელ, თქვენისთანა ჭკვიანი კაცი ამისთანა ტუტუტს როგორ დამეგობრებია... მაგრამ სჯობს შევრიგდეთ და თანხმობით ერთად ვიცხვართ და ერთადვე დავიხრცოთ. აი ჩემი ხელი. დონა მარსელისა მივიდა დონ-კანდინოსთან.

— თავი დამანებე! უთხრა დონ-კანდინომ და უკან დაიწია.

— დაიფიცე ამ ტრაპეზის წინაშე, რომ ჩემთან ერთად გადაარჩენ რომს დაღუპვისაგან!

— თავი დამანებე მეტე, გუბნები.

— დონა მარსელისა, უთხრა დანიელმა, რა ვეღარ შეიძლო სიცილის შემავრება, — თქვენ ხომ იმიტომ მოსულხართ, რომ მოძულავხარკოთ რაზედმე, მაშ მობძანდით ჩემს კაბინეტში.

— «მე მოვსულვარ გაცნობოთ ნება ცისა,
«და გიჩვენოთ თქვენ გზა იმა სოფლისა...»

— ასეთ ალაგასაც წასუფხარ, რომ ველარ მოხვიდე, წაი-
ბუტბუტა დონ-კანდინამ, რომესაც მარსელისა დანიელის კა-
ბინეთში შედიოდა.

— დუღლასი მოვიდა, უთხრა მარსელისამ, რომესაც კაბი-
ნეთში შევიდა.

— რომდის?

— დღეს დილით.

— იქიდან რომდისა წამოსულა?

— ამ სამის დღის წინად. აი წერილი.

დანიელმა წაიკითხა მარსელისას მოტანილი წერილი და
ცოტა არ იყოს, ჩაფიქრდა. ეს ქალი, რომელმაც ვიციით, და-
ნიელის ერთი ჯამუშთაგანი იყო.

— სამ საათამდის არ შევიძლიან დუღლასი ნახო?

— რატომ.

— უთხარი რომ დასამუბამდის უსათუოდ მნახოს,

— კარგი, ვეტივი.

— ოთხიდან ხუთ საათამდის მოკუცდი,

— კარგი.

— უსათუოდ მაღე კი შეატყობინე.

— ესლავე, რომელმაც ჩიტი, ისე ვაკოვრინდები.

— არა, ჩვეულებრივის სიარულით წადი, თორემ ჩქარა მო-
სიარულეს ეჭვიანის თვალით უყურებენ. მაშ ნახვამდის, დონა
მარსელისა.

— ღმერთი იყოს შენი მოვარკული, დანიელ.

რომესაც მარსელისა წაღის გვერდით ოთახში შევიდა,
დანიელიც მერე ოთახში შევიდა და ახლად მიღებული წერი-
ლიც თან შეიტანა.

დონ-კანდინო წალაში დასეიწნობდა, რომესაც მარსე-

ღინა დაბრუნდა უკან. დონ-კანდინომ მას ზურგი შეაქცია.

ღონა მარსელის მივიდა დონ-კანდინოსთან, დააწყო მხრებზედ ხელები და უთხრა:

— გაეტე შენზე ძლიერ გაჯავრებულა, რადგან შენ მას გეუტრუდას გული წაართვი.

იოსაფატის საყვირის ხმა ისე ძლიერ აწ იმოქმედებდა ხალხზედ, როგორც იმოქმედა დონ-კანდინოზედ გაეტეს ხსენებამ.

— თქვენ სწორედ გიყუბის სახლში ჩასასმელი ხართ, ქალბატონო. გეუბნებით თავი დამანებეთ მეთქი.

— შენი გველური გული უსათუოდ ხანჯლით გაიგმირებს.

— ღმერთო ჩემო!! დანიელ!

— გაიგმინდე ხმა!

— აწ გაიგმინდაკ... ვინა ხართ, მიშველეთ!!

დონ-კანდინოს ყვირილზედ დანიელ შევიდა და ჭკითხა:

— ვინა ყვიროდა, რა ამბავია!

— ეს ქალბატონი, გაეტეს ჯაშუში, აწ მანებებს თავს.

— თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმიდით, ცოტა ხანს მაინც.

დანიელ წავიდა ისეკ თავის საწოლს ოთახში, სადაც დოქტორი ალკორტა და ედუარდო დიდი ხანია ისხდენ.

როდესაც მათთან პირველად შევიდა, დანიელმა უთხრა დოქტორ ალკორტას:

— აი რა წერილი მივიღე.

დოქტორმა ალკორტამ აიღო ქაღალდი და წაიკითხა შემდეგი:

«პარიჟი, 11 ივლისს, 1840 წ.

«ვიცე-ადმიწაღის ბოღენის მაგივრად ლა-პლატზე მომქმედ სამხედრო გემების უფროსად დანიშნა ვიცე-ადმიწაღი მაკო, რომელიც ძალიან წამოვა მანდეთკენ.

«მაგო ძლიერ გულადი ვაჟ-კაცია. ეს ჯერ ჩვიდმეტის წლისა იყო, როდესაც ინგლისის გემებთან ბრძოლაში ისახელა თავი და იქამდის მიიყვანა ინგლისის გემების უფროსი, რომ სირცხვილს კვლავ გაუძლო და თავი მოიკლა.»

«დაკშობი თქვენი კეთილის მამურობე და სხვ. და სხვ. — დიაღ, ჩემო მეგობრობო, ყველაფერი იმედს გვაძლევს, რომ ეს მდგომარეობა მალე გათავდება.»

— მეცე როგორ გათავდება, კარგად თუ ავად?

— ვერ შეიტყე, დანიელ, რომ ჩვენი ქომავლები მოდიან.

— ძლიერ გვიან მოგვინ და ცუდადაც სჩადის, ვინც ლავა-ლეს აწმუნებს, მოუცადოს ამ ქომავლებს და მათ მოსკლამდის ანათერი საქმე არ დაიწყოს. იქნება საფრანგეთის სამხედრო გემები მოვიდნენ, მაგრამ როზასი იმათ მოუჩივდება და ჩვენ კი მშრალზედ დავრჩებით.

— ეგ საფრანგეთის მხრივ უსინდისობა იქნება! შეეყვინა ედუარდომ.

— ეჰ, ჩემო კარგო, პოლიტიკურს საქმეებში სინდისს რა ხელი აქვს.

— მართლა კი უჩივვენ ლავალეს ფრანცუზების მოსკლამდის მოიცადოს? ჰკითხა დოქტორმა ალკორტამ.

— დიაღ, აგრე უჩივვენ ანტინეტები, რომელთაც მარტო დიდის ჯარის იმედი აქვსთ.

— ოჰ, მე რომ ლავალე ვიყო! სთქვა ედუარდომ.

— შენ რომ ლავალე ყოფილიყავ, აქამდის ჭკუაზე შესტდობოდი. გენერალს ყველასფერში ხელს უცარავენ. ზოგნი უჩივვენ მოცდას, ზოგნი კი მოქმედებას. ამისთვის გენერალმა აღარ იცის რა ჰქმნას. როზასი ამით სარგებლობს და თანდათან აძლიერებს თავის ჯარებს.

— საუბედუროდ უკვლავ მაგას მართლაც ამბობ, — უთხრის დოქტორმა ალკორტამ, — ეს ხალხი აიტანს რეზასის უკვლავ უსამართლობას, ამისთვის რომ პირველადვე იმის წინაშე ქედოი მოუდრეკია.

— დიაღ, ბატონო, ხალხი თვითონ არის დამნაშავე რეზასის მტარვალობისა, ამისთვის რომ იგი წინ კვლავ აღუდგა რეზასს.

— უკვლავ ებ ხომ თქვენი მოსაზრებაა და სხვა არაფერი? შენიშნა ედუარდომ, — დღევანდლამდის თავისუფლების ჯარი წინ მოდის და აქ შემოვა ხვალ ან უკე. სინამ გი ჩვენს მეგობარს ჩვენგან შედგენილი კერძო პლანი მოსწონს, — ასე არ არის?

— დიაღ, მეც აგრე მგონია, სთქვას ალკორტამ, რომელი-სადმისაც იყო მიქცეული ეს ვით, ვა ედუარდოსაგან.

— შენ ჩვენი ორივეს არჩი უნდა შეგეტყუებინებინა, უთხრის დანიელმა.

— მე უკვლავფერი ვიცი. პირველში გი ვეჭობ.

— არა, ბატონო, საუკეთესო არაფერია. მართლაც, ჩვენ ცოტანი ვართ; ძლივს თხუთმეტმა კაცმა მოვიგრიბეთ თავი, მაგრამ ვაჟ-კაცობა გი არ გვაკლია. ოღონდ გენერალის შემოვიდეს და მეგრე ჩვენ ვიციით. თუ რომ გენერალი ერთი ოც-დახუთ კაცსაც მომცემს, მაშინ ჯარის უკან დაწევასში პასუხისმგებელი მე ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ ეს უკან დაწევა საჭირო იქნება.

— მეგრე იარაღი?

— მე მზადა მაქვს ორმოც-და-ექვსი თოფი და სამი ათასი პატრონი.

— მეგრე რა იყოს ბრძოლის ნიშანი?

— დეე ბრძოლის დაწყობამდის გენერალმა შემატყუებინოს.

— მეტე შეიძლება იმასთან მისვლა-მოსვლა?

— ძალიან კარგად.

— მაშ შენი მეტე აზრი უფრო მომწონს, ამისთვის რომ შენთვის საჭიროა დაანებო თავი შენს შინაურს საქმეებს. მხლელად მაშინებს ის დრო, როდესაც გზას გაუდგებით.

— მანდ საშიში არათუ არის, დოქტორო. მე დაკვირვებულ ხედი ვაშუში, რომ გაკვირვებულ წერილი გემების უფროსთან. იმ წერილში ვწერ, რომ ერთი სამხედრო ნაპირი გამოვიგზავნოს.

— კარგად მოგიფიქრებია.

— ამასთანავე ვსწერ, რომ თვითონვე დამინიშნოს წასვლის დრო და ადგილი.

— მეტე ამ მოგზაურობას დიუბასკეს ქალი აიტანს?

— მე ვგონებ, რომ აიტანს. ის რა კვირასაც კვლავ გასძლებს ბუენოს-აირესში.

— ნამდვილად გი განუზრახავს აქედამ წასვლა, ჰკითხა ედუარდომ.

— გუშინ საღამოზედ ნამდვილი პირობა დამიდო, მიუგო დანიელმა.

— ეხლა მოუთმენელად მოელოს აქედამ წასვლას, დაუმატა ექიმმა ალკორტამ, — და თანხმაც არის, რომ დანიელ აქ დარჩეს. იმას შენ ისე უყვარხარ, ხელო მეგობარო, როგორც თავისი შვილი.

— ნამდვილი შვილიც ვიქნები, და თუ იმის შვილი ვერა ვხდები დღეს და ხვალ, ეს იმისთვის, რომ იმას თვითონ არ უნდა. როგორც უკვლავ მგონობიერი ქალი; ისიც ცრუ-მოწმუნება და ამისთანა სამწუხარო დროს ქორწილის გადახდისა ეშინიან.

— დიაღ, დიაღ, იქნება ასე უფრო კარგი იყოს. ვინ იცის

უკვლავ ჩვენ რა ბედი მოგველის!... ქალები მაინც უნდა გადა-
კარხინოთ, — დაუმატა დოქტორმა ალკოტამ.

— ჩემს ტურფას ვი ვერ დაკიულავებთ, ბატონო... იმის
დაწმენება არას გზით არ შეიძლება.

— თვით ბელგრანოც ვერ დააწმენებს?

— ვერა, ბატონო, მიუგო ედუარდომ, რომელსაც ალკოტ-
ტას ამ კითხვასზედ გული შეუფანტქალდა.

— ესეა რაი საათია, ჩემო მეგობარო. მეგონია თქვენ
დღესვე უნდა შეუდგეთ წასვლის საქმეს?

— დიაღ, ბატონო, ამაღამ უკვლავვეს შევამზადებთ.

— გაფრთხილდით ვი, ჩემო მეგობარებო.

— დიუპასკეს ქალის სახლში ეს უკანასკნელად მივდივართ,
სთქვა ედუარდომ. — რომელიც ვი იმას გაკისტუმრებთ, იმის
სახლი დატარიელდება.

— მას სვალამდის მშვიდობით.

— მშვიდობით, ბატონო.

— სვალამდის, ჩემო მეგობარო.

უმწვილი კაცები გადაეხვივნენ თავიანთ უწინდელს ფი-
ლოსოფიის მასწავლებელს, რომელიც დანიელმა კარეთ კარე-
ბამდის გაატყდა.

თავი მესამე.

კაცების გამპარებელი

როგორც ვი ეჭიმი ალკოტტა წავიდა, მაშინვე დანიე-
ლის კაბინეთიდან მოისმა კარების ბრახუნი.

— მოითმინე, უთხრა დანიელმა ედუარდოს, და წავიდა თავის კაბინეთისკენ. იმას აკვირებდა კარების ჩახუნი, ჩადგანაც იმის დაუკითხავად აჩაკის არ შეეძლო იმის სახლში შესვლა.

— რა, ეს შენა უფიქრებარ, ჩემო მასწავლებლო! სთქვა დანიელმა, რომდესაც დონ-კანდინო დაინახა.

— დიაღ, მე ვარ დანიელ, — მომიტევე გეთაყვა, ჩადგანაც დაიგვიანე, მე ასე მეგონა სხვა კარებიდამ გახვედი მეტეხი სახლში. მარტო დაჩხენა ვკვლავ ვკრიდები... ამისთვის რომ...

— ედუარდო!

— რა გინდა? მოსტა ხმა ედუარდომ და შემოვიდა.

— როგორ! ბეგონა აქ არის?

— დიაღ, ბატონო, მე იმისთვის ვუძახი ედუარდოს, რომ თქვენი მჭკვრ-მეტყულება გაიგოს.

— მას შემთვის ეს სახლის საშინელი განსაცდლებით უფიქრა სავსე?!

— ეგ როგორ, ჩემო მასწავლებლო?

— ეს რა ამბავია, დემეტრე, დანიელ... მე გთხოვ სიმართლე მითხრათ. მე მინდა ნამდვილად გავიგო თუ ეს რა სახლია.

— როგორ თუ რა სახლია?

— დიაღ, რა სახლია?!

— ისეთივე სახლია, როგორც ვკვლავ.

— არა, ძმაო, ხუმრობ, ისეთი არ არის. აქ უნიტრებიც იყრიებიან და ფედერაციებიც.

— ეგ როგორ, ბატონო.

— ამ ნახევარ საათის წინად აქ შემოუშვი ქალი, რომელიც ჯანაშიას იმ წყეულის მღვდლისა, ესლას კიდევ ეს ამრეკ-დამრეკი კაცი გამოიყვანე შენის საიდუმლო ოთახებიდამ. სჯობს ჩვენ შიგნის უფიქრებო კავშირი მოვსპოთ.

— რეგერ, რეგერ, ბატონო დონ-კანდინო, თქვენ ჩემს მეგობარს მასწავლებელი დაუძახეთ და ესაა გაკვეთილით კავშირი! მაგისტრის მკვასი სიტყვები მეგობართ შორის არ უნდა იხმარებოდეს.

— რაში იქნება ჩემი მეგობარი. რატომ ვატარებ იქნა და მტრადსავე უძახებ, მაშინ ჩემი მოწათვე იქნა, მაგრამ მას აქეთ...

— მას აქეთ ამას შენს სახელში მაღავედი, ჩემო მასწავლებლო.

— ჩემდა უნებურად.

— ეგ სულ ერთია.

— მაგრამ მე მაინც შენი მეგობარი არას დროს არ ვყოფილვარ, მოწყალეო ხელმწიფო...

— შენ ესაა მაგისტრის მეგობარი ხარ, ბატონო დონ-კანდინო, უთხრა დანიელმა, — შენ ხომ არანას სეკრეტარი ხარ?...

— მე რე არ არის...

— აი ესეც გენერალ ჯავახიეს სეკრეტარია.

— გენერალი ჯავახიეს სეკრეტარი!... და მე მეუბნებიან!

კარების რახუნმა გააწყვეტინა მათ ჯავახიეს და იმ დროს, რადესაც მრავალ სეკრეტარები კაბინეტში დაჩხენ, დანიელ გავიდა წაღაში და თვითონ გააღო კარები, რომ გაეგო ვინ მოსუფიყო.

— რა, ეს თქვენა ბძანდებით, ბატონო დუგლას! უთხრა დანიელმა ახლად მოსუფს.

— დიაღ, ბატონო, თქვენი მონა და მოსამსახურე განლაგართ. მე ეს-ეს არის დონა მარსელის ვნახე...

— იმან გითხრათ, რომ თქვენ ჩემთვის საჭირო ხართ?

— დიაღ, ბატონო.

— მართალია. ახა შინ მობძანდით. მონტევიდეოდაც რადის მოსუფხართ?

— ამ სამის დღის წინად.

— ვინ იცის იქ რა ამბავია?

— ყველას უნდა აქედამ გაქცევა, უთხრა ინგლისელმა მხრების აწევით.

— შენ გიხაროდეს, თულებს ბევრს ახვეტამ...

— აგრე რიგადაც არა. წარსულს თვეში სამოც-და-ორი კაცი გაკაზნა და თითო სხუთ-სხუთი თუძანი გამოვართვი.

— ეგ ცოტა არ არის.

— ცოტა არ არის, მაგრამ მეც რომ ყოველთვის საფრთხეში ვიძულავი.

— მართალია, მაგრამ ეშმაკს უფრო ადვილად დაიჭერენ, სინამ შენ.

ინგლისელმა გადაიხარხარა.

— ახა რა გითხრა, სთქვა ინგლისელმა, — მე თვითონაც მინდა, ერთხელ რადისმე შემხვდნენ გზაში, მინდა გავიგო მათი გაყ-კაცობა, მაგრამ არ იქნა არ შემხვდნენ. ესპანიაში თამბაქოს ვაზარებდი, და აქ გი კაცებს ვაზარებ.

ინგლისელმა კიდევ გაიხარხარა.

— მე კიდევ დამჭირდა თქვენი თავი, ბატონო დუგლას და რადესაც მონტევიდეოში მიდიოდეთ, შემატყობინეთ. რაც მონტევიდეოში გასატანებელი მაქვს, ხვალ ჩავაბარებთ. ესლას გი ეს წერილი გემზოდ წაიღეთ. ყველა ამისთვის, რადენიც გსურდეთ, ჯილდო მოითხოვეთ.

— აი ეგ მიუვარს, სთქვა ინგლისელმა ხელების ფშვნევით. ძლიერ მიუვარს ჭკვიან კაცებთან საქმის დაჭერა. ახა ახლას წერილი მიბრძეთ.

— ესლასკე, მიუგო დანიელმა და შევიდა თავის კაბინეტში.

ინგლისელი კი ანგარიშობდა თუ რამოდენა საჩუქარი გამოერთმია დანიელისთვის.

ამ საშინელ ხალხის გამაჰარებლებმა დიდი ღვაწლი დასდეს ბუენოს-აირესის უმაწვილ-კაცობას. თუმცა ისინი გაჰარებაში ფულებს ართმევდენ, მაგრამ თუ რამ ისინი არა უფილიყუნენ, ბევრი უმაწვილი კაცი მოკვდებოდა რაზასის მოსულებების ხანჯლით.

თავი მეოთხე.

გადამარჩენელი გემი.

ჩუმი, ბურუსიანი ღამე იყო: წყალი უშთოთველად მიმდინარებდა და გრილი მოსისინე ნიაკი არხეკდა მას.

შორს, ცის დასავლისკენ, აქა-იქ მოკამკამობდენ ვარსკლავნი.

ამ ღამის ათს საათზედ ერთი გემთაგანი განშორდა ნაპირებს და შევიდა შუაგულს წყალში. გემზე ერთი უმაწვილი ფრანცუზის აფიცერი იჯდა და ექვსიტ მისი მეგობარი.

ეს გემი დიდის სისწრაფით მისცურავდა, უმაწვილი აფიცერი კი იჯდა სკამზედ და დასცქეროდა ხან კარტას და ხან კომპასს. ცოტა ხნის შემდეგ აფიცერმა გასინჯა უბის საათი და მისცა გემს მიმართულება; მერე უბანა მოეხსნათ იალქნები, თვითონ კი ფარანი სკამის ქვეშ შესდგა.

ქალაქი თვალდამ გაჭქვა; მარცხნივ გამოჩნდა წყლის მერე ნაპირები. ამ დროს აფიცერმა ერთი სიტყვა უთხრა მატ-

რასს და გემიც იმავე წამსვე მარცხნივ წავიდა. ნაპირამდის ორ-
მრც-და-ათი საყენის მეტი აღარ იქნებოდა.

რაკი აქეთ-იქით ნაპირიდან არავის ხმა არ გაიგონეს,
გემი კიდევ ნაპირ-ნაპირ მიდიოდა. არ გასულა დიდი ხანი,
რომ უმაწვილმა აფიცრმა წყლის ნაპირზედ ცეცხლი დაინახა.

— ვგონებ აქ უნდა იყოს, სთქვეს გემში მჯდომთ, მაგრამ
ისე ჩუმის ხმით, რომ თავიანთი ხმა თვითონაც ძლივს ესმოდათ.
ღამის თერთმეტი საათი იყო.

იმავე ღამის შუად საათზედ თუქმინი ეკიპაჟით მივიდა
დიუპასკეს სახლთან. ცოტა ხნის შემდეგ ეკიპაჟის კიბეებზედ
ავიდა ეს უბედური დედა-კაცი გაუკითხებულად და დაუძლურე-
ბული; ამას მისდევდა იმისი ქალი თლარენსია—მშვენიერი,
როგორც პირველის სიუკარული აღთქმა, წმინდა და უზაკვე-
ლი, როგორც ახლად გათუქმნილი მანისის ვარდი.

ეკიპაჟი ციხისკენ წავიდა. აქ ეკიპაჟს წინ დაუხვდნენ ორი
მხედარი და, რაკი ეკიპაჟი იცნეს, გაჭყვნენ უკან.

უეცრად მუარე მხრიდამაც გამოჩნდა ოთხი მხედარი,
რომელნიც ეკიპაჟს უახლოვდებოდნენ. ორმა მხედარმა, რომელ-
ნიც ეკიპაჟს მისდევდნენ, მასშინვე იარაღი მოიმარჯვეს, რომ
გულადად დახვედროდნენ იმ ოთხს უცნობ მხედარს, მაგრამ
სახედნიერად ის მხედრებიც მათი ნაცნობები გამოდგნენ.

თუძცა ცოტა არ იყო ციკოდა, მაგრამ დიუპასკეს ქვრი-
ვი თავის ქალს თლარენსიას ეკიპაჟის ფანჯარას აღებინებ-
და. როდესაც იგი აღებდა სოლმე ფანჯარას, იმის მშვენიერს
სახეს ორი სიუკარულით სავსე თვალი უუუჩებდა. ეს თვალები
იყო დანიელისა.

ამ დროს დანიელ დაუახლოვდა თავის მეგობარს და
უთხრა:

— გინდა ყველაფერში გამოგიტყდე?

— სიყვარულში ხომ არ გინდა გამოგიტყდე. ვითომ რა დიდი რამა გგონია! მეც თვითონ შეყვარებული ვარ, მაგრამ კი არა მრცხვენია.

— არა, საქმე ებ არ არის.

— მას რა?

— მე მეშინიან, ვშიშობ.

— შიშობ?! ებ ცუდია.

— მე არა ვხუმრობ, ედუარდო. მე, რომელიც ყოველთვის საფრთხეში ვაგდებ ჩემს თავს, — მე ვშიშობ! უმწველილობითვე მიყვარდა ღამე, განსაცდელი, მხალხლ იმისთვის, რომ ჩემს გულს შემდეგში შიში არა სცოდნოდა. ესაა კი შიშითა ვთქვით.

— წასაქვებელია, რაღა გითხრა, დამიხედე ვაჟ-კაცს! მას რისთვის გვინდა ვაჟ-კაცობა, თუ ესაა შეკვინდებით.

— მე არ მეშინიან იმ განსაცდელისა, რომელიც პირადად მე შემესება; ხალხ, რომელიც ფლორენსიას და იმის დედას შეესება — იმისი კი მეშინიან. მე სიკვდილისა არ დაკვირდები, მაგრამ ფლორენსიას თვალებზედ ცრემლის დანახვისა კი ძლიერ მეშინიან. ესაა ხომ გაიგე რის შიშიცა მაქვს?

— დიაღ, მიკვდი, და ყველაზედ ცუდი ის არის, რომ ებ შიში მეც გადმომიდეს. ძლიერ ძნელაა, როდესაც შენს თავზედ კი არა, სხვაზედა შიშობ. არა დანიელ?

— დიაღ, დიაღ, ედუარდო.

— ჩვენ ესაა ახლად ვართ, დანიელ, — ათის წამის შემდეგ ჩვენს ადგილზედ ვიქნებით. ნეტა როდის გათავდება ასეთი ვაგლახი მდგომარეობა! ვინ იცის, იქნება ხვალ ან ზეგ გათავდეს ღვაჭლეს წყალობით. ხომ შეიძლება, რომ ჩვენები ზეგ აქ იყვნენ, შენ როგორა ჭფიქრობ?

— მეც აგრე ვფიქრობ, მიუგო დანიელმა, — ბრძოლა ხვალ დაიწყება და ამისთვისაც მინდოდა, რომ ფლორენსის ამაღამ წამეყვანა ბუენოს აირესიდამ.

— მაგრამ ამაღია... ეს ჯიუტი ამაღია, არ მოდის ჩვენთან! სთქვა ედუარდომ ძველვარებით.

— ამაღია უფრო გულადია, ვიდრე ფლორენსია. იმას კერავინ დაარწმუნებს, რომ თავის ბედი შენს ბედს მოაშორებს. შენ აქა ხარ, ისიც აქ დარჩება; ის შენი ჩაღიჯია.

— ზიკიქით, ის ნათელია, რომელიც მინათებს ცხოვრების გზას! უთხრა ედუარდომ.

მოგზაურები ცარიელს სახლთან მივიდნენ. იქიღამ არც სინათლე და არც არავის ხმა არ გამოდიოდა. მაგრამ რომელიღაც კი ეკიზაჟი და მხედრები შედგნენ, სახლის კარები გაიღო და გამოჩნდა ამაღია თავის ლუიზათი. უკელანი სახლში შევიდნენ და ალექსიანად დაიწყეს ლაპარაკი, ბოლოს დანიელმა სთქვა:

— მალე ათი საათი შესრულდება. ჩვენ უნდა ფანჯარასთან დავსხდეთ და მოველოდეთ მეგობის ნიშანს, რომელიც უნდა აქედამ წავიყვანოს.

რამდენიმე წამის უკან დაინახეს, რომ გემი წელის ნაპირს მოადგა. უკელანი გემთან მივიდნენ და შიგ ჩასხდნენ. დიდ ხანს ეკლემბოდნენ ერთმანეთს სიუვარულით და ალექსიანად. ბოლოს მეგემემ დაინახა, რომ დრო არის წასვლისათ და დასძრა გემი. ამაღია, ედუარდო და ლუიზა დიდ ხანს უყურებდნენ მიმავალს გემს. ათმა წამმა არ გაიარა, რომ წელის იქითა ნაპირიდან, საითაც გემი წავიდა, მოისმა თოფის ხმა, რომელიც ძლიერ შესშინა ამაღია, ედუარდო და ზეტარა ლუიზა.

თავი მეხუთე.

ფედერალური მიმოვლა.

ედუარდო ჯერ ისევ იქითგან იუურობოდა, საიღამაც თოფის ხმა მოისმა და უნებლიედ იტაცა ხელი რეკორდკრებზედ, მაგრამ ამ დროს შეშინებულმა ამაღიამ დაარღვიო ამ ადგილის მუუდროება.

— წავიდეთ, წავიდეთ, თუ ღმერთი გწამს! უთხრა ამაღიამ და დაუჭირა ედუარდოს ხელები. ედუარდო მიხვდა ამაღიას შიშს, მოხვია მას წელზედ ხელი და უთხრა:

— დიად, დიად, წავიდეთ, ჩვენ აქ არც ერთი წამი აღარ უნდა დავიკვიანოთ.

ჯერ რჩი ნაბიჯი არ გადაედგათ, რამ კიდევ თოფის ხმა მოისმა. რჩიკენი შეკრთნენ და იქითგან დაიწყეს ცქერა, საიღამაც ხმა მოვიდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! წარმოსთქვა ამაღიამ.

— არა, ეგ არათუარა, ჩვენები გემიღამ ისუჩიან, უთხრა ედუარდომ.

— ხომ შეიძლება, რამ ისინი დაეჭრათ, ედუარდო?!

— ეგ ძნელი დასაჯერებელია; წავიდეთ, წავიდეთ. აქ სხვა უბედურება მოგველის.

— სხვა უბედურება...

— დროით წავიდეთ.

რჩიკენი მაშინვე წამოვიდნენ; რადესაც ამაღიას უხლამი შევიდა და მოიხადა შავი ხაღდადი, ედუარდო გააკვირვა იმის-მა თერ-მერთადმა სახემ.

უძაწვილი ქალი ჩამოჯდა სელხედ, იდაყვი სტოლს და-
 აბჯინა და თავი თავის თეთრ ხელებს დაეყრდნო, მაშინ რა-
 დესაც ედუარდო მივიდა ფანჯარასთან და ყური დაუგდო, ხომ
 თხოვის ხმა კიდევ არ მოვიდოდა.

რადესაც ედუარდო დაბრუნდა, ამაღია ისევ წინანდებუ-
 რად იჯდა.

— კმაწა ამაღია, კმაწა, დაწმუნებული იყავ, რომ დანიელ
 ეხლა სამშვიდობოს არის გასული და გულთ იტინის, უთხრა
 ედუარდომ; მოუჯდა გვერდით თავის გულის-სწორს და უს-
 წორებდა მხრებზედ გადაყრილს თმებს.

— რამდენჯერ გაისრულეს!... არ იქნებოდა, — არავინ და-
 ეჭვათ...

— ებ ტუული ფიქრია: გემის ჩრდილს დაინახადენ და
 იმას დაუწებდენ სწოლას.

— მთელს წყლის ნაპირებს გარეშემო ჯარი არტუია... რა
 მოუვა დანიელს? რაგორ გადაჩნება?... ღმერთო ჩემო, ღმერ-
 თო ჩემო.

ამ დროს ლუიზამ მოართვა ჩაი თავის ქალ-ბატონს.
 ედუარდო კი ისევ ფანჯარასთან მივიდა და დაუწყო ყურის
 გდება. არ გავიდა საძი წაძი, რომ ედუარდომ გაიგონა ცხე-
 ნების ფუნის ხმა.

— ცხადია, — ესენი არიან, რომელნიც გემს თხოვებს ესრო-
 დენ, ჭფიქრობდა თავის-თავად ედუარდო. გგონებ ჩვენც არ
 გაგვიშვებენ უნახავს; ოჰ, წყულო ბედო!... წამოიძახა უძაწ-
 ვილმა კაცმა და მთიკვნიტა ტუჩები.

რადესაც ედუარდო წაღაში შემოვიდა, ამაღიამ მაშინვე
 შეატყო მას სახეზედ რაღაც მწუნარება და უთხრა:

— რა არის, ედუარდო, შემატყობინე, თუ ღმერთი გწამს

შემატყობინე, — შენ ხომ იცი, რომ მე ყოველის უბედურებისათვის მზადა ვარ.

— არათუ ვი უბედურება არ იქნება, ამ გოგონის ძიწში ცხენოსანებმა გაიარეს და ვგონებ რომ ის ცხენოსნები არიან, რომელთაც დანჯელის გემს რამდენჯერმე ესროლეს თოფები. ეს არის სხვა არათუერი.

— სხვა არათუერი!... კარგი. დახე, როგორ გამოვიცან, თუმცა ძლიერ კი მიძალადი. ლუიზა, პედროს დაუძახე.

ლუიზა გავიდა და პედრო შემოგზავნა.

— პედრო, უთხრა ამჯერად, — მე ვიცი ამჯერად ჩვენს სახლს დაეცემიან და გაჩხრკენ, — შენ მაგრად უნდა ჩაკეტო კარები და იარაღი მოამზადო.

— ყველაზე უფრო მზად არის, ქალ-ბატონო, მიუგო პედრომ.

— მეც მზადა ვარ, სთქვა ედუარდომ და წამოხტა ზეზედ. მერე უფროსად ჩამოჯდა სელზედ და სთქვა:

— არა, არა, აქ სისხლის დაღვრა არ შეიძლება.

— გამიგონე, ედუარდო, სთქვა ემანუელმა ქალმა, ჩემი სიტყვების სრულიად ეკუთვნის იმ გაცას, რომელიც მიუვარს და თუ ბედი იმას უბედურებას უმზადებს, მეც მზადა ვარ ის უბედურება შეაჩუდო გავუყო.

ჯერ ამჯერად ლაპარაკი არ დაეწყო უბედურებას, რომ ზემოთა გზიდან ცხენების თქარი-თქური მოისმა. ედუარდო და პედრო მოემზადნენ და იარაღი აისხეს.

ცოტა ხანს უკან ცხენოსნები მოვიდნენ სახლთან და დეზების წკარა წყურით გადმოხტნენ ცხენებიდან. მერე გარეთა ვარს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაარსუნეს.

— ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ: უთხრა ედუარდომ ამჯერად, არც კარები უნდა გავუღოთ და არც სმა გავცეთ. თუ დაამ-

ტვრევენ და შემოვლენ, მაშინ კი უნდა გებრძოლოთ უკანას-
კნელს სისხლის წვეთამდე.

კარები ძლიერ მაგარი იყო და ვერ გასტეხეს. მერე უფ-
როსის ბძანებით რამდენჯერმე ესროლეს თოფი. პედრომ რა
ეს ხასიათი, მივიდა ამალიასთან და უთხრა:

— მე ვიცი ეს წუწკები ფანჯრებსაც დაუწყობენ სწოლას
და ამისთვის თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება.

— არა, მე თქვენთან დავრჩები.

— გამიგონე, შვილო, თუ შენ შენის ნებით არ წახვალ,
მაშინ მე ძალიან წაგიუკან აქედამ, უთხრა პედრომ ამალიას ისე-
თის დაბეჯითებით, რომ ამალია დაქმობოდა და ლუიზასთან
ერთად შევიდა შიგნითა ოთახში. პედრომ და ედუარდომ თავ-
თავის ადგილი დაიჭირეს საბრძოლველად.

პედროს სიტყვა მართალი გამოდგა: ცხენოსნებმა ფან-
ჯრებს დაუწყეს სწოლა და რამდენიმე ტყვიას ზაღაში შეკარდა.

მერე ისევ კარებს მოაწვენ ისეთის ძალით, რომ კარებ-
მა ჭკა-ჭუჭი დაიწყო.

ამ დროს ლუიზა მოეხვია ამალიას მუხლებზე და უთ-
ხრა ტირილით:

— ჭაღ-ბატონო, მე ერთი წერილი მომაგონდა, რომელმაც
შეიძლება ამ განსაცდელს გადაგვარჩინოს.

— ჭო, ჭო, მართლაც. მომიტანე დროით ის წერილი.

ლუიზა გაიქცა და მოიტანა.

ამალია მაშინვე შევიდა ზაღაში და უთხრა ედუარდოს
და პედროს:

— თუ ღმერთი გწამთ ადგილიდამ ნუ დაიძვრით... მათ ზა-
სუხს აღარ მოუცადა და საჩქაროდ გააღო კარებიც და ფანჯა-
რაც.

გააღო თუ არა ფანჯარა ათი, თუ თარბეტი მხედარი
მოცუოდენ და შემოუკეს ფანჯარაში დამბახის ტუჩები.

ამაღია არ მოშორდა ფანჯარას და დამშვიდებულის ხმით
უთხრა:

— ბატონებო, თავს რად ესხმებით ქაღის სახლს: აქ არც
კატები არიან და არც ფულები გაქვს.

— ჩვენ უახლები არა ვართ! მიუგო ერთმა მათგანმა.

— თუ ეს სამხედრო მიმდგომარეობა არის, მაშ თქვენ არ უნდა
გაგეტყვნათ ამ სახლის ვარი.

— ვინა სტრუქტურებს ამ სახლში? ჭკითხა უფროსმა მათგანმა.

— აი ეს წაიკითხეთ და გაჩვენებთ. ლუიზა სანთელი მო-
ანთე.

ცხენოსნების უფროსმა სანტა-კოლამამ გაშალა წერილი
და, რა ამოკითხა წერილის დამწერის გვარი, საშინლად გაჭ-
კვირდა.

— გთხოვთ ხმა-მაღლა წაიკითხოთ, რომ უკვლამ გაიგო-
ნოს, უთხრა ამასამ.

— ქალ-ბატონო. მე ამ ცხენოსნების უფროსი ვარ და სრუ-
ლიად საკმარია მარტო მე წაიკითხოთ, მიუგო სანტა-კოლამ-
ამ და გადაათვალიერა წერილი, რომელიც წინად გამოსტყუა
დანიელმა რაზასის ქალს ამასთავის.

— ქალ-ბატონო, უთხრა სანტა-კოლამამ და მოიხადა ქუ-
დი, — მე არც თქვენი უსამოკუნება მინდოდა და არც კიდობი
ვინა სტრუქტურება აქა. მე მეგონა, რომ ამ სახლიდამ გამოკი-
დენ ისინი, რომელთა გემსაც აქამდის თათს ვესრუდით და
რადგანაც აქ ამის მეტი სახლი არ არის...

— ამისთვისაც დამიმტკრიეთ სახლის ვარები, განა? გაწუკ-
ტინა ამასამ, რომ გადაეჩია სანტა-კოლამამ.

— გთხოვთ მანათილთ, მე არ ვიტყვი თუ ამ სახლში დონა მანუელიტას მეგობარი სცხორებდა. თვითონ მევე მოვიბდი ბოდიშს იმასთან. დამეწმუნეთ, რომ აქ ჩვენ ბოროტი განზრახვა არა გვქონია.

— მჯერა, მჯერა და ამისათვის მანუელიტასთან ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის. მე არავის არ ვაძულებ, წაგ აქ მოხდა. შეტყობთ ვის არ მოუვა.

— ბატონებო, ცხენებზედ შესხედით! ეს ფედერაციების სახლი უფიქროსა!... უთხრა სანტა-კლემენტის თავის ქვეშევრდომებს. ბოდიშს ვინდი კიდევ, უთხრა მან ამასთან; — ღამე მშვიდობისა!

— თუ გნებავთ აქ დაისვენეთ.

— არა, არა, ქალ-ბატონო. შემდეგ ამისთანა შეშოთებისა, თქვენ შესვენება გეჭირებათ.

— ღამე მშვიდობისა, უთხრა ამასთან და მიხურა კარები. ერთის წუთის შემდეგ ამასთან უგრძობლად იწვა დივანზედ.

თავი მეექვსე.

ორმოციდამ მხოლოდ ათი.

ჩვენგან აწერილის ამბის მეორე ღამეს ცარიელის სახლის საკლავოში მოგროვდა რაღაც უცნაური ხალხი. ყველანი ჩუმის ხმით ღაზანაკობდნენ.

— ათი საათია, დაიძახა ერთმა მათგანმა, რადგანაც საათი გაშინჯა.

— უფრო კარგი, მიუგო მეორემ ჭ დაიწყო ბოლოის ცემა.

— რასაკვირველია, დასძინა მესამემ, — თუ რომ მხეკულო-
ბაში არა ჭქონდეთ-რა, აქამდის შეგვატყუობინებდენ.

— მე ვგონებ, რომ ლავალე ხეალ დილაზე ადრე არ შე-
ძლავა ქალაქში.

— აქამდის სხვები რატომ აღარ მოდიან?

— ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენნი ვართ.

— საქმე რავდენობაში არ არის?

— ძალიანაც არის. თქვენა გგონიათ, რომ რამდენიც აქა-
ვართ, გავხდებით რასმე? სთქვა მათგან უკელაზედ უფროსმა.

— მე კი გადავწვიტე, რომ ლავალეს ჯარის შემოსულის
უძლევე უნდა შევუერთდე მას და დავიწყო ბრძოლა მტარვა-
ლებთან.

— აგრეთვე მეც.

— ჩვენცა, დაიძახეს სხვებმა.

ამ ლავალის დროს უეტრად ვილაცამ კარები დააბრ-
ახუნა; ოთახში მყოფთ მათინვე გააღეს კარები. რადგანაც იც-
ნენ, ვინც აბრახუნებდა.

ცოტა ხნის უკან უკელანი დანიელსა და ედუარდოს ეხ-
ვივნენ გრძემო. დანიელს დაღვრემილობა ეტყობოდა სახე-
ზედ და როცა ჭკითხეს მიზეზი, მან უთხრა მეგობრებს.

— დღეს საღამოს ექვსს საათზედ ლავალემ უკან დაიწია ჭ
ეს დამარცხებაზედ უარესია.

უკელანი გახუმდნენ. არავინ არ მოელოდა ამისთანა სამ-
წუნარო ამბავს.

ედუარდომ დაარღვია სიხუმე.

— ბატონმა ბელომ მაინც უკელათერი არა სთქვა ლავალემ,
მართალია, უკან დაიწია, მაგრამ თვითონ დანიელმაც კარგად

იტის, რომ იმ ნაპირის გულსთვის დაიწია უკან, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. ლავალეს უნდა ლაპესი დაამარცხოს და უკანიდამ მოიშოროს.

— ეგ ნამდვილია, ესაა მე უკვლავური მესმის, სთქვა ერთმა.

— უკვლავად აგრე იქნება, განიმეორა მეორემ.

— სწორედ, სწორედ, დანიელმა ტყუილად შეგვაშინა.

— როგორც გნებავდეთ, ისე იფიქრეთ, ბატონებო, უთხრა მათ დანიელმა, — მე კი ვფიქრობ, რომ საჭმე წაგებულა. ამ რჩის საათის წინად ლავალეს შექმლ ბუნოს-აირესიც დაეჭინა. ხვალ ის უღონო იქნება. ლაპესი მას შორის გაიტყუებს და რაზასი კი იმ დრომდის ახალს ჯარებს მოჭკრევს.

— მამ ეს ამბავი სხვასაც უნდა გავაგებინოთ.

— ვის სხვასა, მიუგო ედუარდომ.

— როგორ თუ ვისა? განა ჩვენს მეტი კრება აღარსად არის?.. დანიელმა მწარედ ჩაიტინა.

— არა, ბატონო, — მიუგო იმან, ჩვენის კრების მეტი სხვა კრება არსად არის. ამ რჩის კვირის წინად რჩმოდმა კაცმა ჰატილსანი სიტყვა მომცეს, რომ ჩემს პირველს დამახებაზედვე მოგროვდებოდენ; შემდეგ ეგ რიტხვი რც და-ათამდის შემცირდა, დღეს კი ათზედ მეტი არა ვართ, და იცით ეს რასა ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთად მოქმედება არ გვიყვარს, ერთი აქეთ მივიწევთ და მეორე იქით. აი ეს არის მიზეზი ჩვენის უღონობისა და რაზასის ძლიერებისა. საცა საჭმე ასეა, იქ თავისუფლებაც და კაცის ღირსებაც განადგურებული და დათრგუნული იქნება. დრო არის დაკრწმუნდეთ, რომ იქ თავისუფლება ვერ დამყარდება, სადაც კაცნი ერთიერთი სულის მომხრენი არ არიან. ერთმანერთის უნდობლო-

ბამ და ცალ-ცალკე მოქმედებამ მოგვიღო ბოლო. გადაკეხვილთ და გამოკეთხროთ ერთმანერთს...

ყველას თვალებში ცრემლები მოერიდა და ცოცხალი ხნის უკან ყველანი წავიდ-წამოვიდნენ; მხოლოდ ერთი დარჩა იქ, რომელსაც კარების ჩაკეტვა და იარაღის მოძიება ჰქონდა ჩაბარებული.

თავი მეშვიდე.

გვირგვინის ტანისამოსი.

ოქტომბრის ხუთია.

მთელი ქალაქი და იმის მცხოვრებლები დარბილნი იყვნენ ამ დღეს. რაზანის კბილის ტვიჯისაგან მოჩხენის დღეობას დღესასწაულობდნენ.

მაგრამ თავი დავანებოთ ქალაქს და წავიდეთ ქალაქს გარეთ ამაღიას სახლში. აქ ჩვენა ვნახავთ ამაღიას განწყინებულს თავის სიტუაციით, ამაღიას სიხარულის ცრემლების მოჭქეკველს.

ამ დროს ამაღია იყო საცოცხლო სავანი ბუნდოვნებისა და უბედურებისა, სიცოცხლისა და სიკვდილის შორის.

ამაღიას სახლის წალა ძველებურად მშვენიერი იყო. წალაში არავინ არ იყო. უმაწვილი ქალი თავის ლუიწათი მოსაჩთავს ოთახში იყო და თავის მშვენიერს თმებს ივარცხნიდა.

თავის დავარცხნის შემდეგ, ამაღია მივიდა ტანისამოსის შვანთან და გადმოიღო ერთი მდიდრულად მოჩთული კაბა.

ამაღია დიდ ხანს დასტკეზოდა ამ მშვენიერს კაბას, ლუიზასაც ძლიერ მოეწონა.

— აი ეს სწორედ კარგია ლუიზა, — ეს კაბა უკელაზედ უკეთესია.

— მეც აგრე ვოვიქრობ, ქალ-ბატონო. ხომ არ ჩაიფრავით? — ლუიზამ მოართვა კაბა, რომელიც ამაღიამ ჩაიფრა.

— იქ, რა ნაირად გიხდება! უთხრა ლუიზამ თავის ქალ-ბატონს.

მაგრამ უეცრად ამაღიამ გაიქნია თავი და სთქვა:

— ანა, ლუიზა, არ მიხდება, სხვა კაბა მომიტანე. მე მინდა დღეს უკანასკნელად კარგად ჩავიცვა...

— მაგას რას ბძანებთ, ქალ-ბატონო, ღმერთმანი სვალ ბატონს ედუარდოს ვეტყვი.

— სვალა?... ანა, სვალ აღმომაკალი მზე ჩვენ გაუჩილებს გენახავს. მაგრამ რაც მოხდება, ის იქნება, მე კი ძლიერ მინდა დღეს ბედნიერებით დევსტებე. აბა ეს კაბა როგორღა მოგწონს?

— მშვენიერებაა, ქალ-ბატონო...

— მაშ ახლა წადი და მომიტანე სამკაულები და ყვ-ვილები. ლუიზა წავიდა და მოუტანა ამაღიას სამკაულები და ყვ-ვილები.

დიდ ხანს დასტკეზოდა ამაღია თავის ყვავილებს და იუნოსავდა მათს სურნელებას, ბოლოს ერთი მათგანი აიღო და ჩასდო ვაზაში.

ამ დროს, არ ვიცო ჩისგან, ყვავილი გადმოვარდა სტოლ-ზედ და იქიღამაც იატაკზედ დაეცა.

ამაღიამ სწრაფად აიღო ეს ვარდი, მაგრამ უფრო სწრაფად აიჩივნენ მის თავში ათას ნაირი ფიქრები.

— საკვირველია, სთქვა მან, როცა ვარდი აიღო, ეს ორ-
ჯერ დაძვირდა ვარდი და ასიც თეთრი ვარდი: ერთი მამინ,
როდესაც მე მას პირველად მიკუცე ჩემი გული და ერთიც ეხ-
ლა, როდესაც ვამდე ჩემს ხელს... რომელი საათია აუცილს?

— სამია ქ. ბ. ტონო.

— მაშ დრო არის უკელათური მიაჯავ მოალოგო.

ამის შემდეგ ამალია თაკის საწოლს ოთახში გავიდა და
კარები გაიხურა.

თავი მკრგუ.

მისჯერ სლუდი.

ეხლა მკითხველს ვთხოვთ მოგვცეს უნა დაბრუნების
ნება, რომ აწერათ სხვა მოქმედნი პირნი ამ ჩვენის ნამდვი-
ლის მოთხრობისა.

იმ დროს, როდესაც აღარც დანიელთან და აღარც ამ-
ლიასთან ედუარდოს დარჩენა არც ერთს ღამეს არ შეიძლებო-
და, დანიელ დაეკითხა ინგლისის პრეზიდენტს მანდუკილს შე-
იძლებოდა თაკის სახლში შეიფარებინა ედუარდო თუ არა.
დონ-კანდინო როდრიგეციც მონასტრებში გაგზავნა, რომ ეგუ-
ბა რომელიმე მონასტრის გამგებელი დაეთანხმებინა ედუარდოს
მიღებაზედ. დანიელს ინგლისის პრეზიდენტმა უარი უთხრა
ედუარდოს მიღებისა და როდესაც იქიდან ისა და ედუარდო
გამოდირდნენ, დანიელის ეკიბაჟიც მოვიდა, რომელშიაც დონ-
კანდინო იჯდა.

მეგობრები ჩასხდენ ეკიზაყში და დანიელმა ჭკითხა დონ-კანდინოს:

— ახა, რომელის მონატრასკენ წავიდეთ.

— არც ერთისკენ, რადგან ყველამ უარი განაცხადეს.

დანიელს ეს ამბავი ძლიერ ეწუინა და ჩათუქრდა.

— ამისთანა ცხოვრებას სიკვდილი ბევრითა სჯობიან, სთქვა ედუარდომ. გუშინდელს აქით აღარ გიცი სად მივიდრიკო თავი. მოსამსახურეები აღარ მიდგებიან, ხათესავები პირს მარიდებენ, ახა ეს ც'ოვრებაა?

— ყველა მაგების მაგივრად შენა გუავს ქალი, რომლისთანაც ქაყანაზედ ბევრი არ არის და მეგობარი, რომელსაც შეუძლიან დიდ ხანს ბრძოლა. ამისთანა მეგობრები გუავდეს და კიდევ ბედს ეძღუროდე!

ამ ლაზარაკის დროს ეკიზაყი ლაზარდის სახლთან მივიდა, სადაც მაშინ შეერთებულ მტატების კონსული მისტერ სლედი იდგა.

დანიელმა ორჯელ დაარკუნა კარები, მაგრამ არავინ გამოვიდა. რაც ძალი და ღონე ჭქონდა მესამედაც დაარკუნა და მაშინ კი დაინახა კარებისკენ მომავალი კაცი. ეს კაცი მოუხალკვდა დანიელს და ჭკითხა ინგლისურად:

— ვინ გნებავთ?

— მისტერ სლედი, მიუგო დანიელმა.

მოსამსახურემ მაშინვე ამოიღო ჯიბიდან გასაღები და გაუღო კარები.

დონ-კანდინოსაც გაბედა ეკიზაყიდან გამოსვლა და სამიკენი ერთად გაჭყვნენ უკან მოსამსახურეს. ერთს ოთახში ისინი დააყენა და თვითონ მოსამსახურე კი სხვა ოთახში შევი-

და. პატარა ხანს უკან მოსამსახურე გამოვიდა და ანიშნა მათ, რომ შეიძლება შემოხვიდეთ.

უკვლანი შევიდნენ წაღაში. მისტერ სლედი იწვა დივანზედ უყოლებოდ, უუკვლად და უჩქოდ. დივანის წინ რა ბოთლი იდგა კონიაკით და წყლით.

მისტერ სლედი მიესალმა მათ და სთხოვა დამსხდარიყვნენ. თვითონ კი ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო.

— ჩვენ მოვსუფლავართ გთხოვრთ, რომ ერთს საქმეში დაგვეხმარდეთ.

— ვიცი. თქვენ გინდათ შეერთებული შტატების დროშის ქვეშ შეათვარდეთ თავი.

— დიაღ, სწორედ მაგისტრის მოვსუფლავართ.

— კარგი. თქვენ უკვე აქა ხართ.

— ჩვენ სამივენი არ დავჩნებით აქა. აქ დავჩნება მხოლოდ ეს უმაწვილი კაცი, რომელსაც ედუარდო ჭკვიან.

— რაგონიც გნებავდეთ.

— აქ ვი არ შემოცვივდებიან? ჭკვითხა დონ-კანდინომ.

— ვინა? ჭკვითხა მისტერ სლედმა და შეიჭმუხვნა წარბები, მერე დონ-კანდინოს შესედა და გაიხარხარა.

— მე რაზასთან მეგობრათა ვარ, განაგრძო მან. თუ მკითხავს ვინა დი ვინ არიან შენს სახლშიო, მე უკვლათურს ვიტყვი. მაგრამ თუ აქედამ მათი ძალად წაუვანა მოინდომა, მაშინ მე დავიცვამ შეერთებული შტატების დიქსებს ამ სიტუაციაზედ სლედმა თათით უჩვენა თოფზედ, დამბარაზედ და ხანჯალზედ.

— მეც მოგეშეულებით, უთხრა ედუარდომ.

— გმადლობთ. თქვენით რაღა ვიქნებით.

— ნუ თუ აქ რაღა კაცმა მოიყარა თავი?

— დიაღ, რაღა, დეკანულებმა თქვენის მართლ-მსაჯულებისაგან.

— აქა!

— დიაღ, სხვა ოთახებში არიან. მე მითხრეს, რომ სხვებსაც ბევრს უნდა აქ მოსულიყო, დეო მოვიდნენ. მე იმათ შესახებ არც შეძლება მაქვს და არც ლოგინი; მაგრამ აქ არის კონსული და დროშა შეერთებულის შტატებისა.

— ჩვენ არც თქვენი ლოგინი გვინდა და არც თქვენი შეძლება; ჩვენ გვინდა მხოლოდ თქვენი მოვარკველობა, დიდ-სულლოვანო ჩამომავალ ვაშინგტონისა, ამიტომ რომ მეც აქ მივინდა დავიჩქე, სთქვას დონ-კანდინომ და ისე დააჩქუყა თავის ჯიხი პოლსა, რომ დანიელმა და ედუარდომ ერთმანერთს შეხედეს და ძლივს შეიმაგრეს სიცილი. დანიელმა ინგლისურად დაუწყო მისტერ სლედს ლაპარაკი და აუწერა მას დონ-კანდინოს პიროვნება და ხასიათი. იმან ისე გაამხიარულა მისტერ სლედი, რომ მან თვითონ დაუსხა დონ-კანდინოს კონიაკი, დააჯეკინა და უთხრა:

— ამ დღიდან თქვენ შეერთებულის შტატების მოვარკველობის ქვეშა ხართ და თუ თქვენ მოგკლავენ, მე ვუბძანებ ბუენოს-აირესს ზარბაზნები დაუშინონ.

— უფრო კარგი იქნებოდა, რომ ჩემს მოგკლამდის დაგუშინებინათ ზარბაზნები.

— თქვენ, ჩასაკვირველია იცით, ბატონო დონ-კანდინო, უთხრა დანიელმა, რომ უკვლა ეს ხუმრობა და თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ.

— თქვენ სადაც გნებავდეთ წადით, მაგრამ მე ვი აქედამ ფეხსაც არ მოვიტყლი.

— ამელამ ვი უნდა წამოხვიდე და ხვალ, თუ გინდა, ისევ მოდი, უთხრა დანიელმა.

— მაგარად ვი თანახმა ვარ.

მისტერ სლედი წამოდგა ზეზე, დანიელს გამოეთხოვა, დონ-კანდინოს კი მხრებზედ ხელი დაჭკრა და უთხრა:

— თუ აქ ჩვენ ერთმანეთს კვლავ ვნახავთ, იმ სოფელს მაინც შევხვდებით.

— თუ ავრეა, მაშ მე აქედამ თქვამს არ მოვიტყვი და დონ-კანდინომ უკან დაბრუნება დააპირა.

— ნუ თუ ვერა ხედავ, რომ გესუძრებიან, უთხრა ედუარდომ.

— ახა წავიდეთ, წავიდეთ, დაგვიანდება.

უმაწვილი კაცები გადაეხვივნენ და გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

— გაუფრთხილდი ამაღიას, უთხრა უკანასკნელად ედუარდომ თავის მეგობარს.

იმავე მოსამსახურემ, რომელმაც წინად კარები გაუღო, ესლაც მიაცილა ისინი კარებამდის. როდესაც კარები გაუღო, დონ-კანდინომ ჭკიოთხა მას:

— ეს კარები ყოველთვის დაკეტილია?

— დიაღ, მიუგო მოსამსახურემ.

უფრო კარგი არ იქნება, რომ ყოველთვის ღია იყოს?

— არა.

— კარგა დაისწავლე ჩემი სახე; მეორედ რომ მოვიდე ხომ გიდეკ მიცნობ?

— დიაღ.

— წავიდეთ, ბატონო დონ-კანდინო, უთხრა დანიელმა ეკიპაჟში ჩაჯდომის დროს.

— წავიდეთ. ღამე მძვიდობისა, კეთილი მოსამსახურეკ გეთილის გონსულისა...

— მშვიდობით, მიუგო მოსამსახურემ და ჩაკეტა კარები.

თავი მეცხრე.

მაზედ, თუ დონ-კანდინო როდრიგეცი როგორ განდა კუიტინოს ნათესავი.

სექტემბრის დღის დილის რვა საათზედ დონ-კანდინო შოკოლადსა სვამდა, დანიელ კი რაღაც ქაღალდებს აწაგებდა და ბეჭდავდა. რჩიკეს ეტყობოდათ, რომ იმ ღამეს არა სძინებოდათ.

— ჩემო მეგობარო დანიელ, კვინებ უჩიგო არ იყოს ცოცხალი რომ დავიძინოთ.

— არა, ბატონო, ესა დაძინების დრო არ არის. თქვენ ჩემთვის საჭირო ხართ. შენის დახმარებით უნდა გადავიძინოთ ეს ქაღალდები, რომ გავიგოთ რა სახის მართებლობას ამ ბოლო დროს რამდენი კაცი მოუკლავს და რამდენი დაუტყულებია.

გაშინჯვის შემდეგ დანიელმა უკვლავ ქაღალდები საიდუმლოდ უჭრაში ჩააწყო. მერე დასწერა ედუარდოსთან წერილი და მისცა დონ-კანდინოს, რომ წაეღო. ის იყო დონ-კანდინო უნდა წასულიყო, რომ ამ დროს კარები გაიღო, შემოვიდა მოსამსახურე და მოახსენა დანიელს:

— კაპიტანი კუიტინო გახლავს.

დონ-კანდინო გადაწვა სულზედ და დაიფარა თვალებზედ ხელები.

— უთხარი მობძანდეს. — გამხნეკდი, ჩემო მეგობარო, ეს არატყერია.

— მე სული კიდევ ამოვივიდა, დანიელ, წაიფლელულა დონ-კანდინომ.

— მობძანდით, კაპიტანო, უთხრა დანიელმა, ადგა ზეზუდ და მიეგება კუიტინოს, მაშინ ჩაღესაც დონ-კანდინომ შიშით არ იცოდა რა ექნა.

— ჩაღის მიიღეთ ჩემი წეჩილი, კაპიტანო?

— ამ რჩის საათის წინად, ბატონო დონ-დანიელ.

— უქეითოდ ხომ არ იყავით, ასე გვიან რომ მოდიხარ.

— არა, ბატონო, ცოტაოდენი საქმე მქონდა.

— სწორედ ეგრე იქნებოდა! ღმერთმა ჰქნას რომ უკვლანი თქვენსაკით ერთგულნი იყვნენ სამსახურისა, ამასვე გეუბნებოდი გუშინ პრეზიდენტსაც.

დონ-კანდინომ რაკი გაიგო, რომ კუიტინო დანიელისგან იყო მოწვეული, ცოტა არ იყო გამსწევდა.

— თქვენ, კაპიტანო, ღიჩსი ბძანდებით პატრიკის-ცემისა. თქვენ მე ნათესავდაც მომხვდებით. ერთი თქვენი ბიძათაგანი დედი-ჩემის ბიძა-შვილზედ უფთულია ჯვარ-დაწეჩილი, რისათვისაც მე უფუფუთვის ნათესაური გრძნობა მქონდა თქვენდამი. მე და თქვენში ერთი და იგივე სისხლი სდრულს და უნდა ვეცადოთ, რომ ეს სისხლი დავიტვათ უფუფელივე წაბილწვისაგან.

— თუ კი შემეძლება, დიდის სიხარულით.

— სხვა ახალი ამბავი რა იცით, კაპიტანო? გაწეკეტინა დანიელმა, რომ დონ-კანდინოს მომეტებული არა დაეჩოქა.

— ბევრი არაფერი. ეს კი არის, რომ უნიტარებს უფუფუდლე ვხედავთ და ვაღრჩობთ, ზოგთაც საპურობილეში ვუჩით. იცით კიდევ რა, ამას იქით უკვლა გამკლელ-გამომკლელი ქვეკითი და ცხენოსანი უნდა დაჰყენოთ ხელმე და ვინაობა გამკლავითხლოთ.

— ეგ უკვლა კარგი, მაგრამ ეკიზაყები კი არამცა და არამც არ დააყენოთ ხელმე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შეიძლება კონსულის ეკიპაჟი იყოს და იმის ეკიპაჟის დაჭერა აჩაძცა და აჩაძც ან გაბედოთ. გინდა კონსული დაგიჭერია, გინდა იმის ეკიპაჟი, რჩივ ერთია.

— ეგ ან ვიტყვი, მას ჩემს ამხანაგებსაც უნდა შეკატყობინო.

— უსათუოდ.

— მას ასე, დონ-კანდინო, თუ შენთვის გამოსადეგი ვიქნები, უკუკლავის მზადა ვარ, ხომ იცი, რომ მე შენი ნათესავი ვარ.

— გმადლობთ ბატონო, უთხრა დონ-კანდინომ და ჩამოაჩაძცა ხელი კუიტინოს.

— სადა სცხოვრობ.

— მე, ჩემო მეგობარო, ვცხოვრობ... ვცხოვრობ აქა.

— მას განხავთ.

— მადლობელი განლავართ.

— ახლა კი მშვიდობით!

კუიტინო და დანიელ გავიდნენ, დანიელმა გამოთხოვების დროს ჩაიყრა ჯიბეში ხელი და უთხრა:

— ეს ინებეთ, კაპიტანო. აქ სამოცი თუმანია, გამოკრახილი მამი-ჩემისაგან, რომელიცა მწერს, რომ ეს ფული საწყლის ფედერაციებისათვის მიძეცა. გთხოვთ ჩემს მაგიერად თქვენ შესწულეთ მამი-ჩემის თხოვნა.

— დაწმუნებული ბძანდებოდეთ, ბატონო დანიელ. როდესაც მამა თქვენი დონ-ანტონიო მოვიდეს, შემატყობინეთ.

— მეც დღე-დღეზედ მოვულო.

იმის შემდეგ დანიელ გამოეთხოვა კუიტინოს და დაბრუნდა შინა. მიუხედავად სტოლის და დასწერა წერილი ედუარდოს.

თან, რომელშიაც სწერდა, რომ მისტერ სლედთან შეფარდებულთ ფეხით აღარ ეკლათ, ანამედ ეკიზაყით, წადგანაც ქვიითად მოსიარულეებს იჭერდნენ.

დანიელმა მისცა ეს წერილიც დონ-კანდინოს და გაისტუმრა შეერთებულ შტატების გონსულთან, სადაც ედუარდო იმალება.

თავი მეათე

გული წინად-მგრძნობელი

ლექტორების მეხუთე ლამია. ჩვენ კიდევ ამასას სახლს ვუბრუნდებით.

მაგრამ ჯერ-ჯერობით უნდა დავაშინოთ მივსჯილთ ეკიზაყს, რომელიც კორიენტეის ქუჩაზედ პატარა სახლის წინ დადგა; ამ დროს ამ სახლიდამ გამოვიდა მოხუცებული ძველი, რომელმაც ეკიზაყში რის უცხლ პირს დაუკრა თავი და თვითონაც მათთან ჩაჯდა.

საათმა რვა დაჭკრა.

ამასას უბანი მიუჩუებული იყო. იმის სახლში რომელიც და-ათი სანთელი ენთო. თვითონ ამასა კი არა სჩანდა, ის საკუთარს ოთახში იჯდა და უცემდა ყმაწვილი გული.

კედლის საათმა რომ რვა დაჭკრა, ამასა გაუკითხდა.

— რა დაგემართა ქალ-ბატონო, რაზედ გაუკითხდი? ჭკითხა ლუიზამ. თქვენ ამ ბოლოს დროს აგრე მოგდის, რომელსაც კი საათი დარეკავს ხოლმე.

— სწორედ ამბობ, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცი რად

მომდის აგრე და დღეს მექმესე საათს აქეთ უფულ დაჩეკა-
ზედ გულზედ ლოდსაკით რადაც მწკება.

— ამას გი მოგახსენებთ, ქალ-ბატონო, რომ დღეს მეტის-
მეტადა შეკნით. ასე მშკენიერი მე თავის დღეში არ მინახავ-
ხართ.

— გაჩემდი, სულელო; უკეთესი იქნება წახვიდე და პედ-
რის დაუძახო.

პატარა ხანს უკან შემოვიდა ლუიზა მორთულის პედ-
რითი.

— კეთილად პედრო, უთხრა მას ამალამ. ამ სახლში უკე-
ლაფერი ძველებურად იქნება. მე მინდა, რომ შენც შენს სი-
ცოცხლეში არ დამანებო თავი.

— მაგას რას ბძანებთ, ბატონო, თავს რად დაგანებებთ.

— მე მინდა, რომ მეორე კვირას მონტევიდეოში გამოძევოთ,
რადგანაც ჩემი საქმრო იქ ავირებს წასვლას და ჩემი კალიც
არის თან გავეყო. რას იტყვი, თანახმა ხარ?

— დიდის სიხარულით, ქალ-ბატონო.

ამალა მივიდა სტოლთან, სადაც ძვირ-ფასი ნივთიულებ-
ბანი ეწყო, ამოიღო იქილამ ბეჭედი და მიუბრუნდა ისევ პედ-
როს.

— აი ეს ბეჭედი, უთხრა მან, მოქსოვილია ჩემის თმები-
საგან, რადესაც ისევ პატარა ვიყავი. ეს კარგად შეინახე. მამა
ჩემს სულ თან დაჭკონდა, რადესაც გი რძეში მიდიოდა.

— სწორედ ეს არის, სწორედ, უთხრა პედრომ და აკოცა
ბეჭედს, რომელიც ხშირად ენახა ამალას მამის ხელზედ.

ამალას და ლუიზას თვალები ცრემლებით ავესოთ.

— ხალა სხვაზედ ვილაპარაკოთ, პედრო, განაგრძო ამალ-
ამი.

— მიბძანეთ, ქალ-ბატონო.

— მე მინდა, რომ შენ ჩემს ჯვარის-წერას დაესწრო. შენ და დანიელის მეტი არავინ იქნება.

პასუხის მაგიერად მოხუცი პედრო მივიდა ამალიასთან, დაუჭირა ხელები და გულ-წრთულად დაჰკოცნა.

— სხვა მოსამსახურეები წავიდნენ?

— როგორც ბძანებთ, მე ისინი დაბინდებულნი არ იყვნენ, რომ გაკისტუდნენ.

— მაშასადამე მარტო შენ-და ხარ.

— მარტო, მარტო.

— ძალიან კარგი. ხვალ ეს ფული დათხოვნილს მოსამსახურეებს გაუყავი. ამალიამ მისცა პედროს ფული.

— ქალ-ბატონო, უთხრა ლუიზამ, გზიდან რაღაც ხმაურობა მოდის,

— უკუაფიქრი ხომ კარგად არის დაკეტილი, პედრო.

— კარგად, მხოლოდ აიმი კარებს რაღაც ეძარტება. რამდენჯერ დამიკეტია და გასაღები თვითონ მე ჩამიდგია ჯიბეში, მაგრამ დილით მაინც ღია დამსკედრია.

— დღეს მაგაზედ ნუ ვილაპარაკებთ...

— ქალ-ბატონო, გაიმეორა ლუიზამ, — დემეტრისი რაღაც ხმაურობა ისმის, ვგონებ კარეტა მოდის ჩვენკენ.

— დიაღ, მეც აგრე მგონია.

— აი ეხლა დადგა, განვკრძო ლუიზამ.

— დიაღ, სწორედ ისინი არიან. წადი პედრო და სინამ არ გაიგო ვინ არიან, კარები არ გაუღო.

— მაგაზედ დარწმუნებული ბძანდებოდეთ.

პედრო გავიდა კარეთ, რომ შეეტყო მოსულების ვინაობა

თავი მეტეოტმეტე.

წინაშე ურავისა.

ამაღია არ მოსტუუკდა, იმას ნამდვილად მოუვიდნენ სტუმ-
რები, რომელთაც იგი დიდი ხანია გულის ძველით მოელოდა.
ამაღიამ თავის მოსართავს ოთახშივე გაიგო დანიელის
ფეხის ხმა.

— ახ, ქალ-ბატონო, უთხრა ემაწვილმა კაცმა, რომელსაც
დაინახა, — მე მეგონა, რომ აქ ღამაზე ქალსა ვნახავდი, ის კი
არა თუ მშვენიერების ღმერთს ვნახე.

— მართლა? მიუგო ამაღიამ და ჩაიცივა თეთრი ფერხატკები.

— ღმერთს გეფიცებით მართლა! უთხრა დანიელმა. მეჩუ-
ნელ-ნელა მიუახლოვდა ამაღიას, შეცრად მოეხვია, აკოცა თავ-
ზედ და უთხრა:

— ეხლა კი სხვა საგანზედ ვილაშარაკოთ.

— დიდი ხანია დრო იყო, შე ეშმაკო! წარმოსთქვა ამ-
აღიამ ჩუქულებრივის ღიმილით.

— ხომ მზადა ხართ? ჭკითხა დანიელმა ამაღიას.

— მზადა ვართ და ღუდელაიც აქ არის, მიუგო ამაღიამ.

ამის შემდეგ დანიელმა მოხვია ამაღიას ხელი და გაიუ-
ვანა ზალაში, სადაც მათ მღვდელი და ედუარდო ელოდათ.

ჟვარის წერის გათავების შემდეგ, ამაღიამ აკოცა მტი-
რალს ლუიზას, ამ დროს დანიელი მივიდა ჰედროსთან და
ჭკითხა:

— თქვენი ცხენი თავლაშია?

— დიაღ.

— ერთს საათს ჩემთვის საჭიროა არის.

— მესმის.

მერე დანიელმა მიიყვანა ამალია დივანთან და იმ დროს როდესაც ედუარდო მღვდელს მადლობას უხდოდა, დანიელმა უთხრა ამალიას:

— მე და მღვდელი ერთად მივდივართ.

— შენცა?

— დიაღ, ბატონო, ბელგრანოს მეუღლეც, მეც მივდივარ, ამისთვის რომ მე არათუ არა ვზოგავ მონტეკიდეოში შენის ქმარის ბედნიერად ცხოვრებისათვის.

— ხომ არათუერი მომხდარა! ღმერთო ჩემო! შენ ავი აღგვითქვი, რომ წასვლამდის ჩვენთან დარჩებოდი.

— სწორედ მაგისთვისაც მივდივარ. ცოტა ხნის უკან ისევ დაბრუნდები. თუკინიც მღვდელს წაიყვანს და ისევ უკან დაბრუნდება.

მღვდელი და დანიელ წავიდნენ. ედუარდომ ჩაკეტა კარები და დაბრუნდა სალაშიკო, სადაც მან მხურვალედ ჩაიკრა თავის ცოლი გულში და დიდ ხანს, დიდ ხანს, გაჩუმებული ჰგონებდა ამალიას ბაკეს, ბედნიერებით მომღიმარს, თვალებს, ტრფიანებით სავსეებს. უცრად ყმაწვილი ქალი გაუსხლტა ედუარდოს ხელადამ.

— ეს რას ნიშნავს, ღმერთო ჩემო?... რა დაგემართა, ამალია? ჰკითხა ედუარდომ ამალიას და ჩამოსვა პატარა დივანზედ.

— არათუერი, ედუარდო, არათუერი, კიდევ გადამიარა...

— არა, ჩემო ამალია, უნდა შემატყუებინო რა იყო, თორემ შენზედ ძლიერ ვიტანჯები.

— რად იტანჯები, რადა, საათმა დაჩქავა და იმისგან მომივიდა.

ედუარდომ ღრმად ამოიხარა. მთახებში კიდევ სიხუმე ჩამოვარდა და ახლად ჯვარ-დაწერილთა თმებიდამ თეთრი ვარდები ჩამოსცვივდათ.

თავი მეთორმეტე.

საქორწილო მეფლიში.

წოდესაც საათმა ათი დაჩქავა, ზედრომ გააღო ეზოს კარები, წადგანაც დანიელის დიღინი გაიგონა.

ამაღია საათის ხმაზედ კიდევ უფრო შეჭკრთა და დააყრდნო თავის თავი ედუარდოს გულს.

— ეს რა მომდის, ჩემო საყვარელო, ედუარდო?! ჭკითხა მან და თვალებში სიყვარულის ნახევრწკაღმა გაიქვია. მე თავის დღეში ეს არ მომსკლია; ეხლა კი რამდენიც საათი გადის, იმდენი გულიც ცუდად მიხდება.

— ჩემო ანგელოზო, ეგ თქვისაგან მოგდის და სხვა არაფერია... მაგრამ თითქოს ვიღაც შემოვიდა წაღაში.

— უსათუოდ აუიზა იქნება.

— არა, მე მოგინა დანიელია.

ყმაწვილმა კაცმა აკოცა თავის მკერდ-ფასს ცოლს, გავიდა წაღაში და იქ მარტლას თავის მეგობარი დახვდა.

ამაღიამაც დაუძახა აუიზას და უთხრა ეთქვა ზედროსათვის, რომ ჩაი წაღაში შემოეტანა. წაღაშივე შევიდა თვითონ ამაღიაც, სადაც დახვდნენ მას თავის ქმარი და დანიელ.

— უკუაფერი გარბობულის და მზად არის. ღამის თორ-

მეტ საათზედ მოგვიხდება წასვლა. მაშასადამე რჩის საათის უკან წავალთ.

ედუარდომ გამოართვა ამალიას ხელი და თითქოს მზად იყო გადაეტა მისთვის თავისი სული და გული. დანიელმა შეხვდა მათ და უთხრა:

— ბედმა ჩემმა მიმუხთლა და კერ ადმისრულდა გულის ნატვრა. მე მიხდოდა ჩემი და თქვენი ბედნიერება ერთად შენახა, მაგრამ ვაი რომ ეს სურვილი არ ადმისრულდა...

ამ სამწუნარო სიტყვების შემდეგ დანიელ ხელახლად გამხიარულდა და გაამხიარულა თავის მეგობრებიც. — მერე უთხრა ედუარდოს:

— რა, გინაღამ არ დამავიწყდა, ედუარდო, მეკითხა შენთვის: რა უყავი შენი პატარა ყუთი წერილებით?

— რა პატარა ყუთი? რა წერილები? გაუკვირდა ედუარდოს, მაშინ რადესაც ამალიამ დაუწყო მას დაშტერებით ცქერა.

— ის ყუთი, სადაც, როგორც მახსოვს ამალიას თმა იყო შენახული, უთხრა ედუარდომ.

— ხომ არ გაგიყებულხარ!...

— სრულიადაც არა.

— დამალვა რა საჭიროა, პატრონო? შენ როგორღაც კანკალებ იმ თმების მოგონებაზედ, ხომ არ გინდა დამიდარო რამ? წარმოსთქვა ამალიამ.

— დიკრთმანი ამალია მე მაგისტანს ყუთი თავის დღეშია და არა მქონია და ან რა წერილებზედ ლაპარაკობს დანიელ, არ ვიცი.

— უარის თქმა რა საჭიროა, სთქვა ყურუბამდის გაწითლებულმა ამალიამ.

— ხედავ, დანიელ, შენი ხუმრობა სადამდის მიდის! უთხრა ედუარდომ, როდესაც გაიგო თავის მეგობრის განზრახვა.

— სწორედ, ჩემო მეგობარო...

— დიაღ, სწორედ; შენ თვითონ ჰხედავ, რომ კარგი არაა ჰქენი.

— რას ვხედავ?..

— იმას, რომ ამალამ თავის სკამი ჩემს სკამს მოაშორა. დანიელმა გადიხარხარა, მეჩუ ადგა, ორივეს ხელები ერთი-ერთმანერთს მისცა და სთქვა:

— ძალიან ცუდად იქცევით, ძალიან. ჩემი ფეხოვნისა უფრო სხვა რიგად მოიქცეოდა.

— არა, არა, ეგ შენ უმიზეზოდ არა სთქვი. უთხრა ამალამ.

დანიელმა ხელმეორედ გადიხარხარა და ამან დააწყობუნა ედუარდო და ამალა, რომ იგი ხუმრობდა. ამ დროს ლუიზამ ერთი საშინლად დაიწიკლა.

სინამ დანარჩენნი გაიგებდენ ამ წიკილის მიზეზს, რამდენიმე კაცი დაინახეს ლუიზას ოთახში, რომელნიც ზაღისკენ მოდიოდნენ. უკუღამ იარაღი აისხეს.

— გვიშკელე, დანიელ, გვიშკელე, უკიროდა ამალა. როდესაც ედუარდო დამბახებს ისხამდა.

— გიშკელით, გიშკელით, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ კი; ეხლა ლაშარაკის დრო აღარ არის.

ამ დროს რამდენიმე რაზმის ავანსკოთ გაისროლეს დამბახები, დანიელ კი კარებში სკამებს აგროვებდა.

— ღმერთო ჩემო, პედრო მოჭკლეს! დაიფიცა ამალამ და მარცხენას ხელით მოეხვია ედუარდოს.

— არა, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ! წამოიძახა პედრომ, რომ-

მედიც შემოდირდა ტალანდამ ზალაში. იმის პირი და გული მოსკრილი იყო სისხლში, რომელიც ჭრილობიდან გადმოსდიოდა; მან გამოსტაცა ედუარდოს ხმალი და ცდილობდა ზალის კარების გამაგვრებას.

კალაში ვერ ასწიეს ამ საშინელს არეულ-დაჩეულობას.

— შენ ჩვენა გვლუპავ, ამალია, დამანებე თავი, წადი სადმე უშიშარს ოთახში!... უყვიროდა ედუარდო თავის ცოლს რომელიც ებლაუჭებოდა მას. მაგრამ ედუარდოს ხმა აღარ ისმოდა ავაზაკების დამბახების სრულში, რომელნიც შემოცვივდნენ ოთახში და რომელთაგანიც ერთი წაქცია ედუარდოს ნასრულმა დამბახამ.

ედუარდოს სრულამ თუმიცა ცოტა არ იყო უკან დასწია ავაზაკნი, მაგრამ ამ დროს ორი მათგანი გაშმაგებულნი წინ წამოვიდნენ. ამ დროს ედუარდომ მოხვია ხელი თავის ამალიას და დივანზედ დასდო, მეჩე გამოსტაცა პედროს თავის ხმალი. პედრო ამაოდ ცდილობდა შეემაგვრებინა თავი, იგი სისხლიდამ დაიწალა და დაეცა დივანის წინ, რომელზედაც ამალია იყო დაწოლილი. ცოტა ხანს უკან დანარჩენი ავაზაკებიც დაერივნენ ოთახებში.

— ამალიას უშველე, დანიელ, ამალიას! მე მარტო დამანებე თავი! ყვიროდა ედუარდო. როდესაც დანიელ მივიდა ამალიასთან ნახს, რომ პედრო უკვე მოძუკდარყო და ორივე ხელებით შემოხვევოდა თავის ქალ-ბატონს ამალიას. მასინ ედუარდოც მივიდა და ჩაიკრა გულში თავის ცოლი. მაგრამ ამ დროს ედუარდოც სასიკვდილოდ დასჭრეს.

ამ საშინელს დროს კარებმა კიდევ საზარლად დაიჭაჭუნა, ლუიზა იქით გაექანა და გაიგო თერძინის ხმა, რომელსაც კარები გაუღო. ამ კარებიდან შემოვარდა ერთი მოხუცი კაცი.

— მოიტადეთ! მოიტადეთ! თუ რაზასი გწამთ, მოიტადეთ!
 ჭკვირლდა მოხუცი კაცი, ანაზღუელად აქ მოკლენილი.

უკვლამ გაიგო ამ მოხუცის ხმა, გარდა ედუარდოსი,
 რომელსაც უკვე ამოსვლლდა სული და თავი დაუბრუნებელი
 ჭკონდა ამალიას გულზედ; ამის შემდეგ ამალიასაც წაუვიდა
 გული და დაეცა ედუარდოს სისხლში.

ამ დროს თერთმეტი საათი იყო.

— აქეთ, ჩემსკენ, მამა ჩემო! ამალიას უშველე, უვირლდა
 დანიელ, რომელსაც თავის მამის ხმა გაიგონა.

ამ დროს დანიელ ხელმოკრედ დასჭრეს, იგი დაეცა თავის
 მამის მკლავზედ, რომლის სიტყვამაც შეაწუპოტინა ავა-
 ზასკო დამბახების სრულა, მაგრამ გვიანდა იყო!

ეპილოგი.

ისტორიულმა მატთანემ იქნება ბოლოს დროს შეგვატ-
 უბინოს ბედი იმ პირობა, რომელნიც ამ მოთხრობაში აჩიან
 გამოყვანილნი, ესლას კი მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ იმ
 საშინელის დამის მეორე დღეს მერობლები შევიდნენ ამალიას
 სახლში და ოთხი მკვდრის მეტი პერა ნახეს-რა; ისინი იუვნენ
 მოხუცი პედრო და სამნიც წევრნი ხალხის საზოგადოებისა.
 ეს მკვდრები აქ მეორე დილაშდის ეწევნენ, მეორე დილას კი
 ჩაჭყარეს ურემში და წაიღეს.

ამბობენ აგრეთვე, რომ მისტერ სლედის სიკვდილის შემ-
 დგომ შემდეგ აღწერილის ამბების ჩამდენიმე კვირის უკან
 მოხდა დონ-კანდინო რომდრიგოც აღარ ანებებდა თავს ამერი-
 კის კონსულის სახლს, ასე რომ ძალისძალად დაეცლევინ-
 ეს.

დონა მარსელინაზედ კიდით მარტო ისა, რომ იმას უნ-
 დოდა დონ-კანდინოს შეტყა, მაგრამ დონ-კანდინომ უარს
 გამოუცხადა. რაზასი? რამელს ბოროტ-კაცს არ ამოუჭამია
 კუთლი კაცები და არ უცხვარნი იმანზედ დიდ ხანსა.



[Faint, illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]

ჰინაღა.

ტურთავ, ტურთავ! ჩას უუურებ,
მლაცურე ჩემსკან ნაკი,
ერთად დავსხდეთ და ვუუურეთ
რეგორ აჩხევს წყალს ნიავი.

ნუჩას თუქრობ ჩემზედ ავსა,
გულის მხურვალედ ჩამეკარო;
თუ რამი შენს თავს ანდობ ფლავსა—
მე რით-და ვარ უნდობარო.

მაგრამ გუჯიფ ხომ ფლავს აჩის,
ხან ღელავს და ხან მშვიდდება
და ძვირთვასი მარგალიტი
იმაშინაც იმალება.

ნ. ბაქრაძე.

ისტორიული სურათები.



ქართული ქალი

(დასასრული). *)

1712 წლიდან პოლიტიკურს ასპარეზზე კახეთში მოქმედებს თეიმურაზ მეფის ცოლი, თამარ. ეს დედოფალი იყო ასული ქართლის მეფის, ვახტანგ მე VI-სა. მის შერთვამდე თეიმურაზს ჰყავდა ცოლად ქალი ბაინდურ ერისთვის, მაგრამ სამღვდელთების ნება-დართვით განუტევა განონიერი ცოლი და შეირთა თამარ. ეს საქმე იმ განზრახვით მოახდინეს, რომ ქართველთ ეწინააღმდეგეთ მეფეთ მოყვრების კავშირით ქართლსა და კახეთს შორის ერთობა ყოფილიყო. ეს კეთილი განზრახვა მათი ასრულდა კიდევ, რადგან „თამარ იყო სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“.

გახდა თუ არა თამარ დედოფლად კახეთისა, მაშინვე თავი იჩინა. საქართველოს ბედზე და პოლიტიკურს მდგომარეობაზე მან დიდი გავლენა იქონია. იმისი დედობრივი გული ყოველგან იჩენს კაცის შებრალებას, მოწყალებას, სულ-გრძობას და ქვეყნისთვის გულ-შემატკიცრობას. იგი მხნეობდა და მოქმედებს მაშინ, როცა საქართველოს უჭირს. მაგალითად,

*) «ივერია» № 11 1882 წ.

1739 წელს ზოგიერთა თავადებზე გაჯავრებულმა შაჰნადირმა განიზრახა ქართლ-კახეთის გამორჩენილ პირთ გაწვევა და ხალხის სპარსეთში გადასახლება. მეფემ და ქართველებამ არ იცოდნენ რა ექნათ და როგორ მოქცეულ-იყვნენ, რომ სამშობლო ქვეყანა ამ განსაცდელისაგან დაეხსნათ. მეფე კერძო წინააღმდეგობის გაწევას ბედავდა სპარსეთისათვის, კერძო მისულას წინაშე შაჰნადირისა, რომ პირის-პირ შეხვეწნოდა, ახსნას საქმის გარემოება და ის მიზეზები, რომელთაც გამორჩევას საქართველოს თავადობა მის წინააღმდეგ მოქმედებისათვის და ამ სახით დაემშვიდებინა მისი განრისხებული გული. ამ გაჭირვებულ დროს ¹⁾ მოხდა რჩევა—ვინ უნდა გაეგზავნათ ელჩად დაღესტანში შაჰის დასამშვიდებლად. მამა-კაცთაგან აჩაკინ აღმოჩნდა ისეთი მცოდნე, გამოცდილი და გონება-გამჭრიახი, რომ აღესრულებინა ერის მინდობილება. მივარდა საქმე თამარ დედოფალზე. მან მხნედ მიიღო ელჩობის თანამდებობა, გაიყოფა რამდენიმე წარჩინებულთ ქართველთ ცოლნი და მივიდა დაღესტანში. უშიშრად წარსდგა წინაშე მძლავრის შაჰისა, მხნედ და დარბაისლურად აუხსნა ყოველი-ფერი, დაარწმუნა შაჰი, რომ ქართველები დიდს შეწუხებაში არიან დაღესტანში იმის ჯარებისათვის სურსათის ზიდვით და გაღარბებულან, რომ თავის-თავის კვებაც აღარ შეუძლიანთ, არამც თუ სხვას კიდევ საზრდო-საცხოვრებელი აძლიონ; დაუმტკიცა მას, რომ არც ქართველი ხალხი, არც მეფე თეიმურაზ და არც მისი შვილი ირაკლი მისი წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ სიღარბე ხელს უშლის ხალხს, რომ მისი სურვილი უნაკლულად აღასრულოს. მოლბა გაბორჩოტე-

1) შაჰნადირი ამ დროს დაღესტანში იყო და ლეკებს ეომებოდა.

ბული გული მძლავრის შაჭისა დედათა ნაწინად თქმულის ტკბილის სიტყვისაგან და უკუ აგდო ავი განზრახვა თვისი; სცა დიდი ჰატივი თამარს: მოეპყრა რეგორც დედას, მისცა დიდი საჩუქრები და გამოისტუმრა კახეთსაკუ. მასთანაკუ მი-სწერა ბრძანება თბილისში მყოფ სპარსეთის ჯარებს— აწამცა და აწამც ან გაეხედნათ ქართლ-კახეთის აკლეს და ალხება.

დალესტანში შაჰნადირი ერთი წელიწადი და შვიდი თვე დაწნა. იმან დაამშვიდა ლეკები და შემობრუნდა საქართველ-ში. დედოფალი თამარ და მისი მული ბეკუმი, ცოლი აბდუ-ლა-ბეგისა (აჩილისა), მივიდნენ კიდევ შაჭისთან და ნახეს. რა საჭმე ჭქონდათ იმათ ამ დროს ქართლის ცხოვრება ან ამბობს. მოგვითხრობს მხალად, რომ ყაენმა ისინი ჰატივით მიიღო და რიკეს დაუნიშნა პენსია (ინამი). გარდა ამისა დე-დოფალს დაუნიშნა ექვსასი თუმანი ჯამაგირი წელიწადში; მაგრამ შემდგომი იმათის ნახვისა ამტკიცებს, რომ მათ ჭქონ-დათ მასთან ლაჰარაკი თეიმურაზის კახეთის მეფედ დამტკი-ცებაზედ, ყაზახ-ბორჩალოს ხალხებისა და ქიზიუის საქართვე-ლოსთან შემოერთებაზე. „დედოფლის თხოვნითაჲ, ამბობს მატთანე, მისცა შაჰნადირმა ელი კახეთისა, რაც ძველთგან ჭყო-ლადათ კახთა მებატონეთა“¹⁾. რომ კახეთის სამეფო ტახტი თეიმურაზმა მართლაც თამარის მეცადინეობით დაიმტკიცა, ამას მოწმობს რუსის მწერალი ბუტკოვიცა. „თეიმურაზ მეფის მეუღლის თხოვნით, ამბობს იგი, შაჰ-ნადირმა დამტკიცა ის (თეიმურაზ) კახეთის მეფედ და მისცა არაგვის მარცა, და აგრეთვე ბორჩალო და ქიზიუი, რომელნიც ამ დროს განჯის სახანოს ეკუთვნოდნენ“²⁾.

¹⁾ იხ. ქართ. ცხოვ. მე II ნაწ. 358.

²⁾ იგივე მწერალი ამბობს, რომ ამ ხანებში შაჰნადირმა ნახა გი.

თამარს დიდი გაკლენა ჰქონდა ქართლის ბედზედაცა. 1743 წელს დომენტი ქათალიკოზი, მისი ღვიძლი ბიძა, ძალიან ავად რომ გახდა, თამარი ჩამოვიდა თბილისში მის სანახავად და ურჩია დაენიშნა ქათალიკოზად ანტონი I. მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ინება ქათალიკოზობის თანამდებობის მიღება. ამისთვის, მისივე სურვილით, ქათალიკოზად დასვეს ეპისკოპოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე. შემდეგ ამისა დომენტი გარდაიცვალა, „კითარცა ჰქონდა მეფეთა ასულთასა, ეგრე შემწე ექმნა დედოფალი თამარ და მიასვენეს დიდსა სამეფოსა ეკლესიას მცხეთას“.

მაგრამ თამარ მარტო ბიძის ავად-მყოფობისა გამო არ ჩამოსულა ამ დროს თბილისში. რადგან მას დომენტის მოჩენის იმედი აღარ ჰქონდა, თბილისში იმ გაუზრახვით მოვიდა, რომ ქართლის გამგედ გამხდარ იყო. ამ აზრს ამტკიცებს ბუტკოვი: ის ამბობს: რადგანაც მისი ძმა ვახტანგ მე-VI და მისი ძმა ბაქარ რუსეთში იყვნენ, ქართლის სამეფოს სხვა შემკვიდრე აღარავინ ჰქონდა. მართალია, შაჰნადირმა ვახეთის მეფობა თეიმურაზს რომ დაუმკვიდრა, მაშინ ქართლის მეფედ დასვა ალექსანდრე ბაგრატიონი, მისი წული თეიმურაზისა, მაგრამ ალექსანდრემ უფრო რსმალეთის მხარე დაი-

ვი ამიჯანობის ასული, ძალიან მოეწონა წაართვა ქმარს ანტონს, რომელიც ამის შემდეგ ბერად შესდგა და იყო საქართველოს ქათალიკოზად 1790 წლამდე. ეს ანტონის ცოლი, ანუ დანიშნული, შაჰის უნდა ენახოს და მოსწონებოდეს ან 1736 წელს, როცა იგი იმყოფებოდა თბილისს, ან 1742 წელს, როცა დედოფალი თამარ მივიდა თავის ამალით შაჰნადირის სანახავად (იხ. материалы для новой Истории Кавказа Буткова часть I გვ. 135, 136, 137, 217 და 228; აგრეთვე ქართ. ცხოვრება გვ. 351 და 357).

ჭირს, კიდრე სპარსეთისა. ეს ეწეინა სპარსეთის შაჰის, ჩამო-
 ართვა მას მეფობა და დასვა სპარსეთის ხანები: ერთი თბი-
 ლისში, მეორე ქართლში. ამის გამო ოხრდებოდა ქართლის
 სამეფო და ესეთი ყოფა სამშობლო ქვეყნისა ძლიერ სწეინდა
 თამარს. აი ამ მიზეზით ჩამოვიდა თბილისში. მას ჭქონდა
 განზრახვა დაეხსნა სამშობლო ქვეყანა მავნე გამგებელთაგან.
 შეჭყარა ქართლის თავადობა და სთხოვა, მისთვის მიეტათ
 დროებით სამეფოს გამგობა, კიდრე მისი მამა ან ძმა და-
 ბრუნდებოდნენ რუსეთიდან. დაჯერა ყველანი, რომ იგი არ
 აუფლებს ქართლში არც თავის ქმარს და არც შვილს. ამისე
 ქართლის თავადობაც დათანხმდა. მაშინ თამარ წავიდა სპარ-
 სეთში და დაამტკიცებინა ნადირს დროებით თავი თვისი გა-
 მგებლად ქართლის სამეფოსა. ამასთანავე სპარსეთის ნება-
 ყოფლობით მისწერა რუსეთში თავის მამას დაბრუნებულყოფა სა-
 ქართველოში და ემეფა. ამ თანამდებობაში იგი დარჩა ორნი
 წელიწადი (1741—1743 წ.)¹⁾.

მაგრამ ქართლის შემკვიდრები არ დაბრუნდნენ რუსე-
 თიდან. ამისათვის 1744 წელს შაჰნადირმა ქართლის მეფობა
 მისცა თეიმურაზს, კახეთისა ერეკლეს. იწეინა გივი აძილა-
 ხოლმა, რომელიც, ბუტკოვის სიტყვით, ქართლში ბაქარისაგან
 თავის მაგივრად დაუენებული იყო. ასტყდა ჩხუბი თეიმურაზსა
 და გივის შუა. დიდხან იბრძოლეს. ყველანი მეტადინებდნენ
 გივის დამშვიდებას, მაგრამ კერც თეიმურაზის თხოვნამ,
 კერც ერეკლეს ხვეწნამ და კერც შაჰნადირის მუქარამ
 კერც შეაშინა იგი: გამაგრდა სურამის ციხეში და ყველას
 ემუქრებოდა. მეფემ ხმლით რომ კერც აიღო, მისცა სურამის

1) ნახ. БУТКОВЪ СТР. 229.

ცხეს ლაღმი და ცხის ნახევარი სულ დახვრის და შიგ მყოფთაც ბეჭი ავნა“. შეშინდა აძილახორი, დაუწყო მეფეს ლაზარაკი და შემოუთვალა: «ბატონი დედოფალი მობძანდეს და იმას მიკენდობილ». თამარ ამ დროს თბილისში ბძანდებოდა: დაიბარეს იგი, მივიდა სურამს, გამოვიდა აძილახორი, იახლა დედოფალს, მიაჩთვა თავის საქონლის დაკთარი, — ესეც თიციით დაუდგა მას თავდებად, რომ არა გეგნებარა, შეარჩია მეფესთან, წამოიყვანა და მოვიდა თბილისს. თეიმურაზმა შეატყობინა ნადირს აძილახორის შეჩივება და სთხარა ეპიტოკებინა მისთვის დამნაშაობა. მაგრამ შაჰიმ დაიბარა იგი თავისთან სპარსეთში, და რადგან თამარის სიკვდილამდე აღარ გამოუშვეს საქართველოში, ამისთვის ვიტირებთ, რომ გივის სპარსეთში წაყვანა დედოფლის სურვილით მოჰსდებოდა. ამის შემდეგ თეიმურაზს უგურთხეს მცხეთის სობორლოში სამეფო გვირგვინი. ეკლესიიდგან რომ გამოვიდა ჭ სამეფო ტახტზე დაბძანდა, მაშინ მივიდა დედოფალი თამარ, მიულოცა გვირგვინის კურთხევა და გადაეყარა «გუარია». მას თან ახლდნენ ამ დროს მეფე ერეკლეს მეუღლე, შაად აბაშიძის ქალი და ვახუშტი აბაშიძის მეუღლე ანუკა. ეს უყანასკნელა იყო დედოფლის დვიძლი და.

ახლა მეფედ ქართლისა თუმიცა თეიმურაზ იცნობებოდა, მაგრამ ხამდვილი გამგებელი ჭკუენისა იყო თვით თამარ. «ქართლი მე თამარს მივეცი და არა შენათ და შენ კი იმდენად უმაღური კაცი ყოფილხარა, რომ ღირსეულად მაინც არის ვერ იგლოვე მისი სიკვდილილ» ეუბნება თეიმურაზს შაჰნადირი. მართლაც რომ ღირსი იყო ეს სახელგანთი და შესანიშნავი დედოფალი გლოვისა. თეიმურაზ დიდად იყო მისგან დაუღებული. მისის მეტადინეობით ის გახდა მეფედ ჯერ კა-

ხეთისა, მეტე ქართლისა. სიკვდილის დროს, ამბობს ბუტკოვი, თამარს სთხოვა და დაითანხმეს ქართლის თავადობა, ჭეშოვლადთ მეფედ თეიმურაზ. ის მოკვდა 1747 წ. საყვარელის დის ანუკას სიკვდილის დაწდისაგან (ნახ. სტრ. 230).

✓ დედოფლის სიკვდილმა შანადიჩი ძლიერ შეაწუხა, რა მიზეზით? მანუდიანს რაზე უწუხდა გული? განა დედოფლის სიკვდილი რაიმე დანაკლისს შეადგენდა მისთვის? ეკენი შეწუხდა თამარის სიკვდილის გამო პირველად იმისათვის, რომ შიშობდა ქართლ-კახეთი ახლად სამუდამოდ არ შეერთდეს თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობითა, მეორედ ამისათვის, რომ თამარ პოლიტიკურს საქმეებში გამოცდილი ადამიანი იყო; ის ბევრჯერ ყოფილიყო ეკენტან სპარსეთში საქვეყნო საქმეების გამო, მიეცა მისთვის შემწეობა საქართველოს დამშვიდებაში, და ამისთვის ეკენი იმას უყურებდა, როგორც დედას. საქართველოს შესახებ თუ რაიმე მოსალაშარაკებელი საქმე ჭქონდა ეკენს, მუდამ თამარს იხარებდა თავისთან, ესეც თან გაიყოფებდა ხოლმე აბდულა-ბეგის ცოლს ბეგუმს და თავის დას ანუკას და მიდიოდა მასთან საქართველოს ბედზე მოსალაშარაკებლად. თვით სპარსელები თავიანთ დედოფლის მსგავსად უყურებდნენ. არამც თუ მარტო ამ დედოფალს და იმ ქალთ, რომელნიც მას თან ახლდნენ ხოლმე, ჭქონდათ გავლენა საქართველოს ერის ცხოვრებაზე და პოლიტიკურს მდგომარეობაზე, არამედ საქართველოს სხვა დედოფალნიც არ იყვნენ მოკლებულნი ამ უფლებას და გავლენას. იშვიათად ნახავთ გუჯარსს და სიგელს, რომ მეფისა და დედოფლის სახელით არ იყოს დაწერილი. არასოდეს მეფე არ ერევა უდედოფლოდ მიწა-წყლის მფლობელობისა ანუ ეკონომიკურს საქმეებში. მათ ჭქონდათ თვისი საკუთარი მამულებიცა. მეფე ვახტანგ მე-VI-ს

დასტუმარაში სწერია: ძველადგანვე დედოფლის ხელში იყო
 თბილისისა და მანგლისის ეპარქიები და მას ეძღვრებოდნენ
 აქ მცხოვრები თავადობა, აზნაურნი და გლეხნი თავიანთის
 მიწა-წყლითა და მამულებითა. მათნი ხელ-ქვეითნი ყოფილან
 დაბასის თავადები: გერმანოვის-შვილი მთაწ, ჰაზუნა, გუ-
 გუნა და ვაჩაშა თავიანთ აზნაურებითურთ; დაბასელი (при-
 дворный) თავადი მანუხა და გუგუნა ბაჩათაშვილები თავიან-
 თის ყმა და მამულითა; სუფრაჯია ბაჩათა და შერმადინ სო-
 ლაღაშვილები; ახაშის შვილი დავით, შერმაშან მერაბაშვილი,
 ხუთი კომლი საგინაშვილები, სამი კომლი თულაშვილები და
 ყოჩხანა-შვილი ჰასტა თავისის ყმითა და მამულითა. ამავე
 ვახტანგის დასტუმარაში სადედოფლო სოფლებათ არიან მო-
 ხსენებულნი: მფრეთი, გამომა ნახიდური, წინ-წყარო, შუა-
 ბოლნისი, ჩხიკვი, გომარეთი და ურწყვანი. ყველა ეს თავა-
 დები და სოფლები იყვნენ სომხითში, მაგრამ დედოფალს
 ჭეზნდა საკუთრება ქართლშიაც. მაგალითად სადედოფლო მა-
 მული იყო მთლად რუისის ეპარქია. წმიდათა მამათა ცხოვ-
 რებაში სწერია, რომ დედოფალთ იმოდენა უფლება ჭეზნდათ
 ამ თავიანთ საკუთრებაზე, რომ ქათალიკოზს არ შეეძლო
 მათთვის შეუკითხვად ეკურთხებინა ეპისკოპოსი მათს მამუ-
 ლებში მყოფ ეპარქიების მოსაკლავად. რა მიზეზითა, იგი-
 თხავთ? იმ მიზეზით, რომ დედოფლის ვაჟდებულებას შეა-
 დგენდა—ეზრუნნა ეპარქიის კეთილ-დღეობისათვის. იმას ეჭი-
 რა თვალ-ყური ქვრივებზე და ობლებზე, მონასტრების კე-
 თილ-დღეობაზე, ეკლესიების განახლებაზე და ახლების აშენე-
 ბაზე. ასეთი წესდებულება საქართველოში, რადგან ძველად-
 განვე ყოფილა, იგი დაუძტვიტებია მე XVII საუკუნეში, მე

XII მეოვეს გიორგისა:ც¹⁾ საქართველოს დედოფალი ზნუ-
ნავდენ ქრისტეს საწმუნოების გაძლიერებასა და ეკლესიების
გამშენიერებისათვის არამც თუ თავის საკუთარს მამულებში,
არამედ ყოველგან საქართველოში. მაგალითად, 1501 წელს
ალავერდის ეკლესია განახლეს ალექსანდრე მეოვე და მისმა
ცოლმა ნესტან-დარეჯანმა; 1651 წელს დაიჭრა მცხეთის ეკლესიის
გუმბათი და აღაშენა როსტომ მეოვე და მისმა ცოლმა
მარიაძმა; 1741 წელს დაიჭრა მიწის ძვრისაგან ალავერდის
ეკლესიის გუმბათი და აღაშენა თეიმურაზ მეოვე და მისმა
ცოლმა თამარმა, დედამ მეოვე ერეკლე მეორისამ²⁾.

თამარ დედოფლის მეცადინეობით თუმცა შეერთდა
ქართლ-კახეთის ერი, გაძლიერდა საქართველო ერთობით,
დაუწუეს მტერს შეერთებულის ძალით ბრძოლა, მაგრამ ამის
შემდეგ ქართველთ ცხოვრება უფრო და უფრო გამწარდა.
დაუწუო მტერმა ყოველ მხრით დაუწყნარებელი რბევა და
აზრება ქართლსა და კახეთს. მამა-კაცნი თავ-განწირვით ებრ-
ძვიან ლეკებს, სწავსელებს. ბევრმა მათგანმა გამოიჩინა სა-
გვირგელო მამაცობა, უშიშრობა, მხნეობა და დასტოვა კეთი-
ლი სახელი ამ წუთის სოფელში; მაგრამ ამ უღმობელს დროს
არც დედაკაცნი იხდენ გულ-ხელ დაკრეფილნი. ბევრმა მათ-
განმაც მოჭკიდა ხმაღს ხელი სამშობლო ქვეყნის დასაცუელად.
ბევრმა დედათაგანმაც გამოიჩინა თავი ვაჟ-კაცობით და ქვე-
ყნისათვის გულშემატკივრობით. ცოდვა იქნება, რომ ახლა
ამათი სახელიც არ ვახსენოთ.

1753 წელს დაღისტნის ბელადი ნუცალბეგ მოადგა დი-

¹⁾ იხ. Описание г. Тиф. Иоселиани, გვ. 200 и 201.

²⁾ იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე II გვ. 353 432.

დის ჯარებით კახეთში მჭადი ჯვრის ციხეს, შიგ მყოფნი ქართველნი გამაგრდენ, მაგრამ ლეკნი მას მაინც მალე აიღებდენ, თუ რომ ერთს მოხუცებულს დედა-კაცს არ გამოეჩინა მსხეობა და გამბედაობა. მტერმა შვიდ-ჯერ ციხეზე მიიტანა სათვარი, მაგრამ გამაგრმა დედამ ისინი არ მოასვენა. თუმცა ვერ გაგვიგია რა ნაირად, მაგრამ მოხსენებულნი არის, რომ შვიდ-ჯერ მან სათვარი დასწვალ და მეჩვენს რომ მიაღვა, მხოლოდ მაშინ მოჰკლეს იგი ლეკებმან. სახელოვან დედას მაინც ტყუილად არ ჩაუარა შრომამ. მისმა მეცადინეობამ ლეკები დიდხანს შეაჩერა. ამასობაში მოესწრო ციხეს მეფე თეიმურაზ და ერეკლე და დაიხსნეს დამწევდელნი მტერთაგან ¹⁾.

ამავე ხანებში, ესე იგი 1770 წელს, თავი ისახელა აგრეთვე იმერეთის დედოფალმა. როცა მეფე სოლომონ და რუსეთის გენერალი ტოტლებენი ეძებოდენ იმერეთში ოსმალებს, მაშინ მათს ჯარში ერთი დედოფალიც. ბაღდადის ციხეს, რომელიც ოსმალთ ეჭირათ, რომ მიაღგნენ, დედოფალმა სთხოვა მეფესა და ტოტლებენს, ნება მომეცით პირველად მე შევება და შევიდე ციხეში. თხოვნა აღუსრულეს. ასტუდა ბრძოლა. ოსმალნი დამარცხდენ. დედოფალი მართლაც პირველად შევიდა ციხეში. ეს ამბავი რომ შეიტყო რუსეთის იმპერატორმა კატარინამ, ისე გაუკვირდა, რომ 18 აგვისტოს 1770 წელს შეატყობინა, როგორც ახალი ამბავი, სათვარანგეთის გამაგრებულს მწერალს ვოლტერს, და თავის წერილში ქართველები მიტრილად დიდის ჩამამაგლობად ჩასთვალა ²⁾.

ქართველნი ქალნი ვაუკაცნიც იყვნენ და თავის ნამუსის

¹⁾ იხ. ქართ. ცხოვ. მე II ნაწ. გვ. 504.

²⁾ იხ. БУТКОВА, стр. 282 და 289 წიგ. I.

დამცველნიცა, 1772 იგივე ზემოთ ხსენებული ნუცალ-ბებ მოვიდა ჯარით და დაეცა ქიზიყში სოფელს ბოდბეს. რამდენიმე უბანი სოფლისა კიდევაც აიკლეს ჭ მრავალი ხალხი დაატყვევეს. მათ შორის იყო დატყვევლი ერთი დედაკაციცა. ის მოსწონებოდა წუნკალა ლეკს და გაუბატოურება მოეწადინებინა. მაგრამ ნამუსის დიდად დამოყასებელმა დიაცმა თურმე წასძრო იმას ხანჯალი, შესცა მუცელში და იქვე მოჭკლას; მერმე გაიქცა და შეატყობინა სიღნაღსა და გარეშემო მეოფე სოფლებს. ზსალ ანდრონიკაშვილმა მაშინვე შეჭყარა მდეკარი, დაესხა მტერს თავს და განდევნა დიდის ზიანით ³⁾.

ამ დროს თუ გლეხთა ცოლნი და ასულნი იუვნენ მხენი და მეზომლნი, არც მათზე ნაკლებნი იუვნენ მეფეთა და თავადთა ცოლნი და ასულნიცა.

1778 წელს ქართლიდან მოდიოდა ქალაქში ქიზიყის მოურავის რეკაზ ანდრონიკაშვილის ქალი ქეთევან. ეს იყო ამ დროს უკვე ცოლი მეძკვიდრე გიორგი მე XIII-სა. მასთან ახლდა სამასიოდე კაცი. ისინი თუძცა უკელანი მოჩიგე ლაშქრის კაცი ეოფილან, მაგრამ მათ შორის არ ეოფილას ბრძოლის მეცნიერი კაცი და მხოლოდ მეფის რძალს თბილისში აცილებდენ. ღართის-კარს რომ მოსულან, მათ თავს დასცემია ხუთასი ლეკი. მაშინ თვით ქეთევანს მიუღია მხედრობის სარდლობა და შეჭბმია მტერს. «მაშინ თვით იქმნა თავი მხედრობისა თვისისა, ამბობს ქართლის ცხოვრება, და გაამხნევს მოჩიგენი, შეება ლეკებს ძლიერად და გასწევიტეს მოჩიგეთა მათ უძრავლესი ლეკთაგანია. მეფე ერეკლემ რომ შეიტყო ეს ამბავი, ისე გაეხარდა, რომ მაშინვე გაემგზავრა, რძალს წინ მიე-

³⁾ იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 508.

გება და მიულოცა ვაჟვაცობა, მხნეობა და გამაჩქვება. «მხიარულ ქმნილმან მეფემან შეიყვანა თბილისს დიდებითა დიდითა და ზარბაზნების სწოლითა, და ღამეს მას უოკელსა ქალასა იყო ჩირაღდანი». 1)

მეფის რძლის ამ გვარმა მხნეობამ და ვაჟვაცობამ ერთის მხრით ისე გაამხნევა დედა-კაცი რომ «ლართის-კარსა შინა თვინიერ მამა-კაცისა ვიდოდინ», მეორეს მხრით ფრინად შეაშინა ჯეკები და კელარ ერზოდენ ისინი ქართლს უწინდებულად თამამად. ისინი ახლას ახალ-ციხის მხარეს მიჰყვებნებევას. 1783 წელს 2000 ჯეკი თამამად დასერივნობდა ახალ-ციხის მაზრაში და არბევდა სოფლებს. დიდის საშოკრითა და ტყვეებით იმათ გადმოიარეს ბორჯომის ხეობა და მოვიდნენ სურამს. შეიტყო მეფემ, დაეცა მათ მოჩივის ლაშქრით და ძლიერად დაამარცხა. «მუნ დიაცმან ერთმან, ტყვეთა ქართველთამან შეიპყრა 2) შემპყრობი თვისი ჯეკი და მიიყვანა მხედრობასა შინა ქართველთასა» 1

ამ დედა-კაცის გმირულის მოქმედებით თავდება «ქართ. ცხოვრებაში» ფაქტები ქალების ცხოვრებიდან. სამწუხაროა, რომ ასე გაკვირით ულავარკინათ შემატანეთ ქართველს ქალებზე. რაც ფაქტები შემოკვირით ჩვენს წერილში, იქიდგან სხანს, რომ მათი მოქმედება უოკო ვრცელი უნდა უოფილიყო; მათ დიდი უოჯება უნდა ჰქონოდათ ოჯახში, სამოქალაქო ცხოვრებაში და სამეოფოს პოლიტიკურს საქმეებში. მაგრამ შემატანეთ არ მიუქცევიათ ბეჯითი უურადლება მათს ვაკლევისათვის საქართველს ისტორიულს ბედზე. ამისთვის ბეჯის

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 509.

2) იხ. იქვე გვ. 510.

გმირის დედა-კაცის სახელი არის გამოტოვებული. მაგალითად მე XVIII საუკუნეში მოქმედებენ სამნი გლეხის ასულნი. იმათი ვული ისე დამწვარ-დადაგული ყოფილა სამშობლო ქვეყნის მწარე მდგომარეობითა, რომ ველარ მოუთმენიათ და ქალობაშივე აუღიათ ხელში ხმალი მტრის გასაწყვეტად.

ასეთი ქალები იყვნენ: წყნეთელი მათა, წაკვისელი თინა და ვაშლოვნიელი თამარ. თვალთ მნახველთ და მომსწრე პირთ დაუტოვებიათ მოთხრობა, რომ ისინი ბევრჯერ განწყობიან მეფე ერეკლეს ლაშქარში და გამოუჩენიათ დიდი უშიშრობა, მხნეობა და ვაჟ-კაცობა. არა ერთხელ თვითონ წასძღოლიან ჯარს, გაუმხნეებიათ მამა-კაცი და დიდად დაუძარცვებიათ მტერი. ისინი ებრძოდნენ თურქე არა მარტო ვარკეთილ მტერს, არამედ შინაურსაც, რადგან მათის სიცოცხლისათვის გაუკრავთ კლანჭი შხამიან დროთა შეილება. მათი მოქმედების ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი ყოფილა ბატონთა ავად მოპყრობა. ახლა არ იქნება ურიგო, მოკლედ შემოვიტანოთ მათი ცხოვრება და მოქმედებაც ჩვენს ისტორიულს სურათებში.

1) მათა წყნეთელი იყო გლეხის ქალი. ის ყოფილა ძალიან ლამაზი. უცხოვრია მეფე ერეკლეს დროს. ჯერ კიდევ ასაკში არა ყოფილა შესული, რომ ბატონს თავის სახლში მიუყვანია. აქ იმას თავის უნებლივად დაუკარგავს ქაღწულაობა. ქალის უბედურებაზე დადარდიანებული დედ-მამა მალე გამოსაღმების წუთი-სოფელს: მამას ტყეში თავი ჩამოუღრჩვია, დედას სახლში სიმძივით თავი მოუკლავს. სვე უბედური მათა ვერ დასწრების ვერცერთის სიკვდილს, რადგან იმ დროს ბატონის სახლში ყოფილა. ძლიერ სწყენია მშობელთ სიკვდილი და განუზრახავს ბატონზე ჩივილი მეფესთან. ერთ ღამეს გა-

ზარულა მამის სახლში, ჩაუცვამს მისი ტანისამოსი, შეძრურ-
ურტყავს ხმალი, ხანჯალი, აუღია მხარზე მამის თოფი და ჩა-
მოსულა თბილისში, მაგრამ მეფესთან აღარ უჩივლია ბატონზე,
რადგან სდომებია თავის ქალობის დათვარვა. იმას უთქვამს
მხლელად მეფისთვის, რომ მე არც დედა მყავს, არც მამა, არც
ბატონი და ასე ვარ დარჩენილი ობლადალ. ახლა გიანუღით
თქვენთან და გთხოვთ მიუძღოთ. მეფეს მიუღია იგი. მას
დაუწევია სამსახური მამაკაცის სახით და სახელად უწოდებია
თავისთვის მათე.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, კახეთის მხარეს
დმსტეძიან ლეკები. მეფეს შეუურია საჩქაროდ ჯარები და თან
გაუყოლებია შინაუძანიც. მათ რიცხვში ყოფილა მანაცა. უკუ-
ლანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მანას-
ებრივი გაყვარება ვერავის გამოუჩენია. ამ დროს ის ყოფი-
ლა 20 წლისა. მეფე განცვიფრებაში მოსულა მის მხნეობისა,
სიმარდისა და გაყვარებისაგან და სისარულთ გადაჭხუვით
მას, ორთავ თვალებში, უკოცნია და უთქვამს: «ახ, შენ კი
გენაცვალე! კაციც შენ ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია». .
აქედგან რომ დაბრუნებულან თბილისში მეფეს კიდევ ამხავი
მოჩთმევია, რომ სომხითს თათრის ჯარები შემოესივნენ.
მასშინვე მდევარი დაუძახნიათ. შემდგარა დარჩეულის ბიჭების
დასტა, რომელიც პირველად უნდა შეჭბოდა მტერს. მათში
რეულა მანაცა. ომი მომხდარა სოღანლუსს ქვეით. მანასლოკე-
ბისა-თანავე ხმალი ამოღებულა მანას შეუჭენების ცხენი მტრის
გუნდში და ერთის სახელოვანის კაცისთვის ანაზღად გაუბღუ-
ბინებია თავი. ამასვე არეულა მტრის ჯარები და ისე დაუძა-
რცხებიათ, რომ ამხის წამლები კაციც აღარ დარჩენილა. ახლა
უფრო გაჭკვირებია მეფეს მანას გმირობა და უთქვამს: «დედის

შემდეგ შენ ხარ ჩემგან ღვიძლ შვილად მიჩნეული: შენ ხარ ჩემი შვილი, , მე შენი მამა; ნებას გაძლევ ამის მერმე აღარ მიწოდო მეოვე, არამედ მამა: ამისათვის რომ ყოველი შენ გვარის კაცი მეოვეს თავის თავისა და თავის სამშობლო ქვეყნისა; შენ ისე სინდისიანად და ერთგულად ასრულებ მამულის მოვალეობასა, რომ მაგასე მეტი აღარ შეიძლება კაცმა მოგითხოვოს.

მან თავ-ზარ-დამცემი ყოფილა როგორც განკეპე, აგრეთვე შინაურ მტრებისა. მის დროს როგორღ ვიწმავ კაცთ მიუყიდიათ თანამეტი გოგო-ბიჭი სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად წამოსულა მეოვესთან ერთი მოხუცებული კაცი. მეოვის კარზე მას დაჭხკედრია მან და გამოუკითხავს მიზეზი იქ მისვლისა, და რომ შეუტყვია ყველაფერი, მაშინვე შეუკრეოთ თავისი ამხანაგები, შემსხდაჩან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს: მისწვიან ღიჯოს ქვეით. დაუხარციათ ისინი, გაუნთავისუფლებიათ დაყიდული გოგო-ბიჭები და მეოვის კარზე მოუსხამთ. მან წამდგარა მეოვის წინაშე და უთქვამს: «მეოვე! ნება მიბოძეთ, რამდენიმე საჩივარი მოგახსენოთ, რომელნიც მე გულზე მაწვანან ჯაკრად.» — სთქვიო, მიუგია მეოვე ერეკლეს.

— დიდებულ მეოვე! ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს იმით ღმერთი და დაიხსნის ტანჯვათაგან?

— როგორ? რაზე ამბობ მაგას, შვილო? ჭკითხა კვლავ მეოვემ.

— რაღა რაზე, შენიჭირიძე: გლეხობა განადგურდა და გაწყალდა; ბოროტ-მოქმედთა კაცთაგან აღხარდა სოფლები. ბატონებმა დაჭყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადაჩია,

იმათ ვიდრე გუთანში, ურემში და კალში სულს აძრებენ. ერთი დედა-კაცი შეუბამთ კალში და ის უბედური უღელში მომკვდავს. მოგახსენებთ რა ამას, მეოვე, გთხოვთ მოკალხხართ, მოსპოთ ასეთი ავ-კაცობა და ბოროტ-მოქმედება.

— ბატონებზე საჩივარი, მართალია, ბეჭი ისმის, და ამ გვარი საქმეები საქართველოს დამღუბველია, მაგრამ, თუ მე ჩემის თვალთ ან ვნახე, ახა, ვის რა და როგორ გადავხდევინო. მე ამ გვარი საქმეები მხოლოდ სიტყვით მესმის, და საქმით ვი ვერასა ვხედავ.

— დიდებულ ბატონო! საქმითაც აი ერთი მე გახლავართ — მე გულ დამწვარი, დახატული და მშობელთა მოკლებული. მეორე — შენიჭირიძე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივრად, რომ ამა და ამ ავანკმა კაცმა შეიღებო დაკვიფდა; მე თქვენამდე არ მოვუშვი ისინი, შეკვები ცხენზე, გაკვიფლე ამხანაგები და წავართვი სპასელებს დაუდული გოგო-ბიჭები, და აი ამათაც ახლა წარმოვადგენ წინაშე თქვენსა. აი ესეც, შენიჭირიძე, დამტკიცება.

ამაზე მეოვე ძალიან გაჟავრებულა და გამწერა. მეორე დღეს მოუწვევია სასახლეში მღვდელ-მთავრები და შეუჩვენებიათ ავნი-კაცი ჯვართა და სახარებით.

ამ გვარის საჩივრებით ისე შეუწუხებია მათს ბოროტ-მოქმედნი, რომ მათ თავი მოჭებურებით და გაღუწვევით: ან როგორმე მოჭკლან იგი, ან მოაშორონ მეოვეს. ერთ დღეს მეოვეს ის სადღაც გაუგზავნიან. ეს შეუტყუათ მის მტრებს და გამოსდგომიან უკან, მაგრამ მათს ისინი დაუხარცნიან და ერთისთვის უთქვამს: «შენ რხეო და შეჩვენებულა! ახა რა ბეჭებიათ ჩემგან, რომ განგიზრახათ ჩემი სიკვდილი.»

იმას მიუჯია ცბიერებით: «ერეკლეს ჭნებავს შენი სიკვდილი, და არა ჩვენაო».

მეფის სახელის გაგონებამ მაიას თავ-ზარი დასცა. მან ეჭვი შეიტანა მეფეზე, შეშინდა, არ მოძულასო, განშორდა და გახდა უახლად. ის გადასულა თრიალეთისაკენ და დაბინა-ვებულა ერთს ტყეში, რომელსაც თურქე ხალხი «მაიას საბუ-დაჩსა» ეძახდა. აქედგან ის გამოდიოდა თურქე გზებზე, უსა-ფრდებოდა გამკლელ-გამომკლელ თავ-გასულ კაცებს, ჭხოცდა და ცარცვიდა იმით. ბოლოს შეუტყვიათ მტერთ მისი ბინა და დაუწვიათ დეგნა. მაშინ იმას დაუტოვებია თავისი საბუ-დარი და წამოსულა სომხითისკენ, დასახლებულა სოფლად და კიდევ არ განუცხადებია თავისი ვინაობა; მაგრამ თუ მტერი შემოჭსევია ამ მხარეს, ის კიდევ წასძლოლია წინ ხალხს და დაუძარცვებია. ერთ დღეს მეფე ერეკლე მისულა იმ სოფელში, საცა მაია ყოფილა. ჩადგან ერთის სოფლიდგან მეორეში აცილებდენ თურქე მეფეს სოფლელები, მაია გაჭყვა მას გა-საცილებლად, და ჩადგან ამ ყაძად ის მოხუცებული იყო, მეფემ ვერ იცნა. არავის ეგონა თუ მაია ცოცხალი იყო. ხმა იყო დავარდნილი, რომ დიდი ხანია რაც მოკვდაო. მიძაულა-ბის დროს მეფეს გზაზე მტერი შემოჭსვდა, და არავინ იყო ტყვია-წამლით მზად, გარდა მაიასი. იმან ჯერ ესროლა მტერს თოფი, მექმე იშიშულა ხმალი და ისე მიჭმარათა. ამის მხილველთ სხვათაც გული მიეცათ, გამხნივდენ, მიჭყვნენ მტერს და გაიძარჯვეს.

შემდეგ ამისა მეფეს უკითხავს მაიასათვის: «შენ, ძმობი-ლო, ვინა ხარ ეგეთი გმირიო?» «ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო: თქვენ მე მოსაკლავად დაძვედით, და აი ახლა თქვენს ხელთა ვარ, გნებავთ მოძვალით, გნებავთ დამა-

ჩინეთ. მე მხოლოდ ისეთს დროს ვეძებდი, რომ თქვენ მე-
ნახეთ პირის-პირ. ჩემს უახლოებაში მე არა ვარ დამნაშავე. მე
დავსრულე და თავი გადავიჩინე, და ამის შემდეგ ახა ჩოგორ-
და მოვსულვიყავ თქვენთანა... მე ვარ და ჩემი ბრალა, —
თრიალეთში აქამდე კაცები რომ იცაგრებოდენ. ამასთანავე
კაცხადებ წინაშე დიდებულისა მეფისა, რომ მე ვარ დედა-კა-
ცი და არა მამა-კაციო“.

მეფეცა და მისი მხლებელი თავადნიც განცვიფრებაში
მოუყვანია ამ საუბარს და უკელას ერთ-ხმად უპასუხებიათ მია-
სათვის უოკელივე დანაშაული. მაშინ მაიას გაუხდია კაცური
ტანისამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდ-ხანს აღარ
დასტლია სიტყვებზე. სპარსელები შემოჭსეკია საქართველოს.
მაინც გაჭრეკნია ქართველთ ლაშქარში ქალურის ტანისამოსით
და უომნია ძლიერად. სპარსელებს გაჭკვირებიათ მისი მამა-
ცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლივ დატერა. ის მარტლაც
დაუტყუებიათ და თან წაუყვანიათ; მაგრამ გზიდან გამოჭხა-
ჩვიათ და სხვებს ერეკნის ბოლოს მოუკლავთ. ამ დროს გა-
მოუთქვამთ მასზე შემდეგი ლექსი:

ქართლიდან გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგძლათა
შიში და ცრემლის ღვარია;
თრიალეთის ხევ-ღნარებში
შევიხახევი თავიო;
მერმე სომხეთში წაკელი
შიშისგან გიხსენ თავიო.
იქ ერეკლე ამობძანდა
შეკადრე სიტყვა აიო:

ბატონო მეფე! რად მიყავ

რად მიყავ, ესე ავიო? . . .

რძი მოგვიხდა თათრებთან

სულ გასწოდენ წყნეთელებიო,

აღარა დარჩნენ გმირები,

ატირდენ კლდე და მთებიო

მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,

სპარსეთში ვიხსენ თავიო,

მაგრამა ერევნის ბოლოს

დავკარგე თავი ვაიო.

2) მეორე ღირს-შესანიშნავი ქალი, წაკვირული თინა, უფროა გაბაშვილის უმა. იმას გამოუჩენია ისეთივე გმირობა, ხასიათის სიმტკიცე და გულთაღმი გულ-შემატკიცობა, რეგულარული მათა. სიუმაწყოლობაშივე მას მოუკლავს ღამით ქვეშაგებში თავისი ბატონი გაუპატრონებისათვის; მაგრამ დამნაშაობა მისი ვერ შეუტყვიათ. შემდეგ ამისა გასულა რამოდენიმე ხანი, ისა და კიდევ სხვა გოგო-ბიჭები მიუყიდნიათ სპარსელებისათვის. გზაზე მიმავლობის დროს მსუიღველთ მოუნდომნიათ მათთვის ნამუსის ახდა. თინას შეუტყვიათ მათი განზრახვა, დაუჩივებია თავის ერთ-ბედ ქვეშე მყოფი ამხანაგები, რეგულარუნდა მოქცეულ-იუნენ ამ შემთხვევაში. რეცა დაუწყვიათ მათი წვალება სპარსელებს, ქალებს, წაუძვრიათ მათთვის ხანჯლები და დაუხრცნიათ უკვლანი, თვითონ შემსხდარან მათსაკვ ცხენებზე, წამოსულან მეფე ერეკლესთან და უკვლათუნი დაწვრილებით უამბნიათ. მეფეს განჭკვირებია და უკითხავს: ვინ გასწავლათ ეგ ხერხიო? თინას ძალიან შეჭმინებია, ამ შემთხვევაში არ გამოაშვარაოს ჩემიერ ბატონის მოკვლაცაო. მაგრამ აზრადაც აჩავის მოსულა, რამ ბატონიც მისგან იუო.

მოკლული. მეფეს სხვა ქალები უკუაწილი დაუთხრებია, თინა კი
 სასახლეში შეუნახავს. სასახლეში ყოფნას თინაზე დიდი გავ-
 ჟენა ჰქონია: მას კარგად შეუსწავლია თათის სწავლა, ხმლი-
 ს და სანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა, ამის შემდეგ
 აღარ განშორებია მეფეს. მას სცემოდა კაცური ტანისამოსი.
 საცა კი მეფეს გაუღაშქრნია, ისიც თან გაჰყოლია. მას არა
 ერთხელ წინაშე მეფისა უსახელებია თავი მამაცობით, მხნე-
 ბითა და მტერთან ხმლის ხმარებით. არა ჰსურებია ქმრის
 შეერთვა, მაგრამ ერთს ომში თინასა და ერთს გლეხს ისე
 მამაცურად უომნიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი,
 მიუწვევია თავისთან ორივენი და უბძანებია მათთვის ცოლ-
 ქმრებით შეუღლება, მათ აღუსრულებიათ ბატონის ბძანება
 და დასახლებულან წაკისს. ამის შემდეგ თინა თუმცა დაშვი-
 ლიანებულა, მაგრამ მას მაინც არ მოუყლია ქვეყნისათვის
 სამსახური. ეს ყოფილა თავის სოფლის წაკისის მცველი
 მტერთაგან. ერთხელ მეფეს აქაური გლეხები უკუაწილი მდე-
 კრად გაეყვანა. ამ დროს თურმე დაუარდა ხმა, რომ წაკისს
 დარბევას უბიძგებენ თათრები. თინას შეუტყუია თუ არა ეს
 ამბავი, მაშინვე აურევია სოფლის დედა-გაძები გოგო-ბიჭებით
 ერთს კოშკში, აღსაკაღ კიბის სათათვეებზე დაუწყოთ ფურტ-
 კრის სკები, ჩაუკეტია ორივე მხრით ძირის კარები შიგნიდან
 და უბრძანებია: მე მივდივარ თბილისს მეფისთვის შესატყობი-
 ნებლად, თქვენ ნუ გეშინიანთ, მაგრად იყავით; თუ მტერი
 მოადგეს კოშკს, დაამტკიცოს ძირის კარები, ამოვიდეს კიბე-
 ზე, სათათვედგან კიბისკენ სვიდგან ფურტკარი გაუშვით, რომ
 მტერი ჩვენს მოსწრებადღე შეაჩეროს. ამ განკარგულების შემ-
 დგ თინა გამოფრენილა თბილისს მეფესთან. ამ დროს მტე-
 რიც მისდგომია კოშკს, შეუძტკრევია გარეთ კარები, ასულა

ბნელს კაბეზე და მისდგომია ზეგითა კარებს. შიგ შეხიზნულ ქალებს გაუხსნიათ სკა, გამოუშვიათ სათაფლიდგან კაბეზე ფუტკარი, რომელსაც დაუწევია საშინელი ბზუილი ბნელაში, და კბენა თათრებისთვის. ასე უწვალებით თათრები, ვიდრე თინა არ მისწრობია ჯარით და არ დაუძარცვებია მტერი.

ამის შემდეგ თინას ქმარი მოჰკვდომია და დარჩენია ორი ვაჟი შვილი. ერთს რქმევია გიორგი. აღამამად-ხანის მოსვლის წინ თინა ერთს ომში მტერს ტყვეთ ჩაკარდნის და მასშინ მეფისთვის ლექსით შემოუთვლია:

«შენ გენაცვალე მეფეო, შენ გენაცვალე, შენაო!
გიორგი არ მომიშეო, სულ შეაჯერე თემიო.
მეც მალე დაგებმარება, თუ რომ გამიხსნეს ხელიო,
თუ არა და მომაშველეთ ნახშირ-ფორელი მღვდელიო».

ამაზე მეფეს, თუ არ ვიცი სხვას, ზასუნად უთქვამს ლექსით შემდეგი ორი სტრიქონი:

«თინავ! რამ შეგაშინა, ნუ შეგეცვალა ფერიო!
შენ დაგვეკარგე, მაგრამა არვინ არს შენი ფერიო».

მეფეს გამოუხსნია იგი ტყვეობიდან, მაგრამ კიდევ მალე ტყვედ ჩაკარდნისა. აღამამად-ხანის ბრძოლაში ხელმეორედ დაუჭერიათ თინა; აქედან რომ დაბრუნებულა, ბოლნისის მხარეს მოუკლავთ. გადმონაცემი ამბობს, რომ მეფე ერეკლემ ის დასაფლავებინა ბოლნისის სიონის გვერდით, საცა მისი ქმარიც ეძარსა და საფლავის ქვებზე ცოლქმარით სხე ამოჭრეკინა გვირგვინითაო, მათი ობლები კი მოიყვანა და სასახლეში ზრდიდაო. ასე მოუთხრობდა თურმე ამ ამბავს ასლან ბებუთოვი.

3) თამარ ვაშლიკუნელის მოქმედება უფრო ვრცელია, ვიდრე მინასი და თინასი. სოფელი ვაშლიკუნის არის კოჭო-

რის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. თამარ დაბადებულია აქ მე
XVIII საუკუნის დამლევს. მისი დედ-მამანი ყოფილან გლეხ-
ნი. მისი ძმა მოძვედაცა თბილისს 1817 წელს და იმას უამ-
ბნია თავის დაზე ბევრი რამ გასაკვირი, მაგრამ სამწუხაროდ
უკვდა მისი მოქმედება დაწერილებით არ არის მოხსენებული
მის ცხოვრების დამწერისაგან. რაც არის დაწერილი ჩვენ იმა-
სავე მოკლედ მოვიხსენიებთ.

თამარს დედა მალე მოჰქედომია და მის მამას მეორე
ცოლი შეუერთავს. მამაც რომ გამოჰსაღებია ამ წუთის სო-
ფელს, ბატონს ის ვილაცა უახლისთვის მიუყიდნია; მაგრამ
თამარს თვითონვე დაუხსნია მისგან თავი. როცა თურქე
ბრუნდებოდა უკან მამისაკე ოჯახში, იმან გამოიარა ერთ
ტყეში, საცა დათვი დაჭხკდა წინ და წაეჭიდა, მაგრამ უში-
შარმა გმირმა ქალმა მოჰკვლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე
განსაცდელისაგან. ის მოვიდა სოფელს ვაშლევანს და სცხოვ-
რებდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარა ჰქვანდა, რა-
დგან ტყვეობიდან გინც თავს იხსნიდა მეფის კანონისამებრ
თავისუფალიყო. სოფელში უიძისათ არა კეთდებოდა რა.
ის ყოფილა «სასტიკი და გაუტყნარი მესი დედა-კაცი», რისა
გამო მისი სახელი განთქმულა საქართველოში. იგი ყოფილა
თავის სოფლის ვაშლევანის მტკელი მტერთაგან. ერთხელ
ვაშლევანს თათრები დასცემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრე-
ვიათ ეკლესიები და ბევრნი მცხოვრებთაგანნი ტყვედ წაუყვანიათ.
თამარ გამოსდგომია მათ, დასწევნია თავის დასტით და ისე-
თი საკვირველი სარდლობა და გმირობა გამოუჩენია, რომ
მტერი ძლიერ დაუძარცხებია და განუთავისუფლებია ქართველი
ტყვეები. ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მა-
ღლობით უთქვამს თამარსათვის: «ოჰ, შვილო! შენ განაცა-

ლას ჩემი მოხუცი თავი, რომ შენის მაგალითით ეცევიც გამხსნეკდნენა. მეჩე მიუცია მისთვის და მის ამხანაგებისთვის ტყუია-წამალი და ერთ ზარბაზანსაც დაჭვირებია. თამირს თავის დასტაში ბეჭი მეამაჩი ქალებიცა ჭყლავია.

ამის შემდეგ ბეჭს კაცს მოუნდომნის თამირს ცოლად შეერთვა, მაგრამ იმას ყველასთვის უარი უთქვამს. ის თურქე ამბობდა: «მე დედა-კაცი არ ვიყუ, თუ რომ მამა-კაცს დაკუ-მირჩილუ! ჩემი ჯანი და ღონე მის წყალობით და მის სიყვარულით რად უნდა გავაქრო?! არა, მე ქმარს არ გავუკები და ამ არს მე ვეჩავინ შემიცვლის. მე რომ გავთხროვდე, მაშინ სიმხნე და ვაჟ-კაცობაც დამეკარგება ქმრისთვის მირჩი-ლების წყალობითა, და თუ სხვაგანაც მოიპოვება ჩემისთანა თვალავანი ქალი, იმასაც ვურჩევ ქმარი არ შეირთოს. არა, მე ქმარი არ მსურს. ჩემი გულითადი წადილი არის მხოლოდ სამსახური ჩემის მოძმეებისა და ქვეუნისა; მე მსურს ჩემი ქა-ლობა სამშობლო ქვეუნის სამსახურს მოვანდომო და თათრე-ბის ჯავრი ამოვიყარო: ვებრძოლო სამარის კარმდე იმით, ვინც ჩვენის ქვეუნის დამხობას მეცადინებენ».

მეფე ერეკლეს მეტად მოსწონებია თამირს ცქვიტი აზ-ზარაკი და აღტაცებულს მაშინვე უჩუქებია ერთი ლურჯი ცხე-ნი თავის ადვანდმულებითა და კიდევ სხვა და სხვა საჩუქრები.

ამის შემდეგ თამირს მოუღალავად ებრძვის მტერს. სა-დაც იმის ხმას გაიგონებს, ის შავარდენივით იქ მიემუჩებს ღვთის-რისხვის დასაცემად. ერთ ღამეს ლეკები დაეცნენ ვაშლო-ვანს. თამირს მათ გადაუდგა წინ და რაც ძალი და ღონე ჭქონდა იბრძოლა თავის დასტით და ბოლოს განდევნა ისინი სოფლის გარეთ. ამასე არის ნათქვამი ლექსი:

„ლეკები სულ გავაქცეთ მთვარისანი ღამითაჲ,
 უკან თამარს გამოუდგა ჯანგიანი ხმაღითაჲ;
 ხკენცა თამარსა გაუქვით, გვიკვირდა სულ თავადთაჲ,
 ლეკები მთლად გადავრეკეთ, ვარბენინეთ სხვა გზითაჲ“.

აღარ გასულა კიდევ დიდი ხანი, დავარდნილა ხმა, რომ
 ვაშლგანს თათრები დასცემს უზირებენო. თამარს მაშინვე
 შეუხიზნავს მცხორებნი საფარში, თვითონ შეიარაღებულს
 ხალხით ჩაჰსაფრებია ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების ახლად
 გაკლის დროს, გამოსულა თავის ლურჯათი და გაუქროლებია
 ხევის გვერდზე. თათრები დასდევნიან უკან და შესულან
 ვიწრო ხეობაში: მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ
 თრთები და მჩაკალი მათგანი მოუკლავთ. ამ დროს თამარც
 გამობრუნებულა და ერთობლივ მესხავით დასცემიან მტერს,
 დაუხრციათ და წაურთმევიათ სოფლების დაბევაში ნაშრონი
 დაკლა. ამისათვის ხალხსა და მეფეს თამარსათვის დიდი მა-
 დლობა უთქვამთ; მაგრამ ერთს ავს აზნაურს მისი დიდება ჭ-
 ქება შეჭმურებისა და ქვეყნის ღალატობა შეუწამების წინაშე მე-
 ფისა. უკანასკნელს წაუყენებია მბეზღარი პირში თამარს-
 თვის, რომელსაც დაუმტკიცებია მეფისთვის თავისი ერთგულე-
 ბა სამშობლო ქვეყნისა და მტერობა და ღალატობა თვით იმ
 მბეზღარის აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამარსათვის:
 „წადი შვილო, თამარ! ღმერთი შენთან არს, და იყოს იგი
 კლავ შენი. შესანიშნავი ხარ დედათა შორის და მასა-
 ხლებელი შენის სქესისა. ეცადე შვილო! შენის მაგალითით
 მამა-კაცებიც გაუერთგულდ სამშობლო ქვეყნასა“.

ამ დროს მეფესთან ყოფილან მჩაკალი თავადნი და
 ჩადგან მოსწონებიათ თამარს ახრვანება, უთხრენიათ დაჭი-
 დება ერთ გამოჩენილ ფაშავანთან. იმას უარე არ უთქვამს

და ძლიერად დაუძარცხებია წინაშე მეთვის მოწინააღმდეგე.
მაგრამ ამ ფაღვანობამ თამროს თურმე ბევრი მტერი აუჩინა.
ამისათვის ის დიდხანს დამალულა და აღარავის სჩვენებია
ხალხს ჭგონების, რომ თამრო მოჭკლეს სადმეო და გამოუ-
თქვამს მის შესასებ ბევრი ლექსები. აი რაი მათგანი:

1.

ვაშლოვნელებს ვილა მისცემს
საუგარელს მათსა ქალსაო,
მეომარსა ფაღვანსა
და გმირებისა ცალსაო.

2.

თამრო ვაშლოვნელსაო,
ვაშლი უდგია თავსაო:
რიგი მწიფსა, რიგი ყვავილბს
მისი საფლავის გარსაო.

გარს დამტირებელი არ ჭყავს,
ნეტარება მის გკამსაო
ზედ ანგელოზები ჭფრინვენ
და ჭკალობენ ხანასაო.

თამროს დიდხანს უძლავს თავი, მაგრამ ბოლოს ის
გამოუყვანია მეიდანში ერთის გლეხის უბედურებას, როცა მას
უნახავს ის გლეხი მტირალი და მეფესთან მიმავალი საჩივლე-
ლად. თამრო დაუყოვნებლივ თვითონ მისულა მეფე ერე-
კლესთან და უჩივლია ხალხის მწკალებლებზე. მეფეს ძლიერ
სწყენია ბოროტ-მოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ისი-

ნი და ძლიერ დაუტუქსავს. ამ სახით თამარს დაუხსნია გლეხის რჯახობა უბედურებისაგან, მაგრამ თვითონ გადაუმტკრებია ბატონები. ამით წინადაც თურქე ძალიან ეჭვარებოდათ ის გლეხთა წასარჩლებისათვის და ახლაც ეს სიმუღლი მათ მტრობად გადაექცათ. დაუწიეს დევნა. ერთ დღეს დაიჭირეს რამდენიმე კაცი, წაიყვანეს და მდინარე მტკვარში ჩაგდეს. თამარს აქ ბევრი უწვალნია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუხეთქებია, უხმარნია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდან სისუსტისა გამოკლარ ჩამოსულა და მშვიერ-მწყურვალს სული განუტეგებია. გასულა რამდენიმე ხანი, ის უნახავს მკმცხვარეს, შეუტყობინებია სოფელში, გლეხებს ჩამოუღიათ მისი ყვავ-კაჭკაჭისაგან დაწიწკნილი და შეჭმული კვამი და დიდის პატივით დაუსათულავებიათ თრიალეთის ეკლესიაში. ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასათლავია:
მისებრი ქალი ერთგული
ჩვენ არავინა გეყოლია...

ჩიტებმა უწიეს ჭიკჭიკი
სიძლერა თამარსა
ჩვენ იმას ვილა გვაჩვენებს
ისა ძეგს სამარესა.

ამავე დროს ქიზიყს, ს. ანაგაში, სცხორებდა ერთი დარბი გლეხის ქალი და ისეთი მამულის მოყვარე რამ ყოფილა, ისე გაბრაზებული ჭქონია გული საქართველოს მტრებზე, რომ ამის გამო ერთხელ ძეგე ერეკლესათვის შეურაცხ-ყოფა

მიუყენებია, რადგან ტან-ჩაცმულებზე უფიქრია, რომ ის უთუოდ სწავსული უნდა იყოს. ეს ქალი თურმე ლექვზე იყო ასული და ამ დროს მეუღემ გაიარა გზის პირას ანაგაში. გულმა აწ მოუთმინა, მოგლიჯა ლექვი და შიგ უწყობი სთხლიშა. ის მაშინვე დაიჭირეს, გამოჭკითხეს მიზეზი ამ გვარის ქცევისა და იმანაც აუხსნა, რომ მტერი ყიზილბაში მეგონათ: რა ვიცი, თუ ჩვენი მეუღე იყო? მაგას ტანისამოსი ჩვენებურად რატომ აწ აცვია, თუ რომ მართლაც კვ ქართულთ მეუღე არის. მეუღე აწამც-თუ აწ გასწყურების ამას კადნიერებისათვის, აწამედ მადლობაც კი უთქვამს მის შეშინებულ მამისთვის, რადგან ასეთი მამულის ერთგული შვილი გაეზარდა. ქალს ტანზე ძალიან დაკონკილი ტანისამოსი სცმია, მეუღეს საჩუქარი მიუცია მამისათვის მის შესამოსად.

ქართული დედა-გაგები აწამც-თუ საქართულოში ებრძოდენ მტერს, აწ სტოკებდენ მას დაუსჯელად, ამბობს ბ. დ. ზ. ბაქრაძე, უცხო ქვეყანაშიაც. პოლშის მწერალმა კრუზინსკიმ, რომელიც მე-XVIII საუკუნეში დიდ ხანს იმყოფებოდა სწავსუთში და დასწერა ისტორია თეიჩანში ქართულთა დაშქრობისა სწავსუთში, ამბობს: 1725 წელს მოვიდა საქართულოდგან ისპანს ჯავრის ამოსაყრელად ერთი დედა-გაგი, რომლის ქმარიც მოეკლათ გულბანდის ომში. ძვირად დაუჯდათ ავლელთ იმის ქმრის სიკვდილი. იმან მოჭკლას სხვა და სხვა ჩხუბში 90 კაცი და მხოლოდ მაშინ იცნეს ის, რომ დედა-გაგი იყო, რაცა ერთს ომში დაიჭირეს, მაგრამ იმის გმირულს მოქმედებას პატივი სცეს და მაშინვე განათავისუფლეს ¹).

¹) იხ. ურ. «ცისკარი» 1860 წ. № I.

მე-XVIII საუკუნის დედა-კაცებს ეკუთვნის მეფე ერეკლეს ცოლი დარია, ანუ დარეჯან დედოფალიც. ეს იყო ასული გიორგი დადიანისა. დარეჯანს უფრო კარგად ესმოდა ის შედეგი, რაც თან მოჭყებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ვიდრე მეფე ერეკლეს. ბუტკოვი ამბობს, რომ მეფე ერეკლეს ეწადა საქართველოს შეერთება რუსეთთან, მაგრამ დედოფალი დარია არ განდა ამის თანახმაა¹⁾. ამავ დროის სიტყვით დედოფალი იმისათვის ეწინააღმდეგებოდა მეფის განზრახვას, რომ „რუსეთის ჯარების კავკასიაში შემოსვლის შემდეგ საქართველოს შინაური მდგომარეობა უფრო სამწუხარო შეიქმნა²⁾. მართლაც, 1785 წლიდან საქართველო ისეთს უბედურებაში ჩავარდა, რომლის მსგავსი მას არ ენახა შანსახის დროსაც. მეფე ერეკლეს ასეთი ყოფა სამეფოსი ძლიერ სწყინდა, მაგრამ მის ხალკულს დედოფალი არამც-თუ არ განაქარგებდა, არამედ უფრო უმატებდა. მეფემ შეჭრა რუსეთთან პირობა ერთად მოქმედებისა მტრების წინააღმდეგ და დარია ამ გარემოებას აბრალებდა საქართველოს მტრების აშლას და აღხრებას³⁾,

ამის შემდეგ მეფე ერეკლე გატყდა, იმედი გაუტრუგდა და სიმტკიცე მის მდგომარე სულისა შეირყა. მან ნახა ბევრ-ჯელ ცვლილება თავის ბედისა, ამან გაუტყვა მას უმანკო გული და შრომა და მოხუცებულებამ მოდრიკა წელში; დღითი დღე უფრო სუსტდებოდა. ამ გარემოებაში დარია

¹⁾ იხ. Матер. для исторій Кавказ. ч. II, გვ. 481 და 482.

²⁾ იხ. იქვე გვ. 177.

³⁾ იხ. იქვე გვ. 188

გაერის სამეფო საქმეებში. 1785 წლიდან მეფის სიკვდილამდე ის თითქმის თავის ნებაზე განაგებდა სამეფო საქმეებს¹⁾. დარეჟანს ახლას ისეთი დიდი გაკლენა ჭქონდა საქართველოში, რომ იმპერატორიცა ეკატერინა საქართველოს საშუალოდ ჯარის გამოგზავნას ატყუებინებდა როგორც მეფე ერეკლეს, აგრეთვე დარიას და სთხოვდა ერთსაც და მეორესაც — მათაც თავიანთი ჯარები შეეერთებინათ მის ჯარებთან²⁾; მაგრამ წამხდაჩი საქმე იმან ველარ გამოაგო, მით უფრო უმეტეს, რომ მტერნი აღმოუჩნდნენ მისს განზრახვას.

მწარე გარემოებაში ჩაკარდნილი ერეკლე 1798 წელს, 11 იანვარს გარდაიცვალა თელავში. მაშინ აღმოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც ეწოდათ დარიას გამეფება. მაგრამ თვით მას უნდოდა თავის უფროსის შვილის იულონის გამეფება და მის სახელით სამეფოს გამგეობა. ასეთი მათი განზრახვა ჩაშალა გიორგიმ. მოკვდა თუ არა ერეკლე, მან გამოაცხადა თავისი მეფობა და ჯარი და თავადობა ძალად შეიფიცა ერთგულებაზე. მაგრამ დედოფალი მანინც არ დაწყენარდა. ის ცხადად წინააღმდეგი გაუხდა გიორგის მეფობას. ამის გამო იმპერატორმა პავლე I-მა მოსწერა საქართველოში მეფე ვაკლენსკის ბეჯითი თვალ-ყური სჭეროდა მის მოქმედებაზე. ამ გვარმა საქმეებმა ააყაყანეს და ააშოფოთეს საქართველო. გაჩნდა რი თარაფი: ერთს სწადიან მეფედ გიორგი, მეორეს დედოფლის შვილი იულონ. მაგრამ გიორგი მეფემ, რომელსაც სწეულობისა გამო სრულიად აღარ შეეძლო მეფობა,

1) იხ. იქვე გვ. 336.

2) იქვე გვ. 344.

3) იხ. იქვე გვ. 440 და 443.

გარდასწევიტა თავის მომხრეებთან საქართველს რუსეთის-
 თვის მიტემა. ამის თაობაზე დაიწყო კიდევაც ლაშარაკი რუ-
 სეთის სამეფო კართან; მაგრამ ისე ჩუმად უნდა ყოფილ იყო
 ეს საქმე წარმოებულა, რომ დარჩას არ შეეძლო, რადგან ის
 წინააღმდეგი იყო რუსეთთან შეერთებისა. 1801 წელს, 18
 იანვარს, გათავდა ამ საქმეზე ლაშარაკი და დაიწერა მანიფეს-
 ტი იმპერატორის პავლე პირველისაგან შეერთებაზე.

ამის შემდეგ დედოფალი დარია შვილებითურთ გარდა-
 სახლეს რუსეთში; მაგრამ მანინც არ დაწყნარდა. მუდამ ჩიოდა
 და მეტადინებდა საქართველოში დაბრუნებას; სწუხდა და
 შოფოთავდა, რომ მან დაჰქე-რგა თავისუფლება. ეს ამბავი სა-
 ქართველოში კარგად იცოდენ და ქებას უძღვნიდენ დედათა
 სქესს. აი რას ამბობს ამ დროის დედა-კაცის გულის მოუ-
 დრეკვლობაზე პოეტი ბარათაშვილი:

ჭოი დედანო! მარად ნეტარნო
 გურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
 სულაც თქვენი გამოჭყდობდათ!
 ვინდა ჭყავს გულის შემატკივარნი
 მამულს ასული ახლა თქვენ-გვარნი?

ბევრის კარგისა და ავის თქმა კიდევ შეიძლებოდა დარია
 დედოფალზე, მაგრამ ჩვენ აღარ ვაკრძელებთ იმაზე ლაშარაკს.
 დაე დანარჩენი გამოიკვლიოს იმან, ვინც შეუდგება ერეკლეს
 მეფობის აღწერას. ჩვენის მიზნისთვის ის ფაქტებიც კმა-
 რს მთავრად საზოგადოდ ქართველ ქალებზე მთელს
 ჩვენ «ისტორიულს სურათებში» და მით გამოვსატეთ ქალების
 ხასიათი, მოქმედება, ჭკუა-გონება და მიმართულება.

მაგრამ აქვე არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ის ფაქ-

ტიცა, რომელიც ქალებმა ჩაიდინეს 1877 წელს. უკვლას ეს-
სომება, რომ ამ წელს ქიზიუში ქალებმა სტუმეს ორი ბობო-
ლა კაცი უსამართლობისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს რუს-
ოსმალის ბრძოლის დროს. ამ შემთხვევაში ქართველმა ქა-
ლებმა კიდევ გამოიჩინეს თავისი ისტორიული თვისება, — სი-
მტკიცე და მედგრება ხასიათისა, აგრეთვე ერის კეთილ-დღე-
ობის სურვილი, სიუვალო და გამჭრიახობა. ეს ფაქტი ამ-
ტყობს, რომ იმათი გული ჯერ კიდევ ისე არ არის დაზი-
გებული, როგორც მამა-კაცებისა: ნუ დაივიწყებთ იმ ფაქტსაც,
რომ ქალებმა შეადგინეს წრე და აბეჭდინებენ ერთად თავი-
ანთ თარგმანს. მათ ორი წიგნი კიდევაც გამოსცეს საზო-
გადო შრომით და თანხმობით; მამა-კაცებს კი აგრე წამდე-
ნივე წელიწადია განზრახვა აქვთ გამოსცენ კრებული ძველის
ხელო-ნაწერებისა და ჩვენის დროის შესანიშნავ წერილებისა
და თხზულებებისა, მაგრამ კერ მთუხერხებით თავიანთ შო-
რის უთანხმოებისა გამო. ცხადია, თუ რომ ჩივიანი განა-
თლება მისცეს ქალებს, ისე ასწავლეს მაინც არის, როგორც
მამა-კაცებს, არასოდეს არ დაჭკაჩკენ თავიანთ ისტორიულს
მნიშვნელობას მომავალშიც.

რად მდგრადობდა ეს მნიშვნელობა, ჩვენის „ისტო-
რიულ სურათების“ მკითხველი თვითონაც კარგად მიხვდება-
და; მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს დავასკვნათ ჩვენი შრომა მის
შესახებ ორიოდ სიტყვის თქმით.

„ჩვენ რომ მოვიწადინათ შეტყობა, ცუდი იყო თუ კარ-
გი, ამბობს ბოკლი, დედა-კაცების გაკლენა კაცობრიობაზე,
უპირველად უნდა გაკსტუდეთ და დაკრწმუნდეთ, რომ საზოგა-
დოდ ეს გაკლენა შეტის შეტად საკეთილყოფილია. მან შე-
მოიტანა ადამიანის ცხოვრებაში იდეალური და რომანტიული

თვისება (ЭЛЕМЕНТЪ), დაიცვა კაცი მარტო ჭამა-სმაზე მზრუნველობისაგან, გადასხვავებულა და არ მისცა მას ნება ერთნაირად ცხოვრებისა. ამ გაკლენამ დედა-კაცებისამ შეამწყვდია და შემოზღუდა მამა-კაცების გულ-სასტიკობა და მძლავრობა და ამ სახით მოუსპო მათ უფლებას მარტო თავის ნებაზე საზოგადო ცხოვრების მართვისა; გამოქნა და დააღობა მათი სასტიკი ზნე. ამ შემთხვევაში მათის გაკლენისაგან მოტანილი საჩვენებლობა დიდიც არის და ეჭვს გარეთაც... „მათ თუმიცა არ შეუძლიანთ ჩასმე დიდს გამოკვლევას შეუღგნენ, მაგრამ მათს ჭკუა-გონებაშია, ამბობს იგივე მწერალი სხვა ალგას, ჩათესილია ისეთი უკლებელი თვისება, რომელიც ძალას აძლევს მათ წააქეზონ კაცობრიობა გამოკვლევისა და განათლებისადმი.“

თუ ეს ასე ყოფილა, ბოკლის აზრით, ყოველგან ქვეყანაზე, რატომ ასევე არ უნდა ყოფილიყო დედა-კაცების გაკლენა ჩვენშიაც? დიალ! უკანასკნელად ვაბობ, რა ქართველ ქალებსაც დიდი გაკლენა ჭქონიათ საქართველოს ერის განათლებაზე, პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრებაზე. ქართველებს არა გაუკეთებიათ-რა თავის ისტორიულ ცხოვრებაში, რომ ქალებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა იმ საქმეში. იმათ მამა-კაცებთან ერთად უმინათ მტერთან სახლ-გარისა და თავისუფლების დასაცვლად; ისინი არიგებდენ და ამშვიდებდენ მახსუბართ; იმათ ხელში იყო რჯახის მოკლა და შვილების აღზდა; ისინი შეადგენდენ ისეთს გარეგანს ძალას, რომელიც ამხნეებდა და აქეზებდა კაცებს მოქმედებისათვის, მათ თვალში დამბლად და უხეიროდ გამოჩენა მამა-კაცისათვის თავზე ქუდის მოხდას ნიშნავდა. აი ამისათვის იმათ ჭქონიათ დიდი პატივი მამა-კაცთაგან და ფასადებია მათ სიტყვას; არ ყოფილან ისინი მოკლებულნი თანასწორს უფლებას კაცებთან ერთად. მათ ჭქონიათ თავიანთი სა-

კუთრება: მზითევი, საქონელი, მიწა-წყალი და სხვანი. «თუ
 ჯოგი წასხან რაზომიცა სულას იუოს, ამბობს აღბუღას კა-
 ნონი მე-XIV საუკუნეში, თავ-თავისად გაცრცვილი სახატოდ
 დაუურვოს: მამა-კაცისა 2000 ათასი, დიაცისა 3000 ათასი»
 (მუხლი 141): დიაღ! იმათ რრიკეს ერთნაირად უწევიათ ჭა-
 შანი პოლიტიკურის და სამოქალაქო ცხოვრებისა, რადგან ერთ
 გვარი უფლება ჰქონიათ საზოგადოებაში და ოჯახში.

ჩვენ ეს აზრი გამოვიტანეთ იმ ფაქტებიდან, რომელ-
 ნიც უკვე მოვიყვანეთ, და თუ სხვა ამასვე მოძებნულს
 იშრომებს და უფრო უჭეშმარიტესს აზრს შეადგენს ქალებზე,
 «ჩვენი ესე თქმული არა იქნების დამაყენებელი უძჯობისა და
 უჭეშმარიტისა დასკვნისა». მაგრამ თუ კრიტიკოსმა არ მი-
 ჭხუდა ჩვენ მიერ ნახვენებ ფაქტებს და თავის თვითსაფიქრ-
 რის ჭკუით წინააღმდეგის თქმა დაიწყო, მაშინ ჩვენ თავის-
 უფალი ვიქნებით ყური არ ვუგდოთ მის ლაპარაკს. ჩვენის
 მხრით ჩვენ გამოვიკვლიეთ და შევკრიბეთ, რაც კი იყო
 თქმული ქართულ ქალებზე ავიცა და კარგიც, რამოდენადაც
 შევიძელით, დაკდეთ რრიკე ჩვენს ჭკუის სასწორზე და შევა-
 დგინეთ ის აზრი, რომ ქართულ ქალების გაკლენა ცხოვრე-
 ბაზე ძალიან საკეთილყო იყო. ვინც ახლა ამ აზრის წინააღ-
 მდეგნი არიან, ფაქტებით გველაპარაკონ და ჩვენც დიდის სი-
 ხარულით მივიღებთ მათს ჭეშმარიტს დასკვნას. მართლ იმის
 თქმა, რომ წარმოდგენილი ფაქტები არა კმარა ქართულ ქა-
 ლზე ასეთის ბრწყინვალე აზრის შესადგენად, ჩვენს აზრს
 სრულიადაც ვერ გააძრუებს. ეს ჩვენც კარგად ვიცით: მოძე-
 ტებული რომ იყოს ფაქტები, ჩვენი დასკვნა უფრო საფუძვ-
 ლიანი იქნებოდა. ამასვე ლაპარაკიც არ არის საჭირო. ჩვენ
 გვიპასუხონ მკითხველთ მხლელად იმასვე: ჩვენი დასკვნა

უფრო საფუძვლიანია, თუ იმ კრიტიკოსთ მსჯელობა, რომელნიც ჩვენს აზრს უსაფუძვლოს ეძახიან და ამბობენ, რომ მეცნიერულად არ არის დაწერილი ეს წერილი. ჩვენ ჯერჯერობით არც გვჭონია სახეში მეცნიერულის სამართებლით გვეპარსა ფაქტები. ჩვენ დავსწერეთ ყუჩნალისათვის მდაბიურის ენით მხოლოდ ადვილად გასაგონი წერილი, რომელშიაც შემოვიტანეთ მხოლოდ სია ფაქტებისა, თუ როგორ მოქმედებდენ ქალები ქართულთ ისტორიულ ცხოვრებაში. ჯერ ფაქტები უნდა იყოს, მერმე მეცნიერული დასკვნანი. ამასთანავე ვაღიარებულად ვრცხთ ჩვენს თავს ახლავე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ წერის დროს არა გვჭონია სახეში—გვეჩვენებინა ქალების უფლება რჯახში და საზოგადოებაში. ამ გითხვას ჯერ გამოკვლევა უნდა და ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ მას, რომოდენადაც ნებას გვაძლევდა ამ საგანზე ლაპარაკს რომელიმე ფაქტი და თქმულება.

მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი.

1882 წელს,
3 დეკემბერს.
ქ. თბილისი.

ისტორიული კილო

თ. გრ. მარბელიანის ლექსებში.

(პოეტის 50 წლის იუბილეის გამო).

ქართველმა საზოგადოებამ განიზრახა იდეასაწაუფლოს ჩვენის საყვარელის პოეტის თავადის გრიგოლ მარბელიანის იუბილეი. ყოველის ქართველის გული აღტაცებით უნდა ჭრუთქავდეს იმ ენერგიულ მოძრაობისა და სანუგეშო გამოთხიზლების გამო, რომელიც ჩვენს საზოგადოებას წლითი-წელ უფრო და უფრო ეტყობა. საიმედოა იმ ავად-მყოფის გამობრუნება, რომელიც თავის სნეულებას არა მალავს და არ იძახის ბეჭსაგით: «ჩის ავად-მყოფობა! თუებზე მკიდია: კარგად ვარ, რა მიშავსა!...» ქართველობა გამოეცალა ამ გვარ ლიტერგიულ მდგომარეობას, იმან აღიარა თავის თავი ავად-მყოფად და ეძიებს შეძლებისა-და-გვარად წამლებსაც სენის განსაკურნებლად. ქართველობა თან-და-თან ცნობილობს თავის-თავს, უკვირდება საკუთარ თვისებებს, თავის ეროვნულ მოთხრობილებათა—და თან-და-თანვე რწმუნდება, რომ იგი სხვებისგან განიჩქვას, რომ იმას სხვის შეცქერა არ არგია. ინგლისელები რომ, მაგალითებრ, შექსპირით იქადოდენ—ჩვენ რა? რა და შექსპირის შრომის ნაყოფი თქვენც შეგიძლიანთ იკუმოთო, იტყვიან ზოგიერთები! კვ ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ქარ-

თველის გული მსჯეს და ანა ინგლისელის. მე ქართველობით უნდა ვიქადაგო, თორემ ინგლისელობით რომ დავიწყო ქაღალდი, ან პირ-მოთხრობას გამოვიჩინ, ან სასატილო შევიქნები. ამ გვარს გრძნობა ყველა ხალხში აწსებობს. ბუნებას, ამ დიდ ქიმიკოსს, ასე შეუზავებია სხვა-და-სხვა ხალხთა გრძნობები და მათ შორის დაუწესებია ამ გვარს დამოკიდებულება. ჩვენ ამ გრძნობას ვერ უარ-ყოფთ, და დიდი შეცდომაც იქნება იმისი უარ-ყოფა. ეს ბუნებითი გრძნობაა და მას ჭკვიან სახელად ერკვნული სიქადული.

ეს ერკვნული გრძნობა — დავარქვათ მას თუ რინდ ერკვნული თავ-მოყვარეობა, ეგოისტობა — ეს გრძნობა ყოფილა, ანის და იქნება კაცობრიობის წარმატების ერთი უდიდესი მიზეზთაგანი. ამ გრძნობის გამო ხალხთა უშრომნიათ ერთმან-ერთის წაქეზებით და ყოველს მათგანს რაიმე განძი უზუქების კაცობრიობისათვის. ამიტომ ყოველმა ერმა, ანა თუ უნდა უარ-ყოს თავისი ერკვნული თავ-მოყვარეობა, ეს ერკვნული სიქადული, ანამედ უფრო და უფრო გააცოცხლოს და გააძლიეროს იგი.

გარკი მოძვლები ერთი-ორად მეტს მოძვიან, თუ მებატონე გულ-წრთულად აფასებს მათს შრომას; თუ მათთვის ან დაიშურებს ბრწყინულისს ქათამს, დაბრწყინულ მწკადს და წითელ ღვინოს, თუ თვითონაც მკის დროს განამხნეკებს და ალტაცებით შესძახებს:

«ჭკე, დატრიალდა ნამგლები,
ბიჭებო, გენაცვალე!...»

მე ამით ის მინდა ვსთქვა, რომ შრომის წარმატებისათვის მშრომელს ღირსეულად უნდა პატივისცემა და დაფასება. ყოველი ერი კადადებულაა ბნეობითად, რომ დააფასოს ღირ-

სეულად და დასახეურებს თავის უურადლებით ის პირები, რომელნიც შეადგენენ მისს ნაციონალურს სიქადულს. ამ გვარს უურადლება ასულდგმულებს, ამხნეებს და ამჯიერებს ყოველგვარ მუშას, მეტადრე მწერას. ქართველმა საზოგადოებამ იცნო თავისი დიდი ხნის მოვალეობა. შინაურულად ეს კიდევ დაგვიმტკიცა იმან ავაკის აღტაცებულ მიღებით. ახლა თვალსახინოდ და საქვეუროდ იწუებს იგი თავის მოვალეობის აღსრულებას ჩვენის მოხუც პოეტის გრ. ორბელიანის იუბილეით. ჭეშმარიტად სასიხარულოა ესეთი გაღვივება ჩვენის ერვნობისა!

მომავალ იუბილეს გამომე მინდა შევეხო იუბილიანის ლექსების ერთ მხარეს, ისტორიულ კილოს მისს ლექსებში.

ისტორიულ ნაწილს თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსებში უჭირია თვალსახინოდ აღვილი თვით ავაკის სიდიდითაც და მეტადრე თავის შინაგან და გარეგან სიმშვენეობით. ისტორიული ხმა მოისმის პირველად პოეტის პირველ პატრიოტულ ლექსში, რომელიც დაწერილია 1832 წელს: ეს ლექსი არის «იარაღის». პირველი ნაყოფიერი წელიწადი იუბილიანის პოეტურ მოქმედებაში ყოფილა 1832 წელი და ამ წლის ორიგინალურ ლექსებში პირველი აღვილი უჭირავს «იარაღის». რომელიც სხანს, ჩვენი საზოგადოებაც ამ წლიდან და საკუთრივ ამ ლექსიდან ითვლის პოეტის საიუბილეო წელიწადს.

მე ვთქვი, რომ ისტორიული ხმა პირველად «იარაღისში» მოისმის მეტქა. იქნება იკითხოს ვინმე—აქ რა არის ისტორიული? აქ ისტორიული ის არის, რაც აწმყო ცხოვრებას არ ეკუთვნის. რაც შეეხება წარსულს და გვიხატავს ჩვენს წინა-პართა ცხოვრებას. «იარაღში» პოეტი დანატრის ბედნიერ

ძველ დროს და ამით გვიჩვენებს თავის უკმაყოფილებას აწ-
მულისადმი:

«დაკნატრი იმათ, ვინც თვის სიტყვასეულ თვისსა მამულსა შეს-
წინა მსხვერპლად,
დაკნატრი დროთა, რას აქვდათ ტრფობა მამულისადმი გულს
აღბეჭდილად,

რას ერთგულება, საწმუნოება
ივერთ თვისებას შეადგინებდენ;
ლდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდენ...»

პოეტი დაჭყურებს თავის აწმულის და ჭხედავს, რომ ცხოვ-
რება არა თუ წინ წასულა, არამედ შესანიშნავად დაუწევია უკან,
შვილებს არამც თუ გაუსწრიათ წინ მამებისთვის, არამედ უკან
მოქცევიან შესანიშნავ მანძილზე და დაწევასაც არა ჭფიქრო-
ბენ, არამც თუ გასწორებას. პოეტი იგონებს იმ სანეტარო
დროს, როცა

«ჭაბუკნი გრძნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდენ, წამს შეჭურვილნი.
ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჭფარკიდენ!
კითა, შურდულებრ, ტრედთ შავარდენი,
მიესუოდენ და შემუსვრიდენ!...»

პოეტი არამც თუ ამისთანა თავგანწირულ მამულის სამ-
სახურს ვერ ჭხედავს აწმულის, არამედ ვერ ჭხედავს გერც იმ
უბრალო ღვინს და შექცევას, რომელნიც არაკითარ თავის შე-
წირვას მამულისათვის არ თხოულობენ ვისმესგან, მაგრამ რა-
მეღვინც ხალხის ცხოვრებას არა ნაკლებ აძლევენ სიტყვასეულ,

აღვიძებენ მას და ამოძრავებენ. აღარ სჩანს უწინდებებს ეს მარტლაც „სამო სანახავი“, რომელსაც აგრე ცოცხლად და ჩვეულებრივის მახვილ ენით გვიხატავს პოეტი:

«ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯიჩითთ სრიალი, ყურთ-
მაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენიდგან ხტომა, კვალად ფე-ხტომა და ხმაფთ
კრიალი!...»

ჩვენი პოეტი ჩაუფიქრებია ამ უნუგეშო აწმუელს, ამ და-
ძინებულს ცხრვრებს და ჭკითხულობს:

«კინ აღხნდეს გმირი.
რომ მის ძლიერი
სმა დაძინებულს
ბედს აღადგენდეს?»

ჩაფედაც თვითონვე იძლევა არა სანუგეშოს და მწარე პა-
სუხს:

«მარამ ამო, ჩემო იარაღი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი რატვა!»

ამ უიძელო აწმუელმა ათქმევინა პოეტს:

«წარსულთა დროთა, დიდების დროთა, უკული კეთილი თა-
ნა წარიღეს.»

აწმუელსადმი ამ გვარ უკმაყოფილებასში, წარსულ ცხრვ-
რებისადმი ამ მიღტოლვასა და მისწრაფებაში იხატება პირვე-
ლი ნაბიჯი იმ ისტორიულ კილოისა, რომელიც პირველად
ნიკოლოზ ბარათაშვილმა განახორციელა თავისი «ქართლის
ბედი». ბარათაშვილის შემდეგ თ. გრ. რაბუღიანმა მისგანვე
დაწებულ კილო დააგვირგვინა თავის მშვენიერ «სადღეობქ-
ლოთი». მერე ამათ მოჭყვნენ ჩვეულებრივის «თამარ ბატონი-
შვილი», ილ. ჭავჭავაძის «დიმიტრი თავ-დადებული», აკაკის

«ბავრატ დიდი», თ. წათ. ერისთავის «ახინძის ომი» და სხვები. ამ სახით ჩვენს ლიტერატურაში შემოვიდა ისტორიული კილო.

აქ მე იმის გარჩევას არ შევუდგები, თუ პოეტი და საზოგადოდ მწერალი რომელის ცხოვრების წარმომადგენელი უნდა იყოს—უფრო აწმყოსი, თუ წარსულისა. მე მხოლოდ ფაქტს ვაღვიარებ და ამასაც დაკუთმებ, რომ ამ ისტორიულ კილოს მოკლენას ქართულ ლიტერატურაში თავისი საფუძველი აქვს. გუშინ, ვთქვით მაგალითებზე, პატარა ტურთა გორაკზე, ფართო ჩრდილოვან მუხის ქვეშ, მწკანეზე ამხანაგობაში დროს ვატარებდი და ისეთი სადილი მოგვიტანეს, რომ მამლასაც კი მადან მოგვკრიდა. დღეს კი, დღეს ვიხედები აქეთ-იქით გაშმაგებული, შიმშილისაგან გამწარებული, მაგრამ არამც თუ არ ვხედავ გუშინდელებრივ სავსე სუფრას, არამედ ერთ ჯამ ლობიოსაც არავინ მაწოდებს, რომ გუჭი დავიუხრო. დღეს არამც თუ არ მესმის გუშინდელებრივ განუწყვეტელი «მრავალყამიერ და მადლობელი ვარ», — დღეს ვხედავ, რომ ყველას თავი დაუკიდია და არავის კაცისუფრი არ ადევს სახეზე. აქ მე, ხემდა უნებურად, მომაგონდება გუშინდელი განცხრომა, გუშინდელი კმაყოფილება და მხიარულება. არა ერთჯერ ამოვიცხრობ და ვიტყვი: ოჰ, გუშინდელი მხიარულება! ამ გვარში მოგონება კაცის ბუნებით მოთხროვნილებას შეადგენს.

თუ ახლანდელ ცხოვრების შემხედველს მიწყულდება გული ყოველისთვის არაარაობით და ცრემლ-მოდენით ვიგონებ გორგასლანს, თამარს, რუსთაველს და სხვებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყოველისთვის ვითომც იმათ დროს შევინატრიდე, — არა, მე ამით მსურს, რომ ახლანდელ მოქმედებებს ჭკონდესთ იმათ გვარი სული და გული, იმათ გვარი

ენერჯია, იმათ გვარი თავ-განწირული მამულის სიუვარული. რაც შეეხება ახლანდელ ცხოვრებისა და დროის მოთხოვნილებას, ვინ არ იცის, რომ ამ დროს და ამ ცხოვრებას ეჭირვებათ სულ სხვა გვარ მეცნიერებით აღჭურვილი კაცები, ვიდრე წინანდელ დროში იყვნენ. ჩვენის წინა-პრების მშვენიერ თვისებების დახატვა ცხადად დაგვანახებს ახლანდელ ჩვენის ცხოვრების არჩაობას და გაათქმევინებს:

«რაც კუთვნილვარო, ის აღარ ვართ,

რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით!»

ანუ როგორც ჩვენი პოეტი ამბობს «სადღეგრძელს» ერთ ადგილს:

«თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამამაკლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭახუკი ხმალსა მისწვდება!»

«სადღეგრძელს» არა ჭკავს იმ მოთხრობებს, როგორც ბისტვისაც ჩვენ საზოგადოდ მიგვიჩვენია თვალი და ყური. აქ არ არის გამოყვანილი ერთი გმირი, რომელმაც იყოს დაძვარებული მთელის მოთხრობის შინაარსი, რომ ეს გმირი, მხრლად ერთი მიიტაცებდეს მკითხველის ყურადღებას. არა, პოეტს საკუთარი ორიგინალური ფორმა გამოუგონებია, უფრო ფართო და დამტევი, ვიდრე ჩვეულებრივი: აქ იმდენი შეიძლება დასტოვო, რამდენიც გასურს, და იმდენ ხანს შეიძლება ილაპარაკო და ატეხო მკითხველის სმენა, რამდენ ხანსაც ენა არ დაშვრება. ეს ფორმა ახალია მწერლობაში, მაგრამ ჩვენის ხალხის ცხოვრებაში კი ძველთაგან ძველია. პოეტი დაჭკვირვებით ამ ცხოვრებას და თავის მოთხრობის ფორმაც მტკიცედ დაუძვარებია ხალხის ხასიათზე. მართლაც, ქართული ხალხი

ძლიერ ხშირად იგონებს სუფრასე, ჭამა სმის დროს, თავის მამა-პაპებს. მოჭყეება ამბებს იმათ ცხოვრებიდამ და ისე გაიტაცებს სუფრასე მსხდომ ხალხს, რომ უკელანი სმენად გარდაიქცევიან ხალძე. ბოლოს «აცხონოს დემონი», იტყვის, გარდააქათებს პურზე ღვინოს სავსე ჭიქიდად და დასცლის კიდევაც. აქედამ სჩანს, რომ ეგ ფორმა ცოცხლად არის ამოღებული ქართველის ხალხის ცხოვრებიდამ. ამ მხრით «სადღე-გრძელთა» არა ჭკავს არც «ქართლის ბედს», არც «დიმიტრი თავ-დადებულს» და არც სხვებს. მე არ დავიწუებ იმის გარჩევას, თუ ამათში რომელი ფორმას უკეთესი. «სიტყვა სიტყვა — საქმე კი სხვაა»-თ, თვით პოეტი ამბობს — ამისი არ იყოს, ფორმა ფორმას და შინაარსი კი სხვაა, ვიტყვით ჩვენ. ამისთვის ვნახეთ და გავიცნოთ, რა არის ამ განს ქვეშ და რა ღირსება აქვს თვით ამ შიგნითა გულს, თვით ნაყოფს.

ამი შესწუდა. ქართველებმა გაიმარჯვეს. ვინც კი გადურჩა საზარელ რძის, მოუყრიათ თავი ერთად და ერეკნის ახლოს გაშლილ ველზე უსხედან გარშემო ანთებულ ცეცხლს. შელამდა. «აჭა მთავარეც ნელად შექსა, ვითა ნუგეშსა, მოჭყენს საშვებლად.» ჯარი მოილხენს. ღვინო არის ქართული ღვინო. აჭა, ადგა ტოლუმბაში სავსე ფიალით და ათვალიერებს თავის მოძმეებს:

«მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს.»

ამისი არ იყოს, ტოლუმბაშიც შეჭყურებს თავის მოძმეებს და ჭკავს გული უწყლულდება, რომ ბეჭი მათგანი აკლავთ თვალი. ტოლუმბაში დასცალა იმათი გამოსასაღებელი და შესანდობარი, ვინც წასულ რძეში დასდო თავი მამულისათვის. დანარჩენი მხედრები სცლიან აგრეთვე თავ-თავის ფია-

ჯას და იმეორებენ ტოლუმბაშის სიტყვებს, სადღეგრძელოს... აჭა, ტოლუმბაში კიდევ ფეხზე დგას საკსე ფიალით. ეს მოიწოდებს მოძმეებს «წინა-პატი მოსახსენებლად», რომელთა სახელი, ხმალი და სახელგანთი საქმენი წინ გვინათებენ თვისის დიდებით. ტოლუმბაში მოუწოდს მხედრებს პატივით მოიხსენიონ ძველი საუკუნეები, მისთვის რომ

«მათში სახენი ხანან ნათელი

გმირთა მამულის განმადიდეთა.»

და აჭა, მადლიერი ტოლუმბაში და მასთან ერთად თვით პოეტი, ძველის გმირების აჩრდილებს ზიგ-ზიგად წამოაყენებს მხედრების წინ, ერთი აჩრდილი მეორეს მოსდევს, ერთი გმირი მეორეს სცვლის. აი წარმოსდგა ფაჩხაოზის აჩრდილი. ეს იყო პირველი ჩვენი მეფე, რომელმაც თავ-და-პირველად «შექმნა ერთ-მთავრობა, მან მისცა ქართველს წიგნი პირველი, მან დაუმკვიდრა ერსა ერთობა და ერთობასა წესი და ძალა.» აჩრდილი მიიძალა.

აი მეორე აჩრდილი. ეს არის მეფე მიჩიან, რომელმაც წმ. ნინოს ჩაგონებით მოჭოვინა საქართველოს ქრისტიანობის სხივი:

«ჯვარისა ძალით გარე-მოჭრემული,

შეჭმუსწავს გერშთა მათის ბომონით!»

აჩრდილი მიიძალა. ეს ვინ გამოჩნდა? ვინ არის ეს გმირი, რომელმაც მესხავით მძლავრ სიტყვებით ცოცხლად გვიხატავს სულმნათი პოეტი?

«მუზარადს მკელ-ლომ გამოსახული,

ხელსა მახვილით ვინ მოკვალს გრგვინვით?

ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,

მზად არს საომრად სახე-შერისხვით!»

პასუხს თვით პოეტი მოგვცემს:

«ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,
 რომლის შეხედვით სპარსელნი ჭრთოდენ,
 მისწვდენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
 მტერთა შელწდენ და შემუსრვიდენ!»

დრონი იცვალნენ. მიიძალნენ საქართველოსთვის გორგ-ასლანები და კარგა ხანს აღარ ჭყორღია საქართველოს მათებრ მტერთ-შემრისხავი გმირები. მაჰმადიანებმა გააოხრეს შესუსტებული საქართველო. მაგრამ საქართველოში არ გამოიღვივნენ სწრაფად გორგ-ასლანები. ამათი თესლი დაეცა ნოყიერ მიწაზე და საქართველოს დაუღალავმა ბუნებამ აღმოაცენა და აღაყვავა ისინი. მაჰმადიანებისაგან დაქცეულს და გაოხრებულს საქართველოს მოეკლინება დავით. ამან დასცა ზარი მაჰმადიანებს და დაამშვიდა საქართველო; ამანვე მოაშენა უსჯულოთაგან დანგრეული საქართველო, რისთვისაც უწოდეს მას „აღმაშენებელი“:

„დავით ჭსთქვი: «იყავნ ქალაქნი!» და აღმოსცენდენ ქალაქნი!“

ახრდილი იცვალა. აჭა გამოჩინდა «ამერთა მშენიერების»: «ვით ტრედი მადლის მშვიდი და წყნარი, ეგრეთ შვენებით მოკლას თამარი!»

დიაღ! «ვით ტრედი მშვიდი და წყნარი!» სწორედ ეგრეთ იყო თამარი თავის ქვეშევრდომებისათვის: მშვიდი და წყნარი! მაგრამ თავის ქვეშევრდომთ შორის თამარი ტრედსავით რომ ღუღუნებდა, იმავე დროს ის თავს დაჭკივრდა საქართველოს მტერთა და ათრთოლებდა მათ, როგორც ქარი დასტრიალებს ხალძე ნარჩხ წიწილებს და შიშით აწიოკებს მათ. საკმაო იყო ერთი მისი მოძწოდებელი ხმა, რომ დაღლილ-დაქანცული ქართველი ჯარი კვლავ აღჭურვილიყო ახალის ძა-

აით და მტერს წისხვად მოკლენებოდა. და როგორ ან გა-
ცოცხლდებოდა და ან გამხსნეკდებოდა ჯანი თამარის ხმით,
თამარის ხალვით, რომელიც უკვლასთვის იყო კეთილი დედა,
რომლის გული მათთვის იყო ზღვასავით სავსე წყალბით და
სიუხვით!...

«თამარი ჯოჯოხას ჯვანითა, ჯანს ამხნევს გულის-უხვობით:
გული მეთვისა ზღვა ანის, უსამზღვროება წყალბით!..»

თამარი მარტო პოლიტიკურ ძლივით ან იყო დიდებული.
ამ გვირ მხედართ შორის, როგორც «დიდი მარბელი», «ბრძე-
ნი ჭყონდიდი», «მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი და გამ-
რეკელი, ჯომებრ გულადი» — ბრწყინავს ისეთი მნათობი, გვი-
რი-პოეტი, როგორც «შოთა უკვდავი.» როგორც თამარის
სიტყვა ამხნეკებდა და აღმგულებდა მეომარ ჯანს, ისე მისი
ღვთაებრივი სანუ და მისი ყოფა-ქცევა ასულიერებდა და ძალს
და სიცოცხლეს ამლედა პოეტის კალამს. ამისთვისაც ჩვენი
ტოლუმბაში აღტაცებით იგონებს თამარს ამისივე ამალით და
სცლის სავსე ფილას.

ამ გვარად ტოლუმბაში, თვით ჩვენი პოეტი, იგონებს
უკვლას იმ წარსულ საუკუნეთა გვირებს, რომელთაც მთელი თა-
ვისი სიცოცხლე მამულს მოახმარეს და მამულს შესწირეს.
დაწვრილებით შინაარსი რომ გადმოგვეცა, სჭირთ იქნებოდა
სრულად გადმოწერა თვით პოეტის სიტყვების. გადმოწერა კი
სჭირთ ან ანის: რომელი ქართული იქნება, რომ ან გარ-
დაკითხოს რომდენიმეჯერ ეს პაწია, მაგრამ მშვენიერი თა-
იგული იუბილიარის ლექსებისა! აქ მეტი არაფერია ნათქვამი,
რომ შეიძლებოდას მოკლედ გადმოცემა. ჩვენს პოეტს — იუბი-
ლიარს ან უყვარს ზოგიერთებსავით უმნიშვნელო ფრაზები

და გაჭიანურებული ლაშაჩაკი: მოკლე და მახვილი, მოსწრებუ-
ლი სიტყვა აჩის ყოველთვის კარგის პოეტის თვისება:

«გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შიშის ამაღ კარგი.»

ჩვენი პოეტი ან გადადის სამზღვარს გამოყვანილ გმი-
რების აღწერაში. რაღა სათნო და მშვიდ თამარზე ლაშაჩა-
კობს, პოეტი ადარებს მას სათნოების ემბლემას, მოღუღუნე
ტრედს. აქ პოეტის ყოველი სიტყვა ისე ტკბილად და წყნა-
რად ამოხუხუხებს გულადამ, რაგორც მარგალიტსაკით წყა-
რამ ამოხუხუხებდეს. იქ კი, სადაც პოეტი გვიხატავს ჩხუბს,
შეტაკებას და მეზომელ გმირებს—იქ ყოველი მისი სიტყვა
მუნია ზეცისა, იქ მისი სიტყვა წყაროს ჩუხუხი კი აჩა, კლდი-
დამ გადმოვარდნილი და უფსკრულში მიმსრბოლი გრიალია.
ერთი ამისთანა ადგილი ზევით აჩის მოყვანილი, პოეტი
გორგ-ასლანს გვიხატავს. მრავალია სხვებიც. აი თუ გინდ პა-
ტარა კახი ირაკლი რაგორც იხატება რჩილდე სიტყვით, რა-
გორც ცოცხლად წარმოგვიდგება წინ, თითქო ნამდვილად ვუმ-
ზერდეთ მტრის შესამუსრავად განმზადებულს:

«წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწკდენით,

ვაი მას მტერსა, სად აღინდებოდა!»

აი ცოცხალი რძი და შეტაკება:

«რას ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა?
მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად უკარლისა!»

მაგრამ ქართველები

«გაჩნდენ... დაჭკიულეს... ხმალ-და-ხმალ, შუა გააშეს ლეკთ ძალი.»

აი კიდევ მარჯვე შედარებანი და ძლიერი სიტყვები, რა-
მელთაც პოეტი უძღვნის ზაქარიას «მიწის მკელს»:

«ვითარცა ჭექა, მისი დაცემა

მტერთა ზედ იყო ესრედ საზარლად:

სადაც იქვან მახვილმა მისმა,

მუნ მტრის სიტყვებზე განქარდა მსწრაფად!»

ტოლუმბაშმა ჩამოთვალა ძველი გვირგვინი და უკუვანი შე-
სატყურ სიტყვებით შეამკო. უკუვამ დასტავლა სავსე ფილაები
მათდა მოსახსენებლად;

თამადა კიდევ ავსებს ფილას და მიმართავს სამშობლო
ქვეყანას:

«ჰე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათქოფდეს სინარულის აღტაცებითა აღვსილი?

ვინ გიხილოს დროსა საშინელს, არ დაჭსთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებოდ, ვითა მსხვერპლი!»

მთელი ეს ადგილი სავსეა მშვენიერ სურათებით, ნამ-
დვილ საქართველოს ბუნების დახატულობით და მალაქ პატ-
რიოტულ გრძნობებით. აი თუ გინდ საქართველოს ბუნების
ჰემიკრიტად პოეტური სურათი:

«სად მთანი უინვის გვირგვინით არიან ცაღმდე ასულნი
და მდინარენი წახილით ზვირთის ზვირთებზედ მსრლოელნი,
უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალ-გადუწკდენულნი,
სად მონადირე სდეკს ჯიხვსა და მის ქვეშ ვლენან ღრუბულნი!»

მაგრამ აი მალაქ-პატრიოტულ გრძნობით სავსე სიტყვე-
ბი, რომელნიც უოკელმა ქართველმა ზეპირად იცის და რომ-
ელნიც მწუხარე გულს აძლევენ შეგებას და იძუდს. ეს სიტყვე-
ბი უკვდავია ქართველებისთვის და მარად ემარხებათ მათ გულში:

«სხვა საქართველო სად არის, რომელი გუთხე ქვეყნისა?

ერი—გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!

შავთა დროთ ვერა შესტვალეს მის გული ადამანტისა:

იგიუ მხნე, იგიუ მღერაღი, მთუვარე თავის მიწისა!...

«სადღეგრძელოში» საკმაოდ არის სენტენციები, ანუ რომ-

გორც პოეტი ეძახის, «მოდგრობანი», რომლებშიაც იხატება პოეტის კეთილ-შობილური შესედულაბა:

«მიეცით ნიჭსა გზა თვართა, თაყვანის-ცემა ღირსებას:

ნიჭს აძლევს ზენა მხალად კაცს და არა გვარისეობას!»
და მრ. სხ.

მხედარნი სმენ ავრეთვე თავიანთ სატრფოთ სადღეგრძე-
ლას, არ ივიწყებენ სიყვარულს,

რომლის შუქი აღკვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემზგავსება!»

არ ივიწყებენ სიყვარულს მით უმეტეს, რომ ძალე გა-
თენდება და ისეკ ემზადებიან მტრის შებმას, და მეომარი კი,

როგორც პოეტი ამბობს,
«გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?»

ათავებენ სადღეგრძელოებს. აჭა, თენდება კიდევ... მაგრამ
აქ კი უკაცრავად, მკითხველთა! მე არ შემოდლიან შევცვალო და

შევამოკლო ის ადგილი, სადაც უოკელი სიტყვა გამოსჭვირს
«კით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგომანები.» წაიკით-

ხე შენ თითონ და კინც უნდა იყო, მკითხველთა, თუნდ პოე-
ტიც არ იყო, თუნდ ქვის გულიცა გქონდეს, მაინც მიჭყუებ

პოეტს ამ მშვენიერ კავკასიურ დილის აღწერაში. წარმოიდგი-
ნე უკვლას ეს ღვთაებრივი სურათები; იგრძენი შენ პოეტის

ღრმა ჭრდიანიური შესედულაბა კაცის სიტყვებზე, რაიცა იხა-
ტება, ამ გულადამ ამონაგვრეს სიტყვებში:

«ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჭსურს სისხლი კაცისა?...»
წარმოიდგინე უკვლას ეს,—და იმედი მაქვს, შენი ცივი

გული გათბება, ის იგრძნობს პოეზიის სხივის სითბოს და ძა-
ლას... მაგრამ რა ბევრს ვაგრძელებ! აჭა მშვენიერებით და

გრძნობით საკსე თვით ის ადგილი:
«...მეცა მხედარნი მხედარნი მხედარნი მხედარნი»

«ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა თუკად შექლება,
 ცას სიხარული მოჭრინა და ჭკეუანას შეკენება!
 ანთნენ ცეცხლის ალებრივ შორს განბნეულნი ღრუბელნი;
 ცა მშკენიერობს, ნათლდება... მასა შეკნატრით მხილველნი!
 ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჭქრებიან,
 ათასის ხმებით თრინველნი განთიადს მიეგებიან!
 მოჭქრის დილისა ნიაკიც გულსა მაგრილებელი,
 თშკინვა დაიწყეს უკავილთა და ბაღში თოთოლთ შრიალი.
 რჭ, რა ღამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებულნი!
 დაჩუბდით... ყური მიუგდეთ... არ გესმისთ, ჭკალაობს ბულ-
 ბული?

ირაკლის თათვაც გამოხნდა... აჭა მთაც კიდობანისა!..
 აი მუკირაღა წანგიცა და ბურჯნი ერევანისა!...

გათენდა.

ვიშ ამ დილასა, ამ ჭკერს, ბუნების განმაცხროველსა,
 გულისა ჭმუნვის გამქარკველს, სიცოცხლის დამატკობებელსა!..
 ღმერთო ვინ მიჭსწკდეს შენგან ჭმნილს, მისს თუკ-უთვალავს
 შეკენებას?

სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჭბადავ ცხროვებას!..
 ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჭკრეს ნაღარა ცისკრისა...

განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
 აი თოფიცა გაკარდა... აი ჭრბის ცხენი მხედრისა!...

ამ მშკენიერსა დილასა, კაცს რად ჭსურს სისხლი კაცისა?
 —

ისტორიულ ნაწილს ეკუთვნის აგრეთვე გრძნობიერი და
 გულის სიღრმიდამ აღმოხვრული ლექსი შეძღუვის სათაურით:
 «თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.» პოეტი სდგას ბე-

თანის ეკლესიაში, თამარის სურათის წინ და «ცრემლ-მორე-
ული ემთხვევა ფერხთა.» პროტის ჭსურს, რომ მარად უმზერ-
დეს თამარის სახეს, რომელიც მოაგონებს საქართველოს ბედ-
ნიერ დროს, ჭსურს, რომ ამ მოგონებამ დაავიწყოს მას მის
სამშობლოს სუფით დატემა და ერთს წუთს მაინც აგწმინდი-
ნოს მის გულს ნეტარება... მოხუცი, «ხნით დ მაშკრალი» პო-
ეტი შეკედრის თამარის აჩრდილს, რომ მოჭხედოს მის სატრ-
ფოს, მის დროს აუკავებულს, ახლა კი დაძაბუნებულ მამულს...
ეკედრება, მაგრამ თამარს «თვალნი ცად აქვს მიქცეულნი» და
თითქო კელარც კი უცუნია დამცირებულის, ხმა-მიღებულ ბედ-
დაკარგულის იგერიის ძე!... პროტი აკვირდება სურათს და ხე-
დავს, რომ თდესმე ძლიერის და ბრწყინვალე მეფის სახე ეს-
ლა მკრთალად მოხანს სადღაც დაურუებულს, გზა-შეუკალს,
უდაბურ ტყეში, დაჩვეულ ეკლესიის კედელზე... ამ სახით
თამარის სურათი პროტის წამოღუდგენს ახლანდელ საქართვე-
ლოს სურათს: იგივე მიურუებული, იგივე მკრთალი, იგივე მი-
ტოვებული... ამისთვისაც მოსთქვამს პროტი:

«ჭე ცრუ სოფელა,
დაუნდობელა,

შენში კეთილი სად არს თერ-უცვლელ?...
დიდება ჩვენი,

ცად სხივ-მიმთენი

ნუ თუ ესლა გვაქვს, კხედავთ ჩასაცა?»

პროტი პოულობს, რომ „დიდება იგერიისა მასთან მარ-
ხის ს:მარეს.“ ამისთვის, «ეჭვით აღვსილი», კითხულობს:

«ვა თუ რაც წახდეს,
კელარა აღსდგეს,

კელარ აღუკავდეს ახლის შვენებ. თ?»

ამ ეჭვით, ამ უიმედობით და უნუგეშობით მთლად გამ-
 სჭვალულია პოეტის გული. ამ ეჭვს და უიმედობას აწმყოსად-
 მი აცხადებს პოეტი უოკელებს, სადაც კი შემთხვევა ეძლევა...
 მაგრამ, არა, ძვირფასო პოეტო! დაუკვირდი კარგად შენს საყ-
 ვარელ სამშობლოს, გარდახედე შენის ბრწყინვალე თვალებით
 შენს მშვენიერ წაფორტს—და დაინახავ, რომ იმის ვაზი ჯერ
 კიდევ ნედლია, რომ თან-და-თან უფრო ნედლდება, კვირტები
 გამოსაქვს... მასმ გაისწორე შუბლის ღარები და კვლავ გაუღი-
 მე შენს სატროფო მამულს! გაგვიღიძე, საყვარელო პოეტო,
 ჩვენც, რომელნიც ვსვამთ შენს სადღეგრძელოს შენის იუბი-
 ლეის დღეს!.. მასმ შეჭსმასხე შენვე ეგ შენი განმაცოცხლებელი
 სიტყვები:

«შაკთა დროთ გერა შესტვალეს მის გული ადამანტისა:»
 იგივე მხნე, იგივე მღერალი, მყოვარე თავის მიწისა!..»

სილოვან.

პეტერბურგი, 1882 წ.

სამზითვო.

(ბატონ-ყმობის დროიდგან).

დადონებულა თევდორე, გულ-ხელი დაუკრეფია,
გამშრალსა, გამწარებულსა, ცრემლი არ უჩანს მჩქეფია,
ჩასტქერის დედა-მიწასა, ბეჩავს სძა ჩაუკმენდია,
აზრავს და გმინავს ხამუშად, გაშავებია ბედია!...

ბოლოს იფიქრა, გაბედა, გასწია თავის პატრონთან,
შემკრთალმა, ათროფებულმა, ყმათ იფიქრა შესდგა ბატონთან,
თავი დაუკრა მდაბლად და დაუღრჩია მწარედ:

„მთხრონელ ვარ, ნუ გამიწურები და ნუ გამაგდებ გარეთა!...“

შენი ჭირიძე, ბატონო, შენი შვილების აზრასა,

ი გოგო რაზე წამართვი, რად მომიშორე კერასა?!..

მახუტე ღმერთი გადიდებს, შვილი აღარ მყავს მეტი,

მითომ წყალობა მრავალი ჩემთვისინ გაგიმეტია...

მარტო ვარ მოხუცებული, მეტი არა მყავს მოძველები,

დედას ჩამოგავს ცხონებულს, — იმისდა უფრო მოკვლი!..»

— აჰანდურნი ამას!...» შესძახა ბატონმა გაბრახებულმა...

«როგორ გაბედა შემოსულა, ვინა გათამამებულმა?!.

ჩემ ქალს გათხრობ, ხომ იცის, — ვინ წაკაყოლო მზითევში?

გაგდეთ ეგ აქედგანა, მაგრა წაჭკარით კისერში!..“

ეტენ თევდორეს ბიჭები, გამაბძანეს გარეთა,

წაჭკრეს კისერში და ყბები შემოამტვრიეს მწარედ!...

დაღონებულა თუკდარე, გულ-ხელი დაუკრეუა,
 გამშრალსა, გამწარებულსა, ცრემლი არ უჩანს მხეკეუა,
 ჩასტყერის დედა-მაწასა, ბეჩავს ხმა ჩაუკმენდია,
 მხრავს და გმინავს ხამუშად, გჭმუკებია ბუღია!...

თ. რაფ. შჩისთაფი.

20 დეკემბერს, 1882 წ.

ზინაური მიმოხილვა.

(ბ ნ მეისნერის პროექტი).

ბევრი ჭსთჭვეს და ბევრი ჭსწერეს ჭრ და აჩაღ ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზე და ყოველივე ეს თქმული და დაწერილი რომ საქაჯავში გაკატარათ, დაჩხება შემდეგი დასკვნანი ერთის მხრით მქმდაგეთა და მეორის მხრით, — მეწინააღმდეგეთა.

პირველთა ნახოლოვანნი დასკვნანი იმაში მდგომარეობენ, რომ: 1) ჩვენი ქვეყანა ფუფუნით ღარიბია და $2\frac{1}{2}$ მილიონი რომ შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში სასარგებლოა. 2) ღვინო ხშირად გაუსუიდავი გვჩხება, რადგანაც მუშტარი არ არის. ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა თქ მილიონ ნახევრით მოდის ჩვენის ღვინის სასუიდად, მაშასადამე სასარგებლო იქნებაო. 3) ჩვენს ღვინოს ეხლა მარტო ერთი ბაზარი აქვს — ქალაქი თბილისი, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა მთელს რუსეთსა ხდის ჩვენის ღვინის ბაზრად და რადგანაც ბაზრის გადიდებას, მუშტარის გამრავლებას ფასების აწევა მოსდევსო, ჩვენის ღვინის ფასი აიწევსო და ჩვენი ქვეყანა ღვინის წარმოებიდან უფრო დიდ გა-

მოჩინებას ნახავს, ვიდრე ეხლა. 4) დიდ მუშტარს დიდი გაძლელა უნდა, დიდ-ძალი ღვინო; დიდ-ძალ ღვინოს დიდი კენახები უნდა; მაშასადამე უფრო მეტს კენახებს გავაშენებთ დიდის ბაზრის და დიდის გამოჩინების იმედითა. ქვეყანა ამ მხრითაც გაძდიდრდება. 5) ეხლანდელი ჩვენი ღვინო მოკლებულია სავაჭრო ღირსებას, რადგანაც კარგად ნაკეთები, კარგად დაყენებული არ არის. ამის გამო ვერც ერთ ნაირის გემოს ღვინოს ვასმევთ მუშტარსა მუდმივ და ვერც დიდ ხანს შესანახი და არც მუშტარის მიმზიდველია. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვზიარებს, რომ თქვენის ღვინოების კეთებას მე შევუდგები, და რაც ღვინისათვის ღირსებას სჭირთ, რომ სავაჭრო საქონლად გახდეს, ყოველ იმ ღირსებას მივანიჭებ. ამისათვის იმოდენა ფულის გადადება შეეძლება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას, რაც სჭირთა და რასაც ცალკე შემამულო, ნამეტნავად ჩვენისთანა ღარიბი, ვერ შესძლებს. გარდა ამისა ღვინის კეთების მცოდნე კაცებსაც მოიწვევს, მათისა და ფულის შემწეობით ჩვენს ღვინოებს გააკეთებს უფრო უკეთესად და იმათგან ჩვენც ვისწავლით ღვინის კეთებას და ამ მხრითაც ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

მეწინააღმდეგეთა აზრი ამ საქმეებთან დახატულ ბედნიერებაზედ ძალიერ შორს არის. ესენი ამტკიცებენ, რომ: 1) მაგოდენა ფულის შემოსევა ჩვენში, მეტე ერთისა და იმავე ინტერესით გაწეობილ საზოგადოების ხელში, იმას იქმნის, რომ წერილ ვაჭარს აღარ გააჭაჭანებს ღვინის ვაჭრობის მოედანზედაც და რეგულარც ქოჩი წიწილებს ისე შემოიფთხობს. რაკი მოცილენი აღარ ეუფლებიან და ღვინის მსუიდეკლად მარტო თვითონ დაჩივს ბაზრის მოედანზედ, მაშინ ღვინოში იმ ფასს შემოგვაძლევენ, რაც გუნებაში მოუვით. რადგანაც ფული მარ-

ტო მოგებას ხარბობს და წადგანაც მოგება ვაჭრობისა იმედ-
 ენად დიდია, წამოდენდაც სხვათა შორის საგანი ვაჭრობისა
 იეფად ნასყიდია, ამიტომაც ღვინის ფასს იმედენად დასწევენ,
 წამოდენდაც ხარბობა ფულისა გულის მოისუყებს. უკუაძი კი-
 ცით, რომ ხარბობას ფულისას სამზღვარი არა აქვსო. 2) ახა-
 ლის ბაზარის აჩენა, ანუ უქვთ ვსთქვათ, ჩვენის ღვინის გა-
 ტანა და გასაღება რუსეთში ამ ყოფაში, რა ყოფაშიაც დღეს
 ჩვენს ვართ, კი არ გაგვამდიდრებს, გაგვალარებებს იმედენად,
 წამოდენდაც ღვინო შინაურ სახმარებლად ჩვენ დაგვაკლდებაო.
 იმიტომ-რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სმას ჩვეულისა, კი ჩვეუ-
 ლება ისე აქვს გამჭვდარი სულისა და ხორცში, რომ თითქმის
 პირველ საჭირთებად ჩაითვლება. ღვინო რომ რუსეთში გაკი-
 დეს ჩვენიდამ, ჩვენს ქვეყანას ღვინო მოაკლდება და იმედენად
 დაძვირდება, რომ ღვინის ჩვეულება ხელი უნდა აიღოს ღვი-
 ნოზედ. რომ ამისთანა საჭირთებზედ, რომც არც ჩვენში ღვი-
 ნოა, ჩვენმა ქვეყანამ ხელი აიღოს, — კი გამდიდრება კი არ
 არის, დაკლებაა და დაკლება კიდევ გადაარებებაა. 3) ბ-ნ მე-
 ისნეის ამხანაგობის გამო გენახები კი არ მოემატება ჩვენს
 ქვეყანას, არამედ ისიც ხელიდამ გამოეცლებათ, რაც დღევან-
 დელ მემამულეებს ხელში უჭირავთ. ღვინის ფასების ძლიერ
 დაწევა მაგ ამხანაგობის ხელში იქნება უცილოდ, თუ, რომც არც
 კოჭკით, ბურთი და მოედანი ღვინის ვაჭრობისა გაისაკუთრას
 და შესაძლოა მაგ დაწევამ ღვინის ფასისამ იქამდის მიაღწიოს,
 რომ გენახების გაშენება, მოკლა და შემუშავება საზარალოდ
 გაუხდეს დღევანდელს ჰატრონს. მაშინ ან უნდა გადახნას, ან
 ჩაღის ფასად დაუთმოს ბ-ნ მეისნეის ამხანაგობას. 4) რა
 მიჯიონ ნახევარი ფული თუ ღვინის გადაკეთებას შეუდგება
 ჩვენში, ამისათვის მუშა ხელისა საჭირთ, სახელდობრ, იმისთა-

ნა ხელი, რომელსაც სახსარი ცხოვრებისა არა აქვს. არა, გარდა თავის მარჯვენისა. მაგისტანს ბოგანს კაცია ჩვენში არ არის. მაგ თუღმა უნდა შექქმნას მაგისტანსანი, თუ უნდა, რომ უქმად და უსარგებლოდ არ დარჩეს. თუ ეს ასე მოხდა, უბედურობა იქნება ქვეყნისათვის.

აი როგორც ხელავს მკითხველი ბ-ნ მეისნერის პროექტის გამო ჩვენმა საზოგადოებამ საერთოდ და მუხრნეობისამ ცალკედ რა ხარდის ფიტარზედ გადატანა გამათლები. ეს ფიტარი საზოგადოებრივი ეკონომიის მეცნიერებაა. ჩვენ დაუპირდით მკითხველებს, რომ ამ საზრების კრიტიკას შევუდგებით მეთქი. მაგრამ ცოტა არ არის, წინ უზარ-მარჯარი კედელი დაგვხვდა. იმიტომ კი არა, რომ იმ ხარდის ფიტარზედ, რომელსაც გადატანილია ესა გამათლები, ჩვენ გამათლის აურას ვერ მოვახერხებთ. არა, ამას როგორც იქნება კიდევ გაგუძლებლით. გაჭირება აი რაშია: აქ ისეთი მხარეებისა მეცნიერებისა ხელშეხებული, რომ მთელი ტრანქტატი საზოგადოებრივი ეკონომიისა მოუნდება კაცს, რომ არ დაიბნას რ თავის საკუთარის მსჯელობისათვის გზა გაიკვლიოს. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ, პირველი, ღონე არა გვაქვს ამ ტრანქტატის დასაწერად და მერმე, თუნდაც შეგვიძლოს, სად დავტოვოთ მაგოდენა ტრანქტატი და მესამე, — თუნდაც დატოვაც შეიძლებოდეს, რა სიტუაციებით გამოვსთქვათ. ჩვენდა სამწუხაროა, — მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინების დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თვითონ, ეგრედ წოდებული, ფრანსეოლოგია. ამიტომაც ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ «მინაურის მიმდინავეისას» ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტუაციებისა შეადგენს.

მაშასადამე დღეს ჩვენის «მიმდინავეის» უმთავრესს გა-

ჭირებს შეადგენს რჩი საგანი: ერთი ისა რომ რეგულარულად და არ გაკებთ საზოგადოებრივ ეკონომიის რთულ კანონების გამოკვლევაში, რაცა იგი კანონები საჭირონი იქნებიან და მეორე — რეგულარი სიტუაციება ვისმართ, რომ ჩვენი წერილი ადვილად გასაგებიც იყოს და თვით საგანიც უნაკლებოდ აგვიხსნას. თქმა აღარ უნდა, ამ რჩისავე შემთხვევაში ბევრი ნაკლი შემოგვერეკვას და წინადავე ბოდიშს ვიხდით.

ღრმად რომ ჩავაკვირდეთ უოკელს თქმულს და დაწერილს ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზე, დავინახავთ, რომ რჩისავე მხრის მსჯელობა — მექანაგეთა თუ მეწინააღმდეგეთა — უმთავრესად ერთს საგანს დასტრიალებს, სახელდობრ იმას, თუ — კარგი იქნება, თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის მოკლენა რ მილიონ ნახევარ ფულსა იმ დანიშნულებით, რომელიც უკისრების მაგ ფულისათვის ბ-ნ მეისნერის პროექტსა.

მასასადამე რომ გულ-დაჯერებით და გულ-მართლად მიუდგეს კაცი ან ერთს აზრს, ან მეორეს, უკლავად უწინარეს საჭიროა ვიცოდეთ რა საქმე შეიძლება ვაკისროთ ფულს საზოგადოდ საზოგადოებრივ ეკონომიის მიხედვით და რა საქმე უკისრების კერძოდ ბ-ნ მეისნერს იმ რ მილიონ ნახევარისათვის, რომელიც, რეგულარულ უზრუნველს, ისე როგორც მიგვაჩინია, რომ როგორც სიხარულით ფეხზედ არ აყენებს, ახა ეხლა გაკმდიდრდებით და როგორც შიშით აკანკალებს, ახა ეხლა დაკიდუებით.

ამისათვის ჩვენ წინ წავიმძვარებთ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც უოკელიც ის ღიხსება აქვს, რაც აქსიომაა. უოკელი კაცი, ეკონომიურის თვალთ რომ გაკმინჯოთ, ამლებისა და გამცემი საქონლისა. მეცნიერება საქონლის (Товары) სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც

ნამეტურის, ანუ მოჭარბებულის მასზედ, რაც პირდაპირ სახ-
მარად პატრონისათვის სჭირდა. მაგალითებზე, თუ ჩემს პირ-
დაპირ სახმარად თანამეტო კლდი პურის სჭირდა და თუ მე
ხუთმეტო მაქვს, მარტო სამს ნამეტურს კლდს საქონელი ჰქვია.
ამისდა მიხედვით რამ გადმოკეთა რგმნათ ზემოდ მოყვანილი
წინადადება, გამოვა რამ ურთი-ერთობითი ეკონომიური და-
მოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა
მოჭარბებულნი აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ
მოჭარბებულნი ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმან-
ერთს შეხვდებიან ყოველი მათგანი ერთი მეორის წინაშე ამ-
დებიც არის და გამტემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც
ერთი იღებს მას, რასაც მეორე გასცემს და გასცემს მას, რა-
საც მეორე იღებს. მაგალითებზე, მე ღვინო მაქვს მეტი და მაკ-
ლია პური, თქვენ პური გაქვთ მეტი და გაკლიათ ღვინო. შევ-
ხვდით ერთმანერთს სააღებ-მიცემოდ, რა ვარ მე თქვენ წინა-
შე და რა ხართ თქვენ ჩემს წინაშე? მე ვარ თქვენს წინაშე გამ-
ტემი ღვინისა და იმავე დროს ამდები პურისა, თქვენ ხართ
ჩემს წინაშე გამტემი პურისა და იმავე დროს ამდები ღვინისა;
ესე, რამ ერთმანერთის წინაშე რჩივ ერთ და იმავე დროს
ამდებნიც ვართ და გამტემნიცა. ამ სახით ყოველი კაცი ეკონ-
ომიურის თვალთ ერთსა და იმავე დროს ამდებიც არის და
გამტემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოუდანზედ.
ეს არის ერთად-ერთი მხარეობითი ეკონომიური დამოკიდუ-
ბულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა
ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის.

ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც
შეახვედრებს ხელმე ერთმანერთს საქონლის პატრონებს მარ-
ტივი გაცვლა-გამოცვლას საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმე-

დებს ჩვენს ენაზედ, ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჭრილი სახე-
ლი ჰქვია: აღებ-მიცემობა (ОБМѢНЪ). აქ პირდაპირ საქონელი
საქონელზედ იცვლება, პირდაპირ, უაჩანაოდ ხელიდამ ხელში
გადადის.

ხოლო ეს მარტოვი სახე აღე-მიცემობისა ყოველთვის არ
არის სახერხო ადამიანისათვის, ზოგჯერ დიდს ხანს და დიდს
ჰაფას თხოულობს, რომ მოხერხდეს ნამეტნავად მაშინ, რო-
ცა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთუ-
ლად მოეწეობს ხოლმე პროგრესის ზედ-მოქმედების გამო. აქ
საჭიროა რჩი პირება: ერთი რომ ჩემი საქონელი სხვას
უჭირდეს და მეორე-რომ სწორედ იმ სხვის საქონელი მე მი-
ჭირდეს. აღება (спросъ) და მიცემა (предложение) ერთს
დასახელებულ საქონელზეა მიქცეული, რომელიც თავისის თვი-
სებით და სახით წინადაკე განსაზღვრულია. როცა მე ჰური მი-
ჭირს და ღვინო მეტი მაქვს. აქ მარტო ჰური გაიცვლება ღვი-
ნოზედ და ღვინო ჰურზედ და სხვა აჩანაზედ. აქ სააღებ-მი-
საცემო საქონელი წინადაკე დასახელებულია და უსათუოდ ერ-
თისა და მეორის მხრისათვისაც იმ სახელის, თვისების და
სახის საქონელი უნდა იყოს და არა სხვა, თორემ აღებ-მიცე-
მობა არ მოხდება.

ეს მიზეზი, რომელიც, მაგალითებზე, ღვინის გამცემს ზ
ჰურის აძლებს აძიულებს უსათუოდ ისეთი კაცი იზოკოს, რომ-
ელიც ჰურის გამცემისა და ღვინის აძლები, მაგისა აძნელებს
საქმეს, აგვიანებს და აფერხებს საქონლის ხალხში მორიგებას,
მიმოსვლას, ხელიდამ ხელში გადასვლას.

ესეთი აღებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცვლა ერთის
საქონლისა მეორეზედ, ეს უხერხო, და მაგვიანებელი მოქმე-
დება თავისის საქონლის გაცემისა და სხვის აღებისა იმ დრომ-

დე სუთქვდა ქვეყნიერობაზედ, საერთოდ, ვიდრე გაცობრიობამ
 არ მოიგონა ერთი განსაკუთრებითი საშუალება. ეს საშუალე-
 ბა იმისთანა რამ არის, რომ აღიწოდ ჩემის საქონლის ამლე-
 ბი კი ვიზოვო და იმას აღარ ვიზრუნავ ექნება თუ არა ეს სა-
 ქონელი, რომელიც სასკლდობრ მე მიჭირს პირდაპირ მოსახ-
 მარად. რაკი ამისთანა საშუალება იზოვოს, მას შემდეგ აღებ-
 მიცემობას*) მოსახდენად საჭიროა მხელად რაში ერთი იმ
 პირობათაგანი, რომელიც მარტივს აღებ-მიცემობაში რაში
 ერთად და ერთ დროს საჭირონი იყვნენ. იმიტომ-რომ ამ სა-
 შუალობის შემწეობით აღება ჩემთვის საჭირო საქონლისა მა-
 შინაც შემიძლიან, როცა ჩემის საქონლის გაცემა სხვისთვის
 ერთსა და იმავე დროს და პირდაპირ საჭირო არ არის. აგრე-
 თვე გაცემაც ჩემის საქონლისა მაშინ შემიძლიან, როცა აღება
 სხვის საქონლისა არ არის ჩემთვის საჭირო იმავე დროს და
 პირდაპირვე. მაგალითებრ, რაკი ის საშუალება ხელთ არ არის,
 მაშინ, როცა აღება მინდა, ვსთქვათ, ჰურისა ჩემდა სახმარად,
 მარტო იმას ვეძებ, ვინც ჰურის გამცემია და როცა ვსთქვათ
 ღვინის გაცემა მინდა, მაშინ იმას ვეძებ, ვინც ღვინის ამლე-
 ბია მხელად. მარტივ აღებ-მიცემობაში კი ჰურის გამცემს
 უსათუოდ ჩემის ღვინის საჭიროებაც უნდა ქონდეს და მე,
 ღვინის გამცემს, ჰურისაც ერთსა და იმავე დროს.

ამგარეა, ამისთანა საშუალობის შემწეობით აღებ-მიცე-
 მობა გადავიღებულა იქმნება, საქონელი უფრო სწრაფად გა-
 დაუ-გადმოვა, საქონლის მიმოსვლა იქნეს აიჩქარებს.

*) ნუ დავივიწყებთ, რომ რა სახითაც უნდა იწარმოვოს აღებ-მი-
 ცემობამ, მარტივისა თუ რთულის სახით, მაინც და მაინც ბოლო ისა
 აქვს, რომ საქონელი იმას უნდა მიუტანოს, ვისთვისაც იგი პირდაპირ
 სახმარად საჭიროა.

იმ საშუალებას, რომელიც ამისთანა ადებ-მიცემობას შე-
 საძლად ხდის უსათუოდ რჩი თვისება უნდა ჰქონდეს: პირ-
 კული, საქონლის ღირებულების (ЦЕННОСТЬ) ცხადი გამოძ-
 ხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის სა-
 ქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან.
 იმატომ რომ ადებ-მიცემობაში უსათუოდ სხვა-და-სხვა სახის,
 თვითების და თვისების საქონელი იგულისხმება, და რადგანაც
 ადებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი
 სწორედ აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვა-და-სხვა გვარ
 საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულების რადენო-
 ბაზეა დამოკიდებული, მაშასადამე შეტოლება ამ გზით საქონ-
 ლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა ადებ-მიცემობისათვის.
 მეორე—მათი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის ადებისა კი არა.
 არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის მა-
 ლი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო
 ძალს სუიდეისას (ВСЕОБЩАЯ ПОКУПАТЕЛЬНАЯ СИЛА).

მაგისთანა საშუალება—ფულია.

აი ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფუ-
 ლისა. ამას გარეთად არც მოედანი აქვს მოქმედებისა და არც
 ფასი. არც იჭმევს, არც ისმევს, არც იცმევს, თავის-თავად
 არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული საყოველ-
 თაო ეკონომიაში ყოველად უვარგისი საგანია ყოველისფერში,
 გარდა იმისა, რომ საშუალებას ადებ-მიცემობისა, რომლის შემ-
 წებობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდება ადებ-მიცემო-
 ბის საქმეს.

ჩვენ ვიცით ეხლა, რომ ადებ-მიცემობის სახე რჩ-გვა-
 რია. ერთი მარტივი, როცა ერთ სახის საქონელი სხვა სახის
 საქონელზედ იცვლება პირდაპირ და უშუაშალოდ და მეორე

რთული, რაცა სააღებ-მიცემო საქონელთ შორის სხვა სა-
 განი, ესე იგი, ფული მოქმედებს. პირველის სახე ასეა: სა-
 ქონელი=საქონელი და მუცრისა: საქონელი=ფული=საქონ-
 ელი. მაგალითებზე ვსთქვათ, რომ რი თუნგი ღვინო ერთ
 კოდს ჰურზედ იცვლება მარტივ აღებ-მიცემობაში. ეს ამ სა-
 ხით გამართების: რი თუნგი ღვინო=ერთი კოდი ჰური.
 ვსთქვათ რი თუნგი ღვინო რი მანათია. რაჟი რი თუნგი
 ღვინო რი მანათია, მაშასადამე ერთი კოდი ჰური, რომელიც
 რი თუნგი ღვინოზედ იცვლება, რი მანათი უნდა იყოს. ეს
 ამბავი რთულს აღებ-მიცემობაში ამ სახით გამართების: რი
 თუნგი ღვინო=2 მანათი ფული=ერთი კოდი ჰური. პირ-
 ველში ღვინოს გავცემ რომ პირდაპირ ჰური ავიღო, მუცრე-
 ში კი ღვინოს გავცემ რომ ფული ავიღო და ფულს ისევ გავ-
 ცემ რომ ჰური ავიღო. ეს უკანასკნელი მოქმედება გასუიღვას
 სუიღვისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთისა და მუცრის ბო-
 ლოც ერთი და იგივეა, ღვინისა ჰურზედ და ჰურისა ღვინო-
 ზედ, ესე იგი, საქონლისა საქონელზედ ცვლა და სხვა არა-რა.

რაცა აღებ-მიცემობა ერთისა თუ მუცრის სახით უტ-
 უყარად მოქმედებს, ამღებიც და გამცემიც ერთნაირად მოგუ-
 ბაში არიან. აღებ-მიცემობაში ამღებიც და გამცემიც გასცემენ
 ხოლმე მარტო იმას, რაც თვითვეულისათვის ნამეტურია, მა-
 შასადამე უსარგებლოა და უსაჭირო; მის სამაგიეროდ იღებენ
 მას, რაც თვითვეულის მათგანისათვის საჭიროა და მაშასადამე
 სასარგებლო. ცხადია, რომ ადამიანისათვის უსარგებლოს
 გაცემა და მის სამაგიეროდ სასარგებლოს შექმნა—სასარგებ-
 ლო არუ, უკეთ ვსთქვათ, მოგება უნდა იყოს.

ამ სახით ფული ეკონომიებრივ იმისთანა საგანია, რომ-
 ლის საშუალოებითაც უფრო ადვილად და ხერხიანად საქონელი

საქონელზედ იტყვება, რომლის შემწობითაც საქონლის ვატ-
 რონები ერთმანერთში სააღებ-მისაცემოდ მოქმედობენ, ესე
 იგი, ეკონომიკებრივად ერთმანერთში მიიქცევი-მოქცევიან. სა-
 ცა მაგ გვარს მიქცევი-მოქცევიას საქონლის ვატრონთა შორის,
 იმ ადგილს ბაზარი (РЫНОКЪ) ჰქვია და მთელი ჯამი აღებ-
 მიცემობისა, მთელი რიცხვი მაგ გვარის მიქცევი-მოქცევისა სა-
 ქონლის ვატრონთა ერთმანერთში შეადგენს მას, რასაც მუც-
 ნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას (обращение товаров).

ეს გველი სიტუვა ფულის საზოგადო მნიშვნელობაზედ
 იმიტომ გავაბით, რომ ჩვენის მსჯელობისათვის ფულის-მოხსავი-
 დებელი საგანი აგვეჩინა. ეს ერთი. მეორე იმისათვის, რომ
 რაკი ეგ მნიშვნელობა გვეცოდინება, უფრო ადვილად მივხვდუ-
 ბით შემდეგს განჩინებს საზოგადოებრივ ეკონომიკისას, რომელთ
 გამორკვევასაც ჩვენ ვერ შევუდგებით და რომელთ მოწვევა კი
 აუცილებლად საჭირო იქნება ჩვენის მსჯელობისათვის.

ესლს მივხედოთ ბ-ნ მეისნერის პროექტსა და ვიკითხოთ
 ის რა მილიონი ფული რომ მოაქვს, რასა გვპირდება? რა
 გზას და მოედანს უნიშნავს მაგ ფულს?

ამის ვასუსად გვეუბნება ბ-ნი მეისნერი, — ვიუიდი ღვი-
 ნოს რომ ისეკ ვაუიდილო, ესე იგი, ღვინის ვატრონბას ვაკ-
 მართამო; მეორე თქვენს — ღვინოს სხვას ახალს ბაზარს ვაკუ-
 ჩენო, ესე იგი, თქვენს ღვინოს თქვენის ქვეყნიდამ სხვაგან ვა-
 ვიტანო და მესამე — ღვინის ვეთების საქმეს შევუდგებიო. ვაკ-
 სინჯოთ ეს თვითვეული დაპირება ცალკე.

ღვინოს იუიდის რომ ისეკ ვაჭუიდილო. რას ნიშნავს ეს?
 აქ ფული რა მოქმედებაშია? აი რა მოქმედებაშია: აქ ფული
 თვითონ ხდება აღებ-მიცემობის საგნად და ღვინოს ამის სა-
 მუალებად ხდის, აქ ფული ვადის ფულისკე შემოსატანად

ღვინის შექმნით, ესე იგი, ფული ფულზედ იცვლება. აქ
 ალებ-მიცემობა არ არის, იმიტომ-რამ ალებ-მიცემობაში გა-
 საცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სახე საგანი კი
 არა, რაგორც აქ ფული ფულზედ, არამედ სხვა-და-სხვა გვა-
 რი, სხვა-და-სხვა სახე საგანი მატრო ღირებულების რა-
 დენობით შეტოვებული. მაგალითებრ, რაი ჩაფი ღვინო და
 ერთი კოდი პური. მაშ რა არის, თუ არ ალებ-მიცემობა? ვაჭ-
 რობაა, რომელიც ბუნებითად ერთ-გვარი სახეა ფულის გასეს-
 ხებისა, იმიტომ, რომ ფულით ფულის შოვნა სესხებაა. აქ
 შემთხვევაში, რაგორც სესხებაში, ფული ისე არ გაიცემა,
 რომ სარგებლით უკუ-არმოიქცეს. მაშასადამე აქ ფული გა-
 დის, რომ მეტი ფული შემოვიდეს. ბ-ნ მეისნერის პროექტი
 გვბრძობს, რომ ყოველი მანათი ღვინის სუიდვით მანათსა ექვს
 შაურს და ოთხ კაპეიკს შემოუტანს აქციონერებსა. აი მაშას-
 ადამე რაგორი სახე ექნება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის მოქ-
 მედებსა: ფული=ღვინო=ფული+34%. აქ ფული ეძლევა
 ღვინის მკეთებელს. იმისათვის, რომ ღვინის მსმელის კისრი-
 დამ ამოიღოს იგივე ფული+34%. ამ სახით აქ ღვინო თით-
 ქო ვექსაილია ღვინის მსმელისაგან ჩამორთმეული სასარგებ-
 ლოდ ფულის პატრონისა. აქ ფული საშუალობა აღარ არის
 ალებ-მიცემობისა, თავის ეკონომიურს მნიშვნელობას ჭკარგავს,
 აქ თვითონ ფული ალებ-მიცემობის საგნათა ხდება.

თუ ბ-ნის მეისნერის ამხანაგობა ამ გვარს ღვინის ვაჭ-
 რობას ჩვენს ქვეყანაშივე მოახდენს, მაშინ ის იქნება, რომ ჩვე-
 ნი ქვეყანა სესხულობს ფულს ბ-ნ მეისნერისაგან მანათს ექვს
 შაურად და ოთხ კაპეიკად. ამ სიდიდე სარგებელი იმოდენა ფულ-
 ედ რაგორც რა მიღიონ ნახევარია, ფულს კი არ მოზი-
 დავს ჩვენს ქვეყანაში, გაზიდავს, იმიტომ რომ ყოველი შემო-

სული მანათი გაიტანს მანათსა ექვს შაურს და რვა კაპეისა. გვეტყვიან, რომ მაგას მარტო ღვინის მსმელი გადახდისო, ღვინის მკეთებელი ხომ თავისას მიიღებსო. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა თუძცა ღვინის მკეთებელი ქვეყანაა, მაგრამ მასთანავე ღვინის მსმელიც არის. თუ როგორც ღვინის მკეთებელს ფული შეძრუვა, როგორც ღვინის მსმელს ის ფული ხელი-დამკე გამოეცლება ზედ-დამატებით 34⁰/₀. მაშასადამე, ერთს ნაწილს ჩვენის ქვეყნისას ფული ეძლევა და მეორე ნაწილს ერთმკეა ზედ-დამატებით 34⁰/₀. თუ ბაზარი ამ გვარის ფულის გადახდისა და მიცემისა ჩვენშია, მაშინ იმოდენა ვნება არ არის, იმიტომ-რომ ფული აქვე დატრიალდება და თუძცა ერთის ხელიდამ მეორეში გადავა მოგებით, მაინც აქაური ბაზარი ადებ-მიცემობისა ფულის დაკლებას არ იგრძნობს. სულ სხვაა, როცა ჯიბე, ფულის მომტანი და გამტანი, ჩვენის ქვეყნის გარედ არის. მაშინ ფული ჩვენისავე ღვინის წყალობით უსათუოდ გაიზიდება, ჩვენს ბაზარს დააკლდება, ჩვენში ფული დაცოტავდება. საზოგადო კანონია, რომ ჩამოდენადაც საგანი რამე ბევრია, იმოდენად მისი ფასი ძირს დადის და ჩამოდენადაც ცოტაა, მისი ფასი მატულობს, თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ უოფასი და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ფასის აწევ-დაწევა საკუთრივ საქონლის ფასის აწევ-დაწევასა. მაშასადამე, როცა ჩვენში შემონახვენებ გზით ფული დაცოტავდება, ასე იგი, გაძვირდება, საქონლის ფასი დაეცემა საერთოდ და ღვინისაც ცალკე. ეს კიდევ არა-ფერია, როგორც ბოლოს ვნახავთ. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ თუ ბ-ნ მეისნეის მექონათ ჩვენში ფულის გამრავლების იმედი აქვთ, ტყუილი იმედია და თუ ფულის მეტ-

ნაკლებობას დიდს მნიშვნელობას აძლევენ საერთო ეკონომიკაში, კუმტკიცებთ, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ფუფს კი არ გაგვიძრავებს, არამედ რაღაც გვაქვს, იმასაც გაზიდავს.

აი ამ მხრით ჩვენ საბუთი გვაქვს სრულებით გავამტკიცებთ ბ-ნ მეისნერის მეწინააღმდეგენი, რომელნიც ამბობდნენ, რომ ისევ აქაური ვაჭრები გვიჩვენებენ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობასა.

მაგრამ გვეტყვიან, ბ-ნი მეისნერი თავის ფუფის საჩუბელს ჩვენს ქვეყანას არ გადაახდებინებს, რადგანაც ღვინოს აქ იყიდის და რუსეთში გაჰყიდის, ესე იგი, ფუფს შემოიტანს და არ გაიტანს კი. ჯერ კიდევ არ ვინ იცის. თუ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა თავის ფუფს აქვე გამაჩვენებს 34 საჩუბელს, არა გვგონია ახლანდელ შორი მანძილი იჩიოს. მაგრამ ესთქვასთ ვერცე მოხდეს. ახლანდელ ამით რა გამოვა ჩვენს ქვეყნისათვის. ის გამოვა, რომ რა მილიონ ნახევარი ფული შემოვა და აქ დაჩიება, სხვა ხომ არაფერი, გარდა იმისა, რომ მის სამაგიეროდ ჩვენს ქვეყნიდან ღვინო გავა. ესლას ვიკითხეთ, რას მოახდენს ეს სასწაული? აქ დაჩიენილი ფული რას მოგვიმატებს იმ დაკლების სამაგიეროდ რომ ღვინოს გაიტანს?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთად-ერთი საგანი, თავი და ბოლო ეკონომიურ მიქცევ-მოქცევას ვაფთხავთ შორის ის არის, რომ მოჭარბებული ნაყოფი ჩემის ნაწარმებისა ვაფთხავ იმითი შევიძინო ის ნაწარმები სხვისა, რაც მე ვიჭრავი სახმად რად მაკლია. ყოველი საქონელი, რადუნს ხელშიაფ ვაფთხავ-გადმოვიდეს, მაინც ბოლოს იქ მივა, ვისაც ვიჭრავი სახმად ვჭირება. დანიშნულება საქონლისა და საქონლის ქცევისა მარ-

ტო ეს არის და სხვა არა-არა. მაშასადამე საქონელთა შუა ფუ-
 ლი იტრიალებს, თუ არ იტრიალებს, მაინც ერთის ნამეტური
 მეორეს ხელში გადავა და თვითვეული მათგანი ამით შეიგ-
 სებს მას, რაც აკლია პირდაპირ სახმარად. ვსთქვათ მე ღვინო
 მეტი მაქვს და პური არა და გაკდივარ ბაზარში, რომ ღვი-
 ნო ვაგდე და პური ვიშოვნო. ვსთქვათ, რომ რჩი თუნგი ღვი-
 ნო უდრის ღირებულებით *) ერთს კოდს პურს და მაშინ,
 თუ ეს ღირებულება არ შეიძლება, რჩის თუნგის ღვინის ფასი
 ერთი აბაზი იქნება, თუ ათასი თუმანი ხომ ერთის კოდის პუ-
 რის ფასიც იგივე ერთი აბაზი, თუ ათასი თუმანი უნდა იყოს.
 მაშასადამე, რაცა საქონელთა შორის ღირებულება იგივეა,
 მაშინ ფული მათ შუა ბეჭი იშუამავლებს, თუ ცოტა, სულ
 ერთია.)

აქედამ გამოდის ის კანონი მეცნიერებისა, რომ რაცა
 ღირებულების რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და
 ფასის რაოდენობა კი ხან მატულობს, ხან კლებულობს, ამით
 არც არავინ აგებს არც არავინ იგებს. ამას ცხადად დაკინა-
 ხავთ შემდეგს სასწორზედ: რჩი თუნგი ღვინო = X ფული =
 ერთი კოდი პური. აქ მაგ X მაგირე გინდა ასი დასვით, გინ-
 და ათასი, ღვინოსა და პურის შუა სასწორი არ მოიძლება.

*) ღირებულება (ЦѢННОСТЬ) და ფასი (ЦѢНА) ერთი და იგივე
 არ არის. ღირებულება არის ის რაოდენობა სხვა-და-სხვა გვარ საქო-
 ნელთა ერთმანერთის წინაშე, რომელიც შესაძლოთა ხდის საქონლების
 ერთმანერთზედ ცვლასა. მაგალითებრ, ვსთქვათ რჩი თუნგი ღვინო ერთს
 კოდს პურზედ იცვლება. ეს რაოდენობა (ღვინისა რჩი თუნგი და პურისა
 ერთი კოდი), რომელიც შესაძლოთა ხდის ღვინის გაცვლას პურზედ და
 პურისას ღვინოზედ მათი ღირებულებათა ერთმანერთის წინაშე. ფასი კი
 იგივე ღირებულებათა საქონლისა მხოლოდ ფულის რაოდენობით გამო-
 თქმული.

სულ სხვა იქნება, რასაკვირველია, თუ რომ ფულის მოკლენამ შემდეგ ღირებულება საქონელთა შორის, მაგალითებზე, ვსთქვათ მარტო ღვინის ფასი ასწია და პურისა კი ისევე ის დაარჩუნა. ჩვენ ვამბობთ, რომ ფულს, როგორც საშუალებას ადებ-მიცემობისას, ამის მოხდენა არ შეუძლიან. შორს რომ არ გაკახათ ლაზარაკი, საკმაოა ვსთქვათ, რომ თუ რომელსაღმე ქვეყანაში სიმრავლე და სჭირდება ღვინისა და პურისა ერთსა და იმავე დონეზედ დგას, ესე იგი, უცვლელია და თუ ამასთან რის თუნგის ღვინის მოსავალი ერთს შუათანა მუშის ღირებას და დროს ინდობებს და ამოდენასვე ღირებას და დროს ერთის კოდის პურის მოყვანა, მაშინ მათის ღირებულების შემდეგ არათუ არცაა მალეუძს: ასწევთ, თუ დასწევთ ერთს, აიწევს და დაიწევს მეორეს, ერთისა და იმავე ზომით:

ამიტომაც მეცნიერებაში დადგენილია კანონი, რომ თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ და რასაც მწარმოებულნი ამით მოიგებენ გასასყიდში, იმოდენასვე წააგებენ სასყიდში. ეგევე მოხდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი-ორად დაეცემა და მწარმოებულნი რამოდენასაც წააგებენ გასასყიდში, იმოდენას მოიგებენ სასყიდში. არც ერთს შემთხვევაში სასწორი გაცემისა და ადებისა არ შეიძლება.

მაშასადამე თუ რა მილიონ-ნახევარზე ბ-ნ შეისწავლის ამხანაგობის მარტო იმისთვის ეხარებათ მის მექანიკეთს, რომ ჩვენში ფული გამრავლდება, ცხადია ამით ჩვენ არა მოგვემეტება-რა, თუ საქონელთა რიცხვი ჩვენში იგივე იქნება, რაც არის. დაულებით კი დაგვაკლდება, რადგანაც ღვინოს გაიტანს, რომელიც ჩვენთვის თითქმის პურისაებზე დიდს სჭირ-

რეებს შეადგენს. ღვინის გატანით ებ ჩვეული საჭიროება ისეთის სავსებით აღარ დაკმაყოფილდება, რაგორც დღეს. კმაყოფილების დაკლება ცხადი გაღარბებია.

რამ მარტო ფულის გამრავლება არაფერია, რაღა საჭიროა არა მრავლება, ამისი ცხადი მაგალითი ის რთხი მიწიანი ფულის, რომელიც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიამ მიიღო უმების განთავისუფლების გამო, მერე ისე მიიღო, რომ მის სამაგრიოდ ჩვენი ქვეყნიდამ არა გასულა-რა. რა დახნივა ჩვენს ქვეყანას ამოდენმა ფულმა? მაგოდენად ფულის გამრავლებამ განა გაგვამდიდრა? თუ მაგ მუქთმა ფულმა არა ჰქმნა-რა, მაშ რაღას უნდა მოკვლობდეთ იმ ფულისაგან, რა-მელიც მუქთად კი არ გვეძლევა, არამედ იმისთვის მოდის, რომ თვითონ აქ დარჩეს და ჩვენი სიძლიერე — ღვინო გაიტანოს?

ამ სახით ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა იმ 34% ჩვენი ქვეყნის კისრიდამ ამოიღებს, თუ რუსეთისიდამ რა გზითვე ჩვენ დაუბრუნებთ პირში ჩაღა გამოკლებული. პირველ შემთხვევაში ჩვენიდამ ფულს გაზიდავს და მეორე შემთხვევაში ღვინოს. პირველ შემთხვევაში ფულით გაღარბებით, მეორეში ღვინითა. რაკი ფულის მეტ-ნაკლებობაზედ ამყარებენ ქვეყნის კეთილ-დღეობას ბ-ნ მეისნერის მექამაგენი, მაშინ ცხადია, რომ რაგანვე დანაკლისი ჩვენი იქნება და გამოჩნდება სხვისი.

ბკეტუვიან: ტყუილი შიშის ვითარებ ღვინით ამ შემთხვევაში გაღარბებითა. ამის საბუთად ბ-ნ მეისნერის ქამაგათა ის მოჭყვავთ, რომ რაკი ჩვენი ღვინო ბ-ნ მეისნერის წყალობით ბევრი გასაღდება ფულზედ, მაშინ თვითონ ღვინოსაც ბევრს მოვიყვანთ. თუ ეხლა ჩვენს ქვეყანას 30 მილიონი

თუნიგი მოსდის, მაშინ იმოდენად მეტს მოკვივანთო, რამოდენადაც გასაღების იმედი გვექნებაო. ნუ დავივიწყებთ, რომ ბ-ნ მეისნეჩის განზრახულს ვაჭრობაში საქონელი საქონელზედ კი არ იტყლება ფულის შემწეობით, არამედ საქონელი ფულზედ. აი ამ საგანზედ რას ამბობს ერთი დიდად გამოჩენილი მეცნიერი: «რომელიმე ქვეყნის მთელი გამრჯელობა, მთელი მეცადინეობა, მთელი ქონება მიიქცევა ხელმე რომელიმე წარმოების გასაძლიერებლად იმ იმედის გამო კი არა, რომ ბევრს ფარატინა ქალაქს მივიღებო, არამედ იმ იმედისა გამო, რომ თავის ნაწარმოების საშუალებით მიიღებს ბევრს სხვა-და-სხვა საჩხო-საქონელს საზოგადოდ. სიმრავლე ფარატინა ქალაქისა თუ ვისმე სიმდიდრე ჰქონია, რატომ იმას კი არ ხედვენ, რომ მთელის იმ სიმრავლით ვერა საგანს ვერ უიღულობენ იმაზედ მეტს, რამოდენასაც წინად უიღულობდნენ.»

მაშასადამე ტყუილი იმედია, რომ სიხარბე ბევრის ფარატინის ქონვისა, რომელსაც ბ-ნ მეისნეჩის მექამაგენი ქვეყნის ბედნიერებად სახევენ, შეიქმნას მიზეზად ღვინის წარმოების გაძლიერებისა ჩვენში.

კსთქვათ გაუბრყვლით კიდევ და ფარატინა ქალაქის შემენისათვის გავაძლიერეთ ღვინის წარმოება. როგორ უნდა მოხდეს ეს გაძლიერება? ისეო, ამბობენ ბ-ნ მეისნეჩის ქამაგენი—რომ ჩვენი ქვეყანა სივრცეს ვენახებისა გაუმატებსო. მაშასადამე ღვინის წარმოებას შრომა უნდა დაემატოს და შრომასთან მიწაც. საიღამ? ერთისა და იმავე ჯამიღამ, საიღამაც ეგ შრომა და ეგ მიწა დღეს განწილულია და მორიგებული სხვა-და-სხვა გვარ წარმოების შოკის, რომელთა საერთო მოქმედებით ჩვენს ქვეყანას თავისი საჩხო მოჭყავს. მაშასადამე შრომა და მიწა სხვა წარმოებას უნდა დააკლდეს, რომ ღვინის

წარმოებას დაემატოს. აქ სხვა წარმოება უნდა შემცირდეს, რომ ღვინისა გადიდდეს.

მაგალითებზე, ვსთქვათ, ჩვენი ქვეყანა მარტო ორგვარის წარმოებით თავის საჩხოსა შოობს და იმით ვსტრუქტურებს. ვსთქვათ, ეგ ორი გვარი წარმოება ერთი ღვინისაა და მეორე პურისა. ვსთქვათ, ამისათვის ათის დღის მიწას და ოცი მწარმოებელი ვაჭრი. ვსთქვათ, ნახევარი ჩიტხვი მწარმოებულთა და ნახევარი ჩიტხვი მიწისა ღვინოს უნდება და დანარჩენი ნახევარი პურისა. ვსთქვათ, რომ თვითონ მწარმოებულს შინ სახმარისად წელაწადში ოცი თუნგი ღვინო უნდება და ათი კოდი პური და სხვა აწავითარი საჭიროება არა აქვს: მაშასადამე, ჩვენმა ქვეყანამ რომ უღვინობა და უპურობა არ იგრძნოს, ღვინის მწარმოებულთა ოთხასი თუნგი ღვინო უნდა მოიყვანონ და პურისამ ორასი კოდი. მაშინ ჩვენი ქონება ამ სახეს მიიღებს.

ქონება = 400 თუნგი ღვინო + 200 კოდი პური.

ამ სახით ათს ღვინის მწარმოებულს 200 თუნგი ღვინო მეტი ექნება ასის კოდის პურის საშოკრად და პურისას — ასი კოდი პური 200 თუნგის ღვინის საშოკრად. ჩადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ყოველი საგანი წარმოებისა საჩხოსა და მოჭარბებული საჩხო საქონელია, ამიტომაც ჩვენის ქვეყნის საქონლის სახე ასე გამოიხატება:

საქონელი = 200 თუნგი ღვინო + 100 კოდი პური.

აი ეს 200 თუნგი ღვინო ამ შემთხვევაში სულ მთლად გაიცემა რომ 100 კოდი პური აიღოს და 100 კოდი პური სულ მთლად გაიცემა, რომ 200 თუნგი ღვინო აიღოს. ეს ადებ-მიძეიმლობა რაც მეტი პურია ბაზარში სულ მთლად ღვინის პატრონს მოუტანს, იმიტომ რომ სულ მთლად იმას

უჭირს და რაც მეტი ღვინოა სულ პურის პატრონსა იმავე მიხედათ.

აშკარაა თუ ვითარება ეკონომიური ასე დაჩქება, არა ვითარა მიხედა არ იქნება, რომ ღვინის მწარმოებელთა 400 თუნგზე მეტი ღვინო მოიყვანონ, ან პურისამ — 200 კოდზედ მეტი.

ისიც აშკარაა, რომ თუ მაგალითად აღებულნი გარემოებანი შეუცვლელად დაჩქებიან, მაინც მარტო რჩასა თუნგი ღვინო გაიტემა ასე კოდს პურზედ და ასე კოდი პური რჩას თუნგს ღვინოზედ, რაქ თუ აღებ-მიცემობის შუა-მაკლად ფული საჭიროა, იმოდენად საჭიროა, რომოდენადაც აღებ-მიცემობა პურისა ღვინოზედ და ღვინისა პურზედ დაიტეოს. ამიტომაც ამბობს ერთი გამორჩენილი მეცნიერი, რომ «ფასი იმ საქონელთა, რასაც რომელსამე ქვეყანაში ყოველწლივ ჭყიდის და ყიდულაბენ ის ჯამია ფულისა რაც საჭიროა საქონლის ქცევისა და მოწიგებისათვის პირდაპირ მხმარებულთა შორის და მაგაზედ მეტს ფულსა ის ქვეყანა საქმეს ვეღარ აუჩენს, და ველაქაში გამოიყენებს».

მაშასადამე თუ ჩვენს ქვეყნის ეკონომიური გარემოებანი ისევე ასე დაჩქებიან, როგორც დღეს არიან რა მილიონ ნახევრის ფულის გარეკა ისიც ქალაქის ფულისა, არასფერში გამოსაყენი არ იქნება და რაც არაფერში გამოსაყენია, ის არ აიძულებს არავის საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ მეტი ღვინო მოიყვანოს.

მაგრამ ვსთქვათ ბ-ნ მეისნერის მექანმაკეთებელ, რომ ფარსტინა ქალაქდმა წაგვიტყუა და აქაო და ბევრი ფარსტინა ქალაქი დატრიალდება ხელში, ავიღეთ და ღვინის გამრავლებას შეკუდებით მაშინ, როდესაც ყოველივე სხვა გარემოება

წინანდლის მაგალითისა დარჩა უცვლელად. ცხადია რომ ღვინო გაკადრავლათ, ჰურს უნდა მოკაკლათ მწარმოებელი და მიწა. ვსთქვამთ ოთხასის თუნგას მაგიერ ექვსასი თუნგი ღვინო მოვიწოდინეთ. თუ ხუთს დღიურს და ათს მწარმოებელს ოთხასი მოჰყვანდა, ესე იგი ხუთს მწარმოებელს და ორ დღიურ ნახევარს მიწას ორასი, მაშასადამე ჰურს უნდა მოკაკლათ ხუთი მწარმოებელი და ორ დღიურ ნახევარი მიწა და ღვინის წარმოებას დაკუმატათ.*) მართალია, ამით ექვსასი თუნგი ღვინო გვექნება, მაგრამ ამ რიგად განახევრებული წარმოება ჰურისა ორას კოდვადამ ასს კოდხედ ჩამოხტება. აქედამ 50 კოდი თვითონ ჰურის მწარმოებელთ მოუნდებათ სარჩოდ და 50 კოდი ჰურიღა იქნება ღვინოზედ გასაცვლელად, მაშინ როდესაც ამას გარდა კიდევ ასი კოდია სიჭირო უკვლასათვის სარჩოდ და 200 თუნგი ღვინო კი მეტია. ვსთქვამთ, მარტო ეს 200 თუნგი ღვინო, რომელიც ჩვენთვის მეტია, გაიტანა ბ-ნმა მეისნერმა და მის სამაგიეროდ ფარატინა ქალაქი მოგვცა. ნუ თუ ეს ფარატინა ქალაქი ჰურის დანაკლისს არ გვგზნობინებს? ნუ თუ ჰურის მაგივრობას გვიზამს? ნუ თუ ამით ჩვენში ჰური არ დაძვირდება? ჰური თუ კი ერთიორად ნაკლები იქნება და საჭიროება იგივე, მისი ფასი, სულ ცოტა რომ ვსთქვამთ, ერთი ორად მაინც აიწევს და თუ მისი ფასი ფარატინა ქალაქია, ერთიორად ამ ფარატინას მოითხოვს. რაკი ჰური ასე დაძვირდება, ამ წარმოებისაგან წასული მწარ-

*) ეს მაგალითი თავის ძალას არ დაჰკარგავს, თუნდ ვიგულისხმობთ, რომ იმის გარდა რაც ღვინისა და ჰურის წარმოებას მიწა უჭირავს, კიდევ არის სხვა მიწები, რომელნიც უქმად არიან, აუ კი მწარმოებელთ ქონება და კაცი რიცხვით იგივე იქნება.

მოებელი და მიწა ისევე ჰურს უკანვე დაუბრუნდება იმავე
 ფარატინების გამორჩეობის იმედითა, რამაც წინა მავალითში
 ღვინის თაობაზედ წაიტყუა ერთიცა და მეორეც. თუ ფარა-
 ტინა ქალაქდმა ერთს შემთხვევაში წაგვიტყუა და ღვინის
 წარმოება გაგვამწიერებინა ჰურის დაკლებით, რატომ იგივე
 ფარატინა არ წაგვიტყუებს მეორე შემთხვევაში და ჰურის
 წარმატებას არ გაგვამწიერებინებს ღვინის წარმოების დაკლე-
 ბითა? მიზეზი ერთია, შედეგიც ერთი უნდა იყოს. ეს ერთ-
 ხელად აღძრული ტოკვა სასწორის უღლისა ღვინისა და ჰურის
 წარმოების შუა იქიმიდინ იქნება, ვიდრე ღვინო თავის დონემ-
 დე არ დავა და ჰური თავის დონემდე არ ავა და ამ რიგად
 უღელი სასწორისა წინანდელ ჯარზედ არ დადგება.

მაგრამ გვეტყვიან, რომ ეს ასე არ მოხდებაო, რადგანაც
 ჰურის წარმოებაზედ შეგვიძლიან სრულებითაც ხელი ავიღო-
 თო და ჰური რუსეთიდან ვზიდოთო იმ ფულის შემწეობით,
 რასაც ჩვენგან გატანილს ღვინოში ბ-ნი მეისნერი მოგვცემსო.
 შესაძლოა, მაგრამ ის შემოსული ბ-ნ მეისნერისაგან ფული ამ
 გზით ხომ ჩვენის ქვეყნიდან ისევე მთლად გაიზიდება და
 იქნება მოჭარბებითაც, რადგანაც ჰური უფრო აუცილებელი
 და დიდი საჭიროებაა ჩვენთვის ვიდრე ღვინო რუსეთისათვის.
 მაშინ ბ-ნ მეისნერის მექამაგეთ ხომ ამითაც გამოეცლებათ
 ხელიდან საბუთი, რომ იმდროვნებენ მისგან შემოტანილი
 ფული ჩვენშივე დაჩრებაო, მაშასადამე ფული გაგვიმწიერებ-
 ბა და გაგვბენიერებდებოთო. ეს კიდევ არაფერია. საქმე იმა-
 შია, ჩვენ ამით რა მოგვემსტება? არაფერი. ჩვენიდან ღვინო
 იმდენი გავა, რაც მეტია ზ სწორედ იმდენადაც მეტი იქნება,
 რაც დანაკლისის ჰურის მოსაპოვებლად საჭიროა. სასწორი

ჩვენის საჩხო-ქონებისა და საქონლისა არ შეიცვლება და ისევე ამ სახისა იქნება:

ქონება = 400 თუნგი ღვინო + 200 კოდი ჰური, საქონელი = 200 თუნგი ღვინო + 100 კოდი ჰური, რაც უნდა ბეჭდმა ფუფამა იტრიალეს ამათ სააღებ-მიტემოდ.

ზარალი კი ის იქნება, რომ ჰური უწინ ახლად საშოკარი იყო და ესლა შოქს საძებნელი განდება და რაცა ის შოქი ბაზარი რამეულისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება მშვიტები ამოკწყდებით. ესლა ერთი ვიკითხეთ: თუ არა მოგვემეტება რა, უტკივარი თავი რად ავიტკივოთ.

მაშასადამე ბ-ნ მისნეჩის დაპირება რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი რომ ისევე გაკუილდო, ესე იგი, ამ სახის ღვინის ვაჭრობას გაკმატამო, არას გზით და არას მხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი. საზოგადოდ ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი საჩხო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის საჩხოთი ის ამოვიწინოს, რაც ავლია ქვეყანას დანაჩენ საჩხოდ.

ვაჭრობის საჩგებლობა, ამბობს ზემოთვე ხსენებული მეცნიერი—იმაში კი არა მდგომარეობს, რომ გაჭყიდოს საქონელი, რეგორც აქამოდვე ეგონათ,*) არამედ იმაში, რომ გასასყიდი საქონელი საშუალებათ ხდება სასყიდის საქონლის შესამენადარ.

მეორე პირება ბ-ნ მისნეჩისა, რომელიც დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ მის მექამატეთ, ის არის, რომ თქვენს ღვინოს სხვა ახალს ბაზარს გაუჩინო. ახა ეს არის ის კაი ფონი, რომელიც ერთს ადგილას აღჩნობს.

*) მოძღვრება, რომელიც მერკანტილ სისტემათ ცნობილია მეცნიერებაში, ამას ჰქვიადაგობდა და ესლა ეგ მოძღვრება უარ ყოფილია.

სხვა ახალის ბაზრის ახენა მაშინ არის კარგი, როცა უკვე ახენილი, ესე იგი, დღევანდელი ბაზარი არ იტყვას საქონელსა. მაშინ ჭკუენა ან ახალს ბაზარს ეძებს საქონლისათვის, ან, თუ ვერ იძივს, თვითონ წარმოებსა შეცოტაკებს, თუ სხვა გარემოებანი უცვლელნი არიან.

უხლა ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ მართლს იმოდენა ღვიწხი მოდის ჩვენს ჭკუენაში, რომ ჩვენში ველ რა სადღება. ამას ვედ ჭრს ვერავინ ვკატუვის, თუ აღაღ-ბედად თქმა არ იკადრის, და თუ იკადრის ამასაც იტყვის, რომ ათში ერთი ჩაფი იყიდება ჩვენშია და დანარჩენი ცხრა ჩაფი გაუყიდავი რჩება.

მართალია, ჩვენში ხშირად ისმის ჩივილი ღვიწხი არ ვიყიდებო, მაგრამ მაგასვე ზურის პატრონიც იმხის ზურის შესახებ, მატყლისა მატყლის შესახებ, შეშისა შეშის შესახებ და სხვა ამ გვარი. ნუ თუ აქედამ ის დასკვნა უნდა გამომიყვანოს კაცმა, რომ ყოველივე ამ ნაწარმობით ჩვენი ბაზარი იმოდენად სავსეა, რომ ყოველს ამას აღარ იტყვას, ყოველივე ეს ვერა სადღება უმუშტრობის გამო. თუ ეს საჩივარი გამსუადველთა მართალია, ახა უხლა ყური დაუგდეთ რა საჩივარი ისმის იმავე დროს და იმავე ბაზარში მიუდგველთაგან: ღვიწხი ძვირია, ზური ძვირია, საკლავი ძვირია, ლამის ვაკტუავდეთო. ეს ჩივილი რომ ვთარგმნოთ, იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბაზარი ყოველ ამით არამც თუ სავსეა, ნაკლულადაც არის, თუ ნაკლულად არ იყოს, იუფობა იქნებოდა. ეს რა საჩივარი, რომ ერთმანერთს შირში წაკუყენოთ, გამოვსა, რომ ერთსა და იმავე ბაზარში ერთობ საქონელი ბევრიც არის და ცოტაც ერთსა და იმავე დროს.

მაშასადამე, მართალი რაში რამეული ერთია? ცხადია, არც

ერთი. მართალი სწორედ ამათ შუას და ვერც ერთს ვი ხელი ვერ ჩაუვლია. საქმე იმაშია, — ვერც საქონლის გამსყიდვა, რომ ვერც ვერძო პირი, ვერც მსყიდვად ვერც წსტნობს ეკონომიურს ვითარებას რომელიმე დროისას და ამიტომ ჭკონია ერთსაც და მეორესაც, რომ სასწორს საქონლის ღირებულებისას თავიანთ სურვილისამებრ თუნდა ასწიკენ, თუნდა დასწიკენ მარტო თავის სასარგებლოდ. რაღა ღვინის პატრონი ჩივის ღვინო არ მყიდება, ეგ ჩივილი ა'ე უნდა ითარგმნოს, რომ იმ ფასად არ ეყიდება, რომდენიც გულში ჩაუდვია და რაღა იმავე დროს ღვინის მსმელი, ესე იგი, მუშტარნი ჩივის ღვინო ძვირია, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ფასად ვერ უყიდნია, რაც ეძებდა. ეს ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმაა ადებ-მიტეობისა.

ბაზარი ვი, რომ ვერც საქონლი, საყოველთაო სასწორი საქონლის ღირებულებისა თვითვეულის სურვილს ვი არ ეძირჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე, ხან დასწევს საქონლის წარმოების მთელს სივრცეზედ. ტყუილია, თუ ეკონომიური ვითარება საზოგადოდ ისეთია, რომ არ თუნც ღვინოზედ მარტო ერთი კოდი ზური იშოვება, რაც უნდა მაღლა ასწიოს თქვენის ღვინის ფასი, მაინც იმდენას მოგტევენ, რომდენადაც ერთი კოდი ზური იყიდება იმავე დროს და იმავე ბაზარში. თუ არა და ღვინოა, თუ ზური, შინ დაგჩებათ თქვენისავე ახილებით და არა იმიტომ რომ მსყიდველი არ არის. ახა ღვინის გამსყიდველმა-პატრონმა ამ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას შეუტოლოს ღირებულება თავის საქონლისა, თუ ჩვენმა ბაზარმა ყოველივე ე... მოიზიდოს და არ დაიტოვოს. ეგვე ითქმის საზოგადოდ სხვა საქონელზედაც, რადესაც

იმავე დროს და იმავე ბაზარში საქონლის პირდაპირი მხმარებელი ჩივის, საქონელი გაძვირდა.

შეიძლება წად მივდივართ: რამ ჩვენი, თუნდაც ვაშლისიისგან ეგრე დაწუნებული თბილისის ბაზარი იტყოს მთელს ჩვენს ნაწარმებს ღვიძლს და თითქმის არცა ჭყურების, ამის დასამტკიცებლად საკმაოა ვსთქვათ, რამ დღეს თბილისში არამც თუ რაიმე ქართლ-კახეთის ღვიძლს საღებავს, რეგულარულ უწინ, არამედ იმერეთიდანაც დიდ-ძალი ღვიძლს შემოდის. დრო იყო, რამ საფრანგეთიდანაც შემოდის *) და მუშტარს შოულობდნენ.

მაშ რა საბუთი გვაქვს, რამ ვაშლით ჩვენი ღვიძლს ჭარბია ჩვენის ბაზრისათვის? მაშ რას გვიხარის ახლის ბაზრის აჩენა? ღვიძლს დიდ-ფასად ვაკაო, ამბობენ ბ-ნ მუისნეჩის მექამაგენი, ესეიგი, აქაც კიდევ ბევრის ფულის ჩვენში შემოსვლას ხარბობენ. ჩვენც აუკეთ, არა უშავს-არა, თუძრა უკვე კიციით, რამ ფულის სიმრავლე, უკეთუ რიცხვი ერთობ საქონლისა ჩვენს ქვეყანაში იგივეა, არათუქს შეგვმატებს.

ჩვენ ამასვე ვუზახუხებთ, რამ ბ-ნ მუისნეჩის ამხანაგობა დიდ ფასად ვერ იყიდის ჩვენს ღვიძლებს. ჩაიხედეთ ბ-ნ მუისნეჩის ნუსხაში, რამეღვიც მის პრექტორულ დაწესებას წინახვთ, რამ იმ ახლის აზრის იმედით იგი თავს კახურს ღვიძლში თექვსმეტს ბოთლში (ერთს კედრაში) სამს მანათს გვზივდება, ესე იგი, ბოთლში 18³/₄ კაზ. და დაბალ ღვიძლში 7¹/₂ კაზ. თუნგში 37¹/₂ (კედრაში ექვს ახარს). ახა თავ

*) ბ-ნი რიშარი მინამ ბაჟი დამოყენისა ქალაქის ფულით იყო, საფრანგეთის ღვიძლსა ჰყიდდა ქალაქში მთელი ორი წელიწადი ბოთლის ორ ახარათა და მუშტარსაც შოლობდა.

ღვინოში ისიც კახურში და თუნდ დახალ ღვინოებში რომ ებ
 ფასები დაიდვას, დიდი ფასია, თუ იმაზედაც ნაკლები, რაც
 დღეს ჩვენშია, მაშინ რომდესაც, ზოგიერთის სიტყვით, კითხვ
 ჩვენში ღვინო $\frac{9}{10}$ გადასალკრეულია! ახა თუ კაცია ვინმე და
 თავი ღვინო კახეთში მაგ ფასად იყიდოს დღეს. ეგევე ითქმის
 დახალ ღვინოების შესახებაც. ჯერ ჭყაპურტა ღვინოებს ქალა-
 ქის ახლო სოფლებისას თუნგი იყიდება დღეს 50, 60, 70,
 85 და 90 კაპ. და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა კი $37\frac{1}{2}$ კაპ.
 გვპირდება თუნგში. ჯერ აქედამა ჭსჩანს რა განზრახვა და რა
 სურვილი მიუძღვება წინ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას.

ჩვენ დაჰამტკიცებთ, რომ ეგ ამხანაგობა ბოლოს მაგა-
 საც არ შემოგვადღევს, უფრო ძირს დასტემს ჩვენის ღვინო-
 ბის ფასსა.

ფუფი რა კი თავის პირობაში დანიშნულებას გადასცდუ-
 ბა ხოლო, რაკი გასუიდვას სუიდვისათვის არ მოახდენს, არა-
 მედ სუიდვას გასუიდვისათვის, როგორც ბ-ნმა იოსელიანმა
 სამართლიანად ჭსთქვა, მაშინ ფუფი საქონლის სააღებ-მისა-
 ტემო საშუალებად კი არა ხდება, არამედ სააღებ-მისატემო საგ-
 ნად საქონლის საშუალებითა. ამ ყოფაში ფუფს ქვეუ-
 ნის გამდიდრება კი არ მოხდევს, არამედ იმისი, ვის ჯიბიდა-
 მაც ამოდის, რათა იმის ჯიბეშივე უკანვე ჩაკიდეს. უბრალოებ-
 ლად ჯიბიდამ ფუფის ამოსვლა და ჩასვლა ტყუილი ნაცარ-
 ქექობა იქნებოდა. ამიტომაც ფუფი ამ შემთხვევაში მარტო
 იმის სინარბეშია, რომ რაც შეიძლება დიდის მოგებით დაუბ-
 რუნდეს იმავე ჯიბეს, საიდანაც ამოვიდა. მაგ სინარბეს სამზღვა-
 რი არა აქვს. მაგ გზაზედ დამდგარი ფუფი ისეთი კრუნია,
 რომ რაკდენი კვერცხიც გინდათ შეუწყეთ, იმდენს ბარტყს
 ეცდება გამოუჩიკოს თავის პატრონსა.

ბ-ნის მეისნერის ამხანაგობას რომ ხუხსა გაუჩინჯოთ, ვნახავთ, რომ განზრახვათა აქვს გაიტ-ნოს ჩვენადამ 6120 ურემი ღვინო: აქედამ 4320 ურემი ღვინო ბოთლი 31¹/₄ კაპიკად უნდა გაჭყიდოს და 1800 ურემი თაკი ღვინო ბოთლი 70 კაპიკად. მოსაგებად დანიშნული აქვს მანათზე 34 კაპიკი. ახლა იფიქრეთ, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ რომ ამოდენა ღვინო გაზიდოს ჩვენის ქვეყნიდამ, მაგრე იუფადა ჭყიდოს რუსეთში და მაინც მაგკდენი წმინდა მოგება დარჩეს, რა უნდა იქონიოს გულში? ის უნდა ეღვას გულში, რომ რაც შეიძლება ჩვენში ღვინოები იაფად იყიდოს, რაც შეიძლება ფასი ღვინისა ძირს დასწიოს, თორემ შეუძლებელია, მაგ ფასად ჩვენი ღვინო რუსეთში ჭყიდოს და ამით არამც თუ მოიგოს რამე, არამედ დიდი ზარალი არა ნახოს. სამ ახან უჩალოთუნად თავს ღვინოს დღეს ჩვენშიაც ვერ იყიდით, 31¹/₄ კაპიკად იმის მომდევანს ვაინახრობით ძლივს იშოვით ჩვენში დღესაც და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ ან ერთისა ზ ან მეორის ჯუჭის ღვინო როგორ უნდა ჭყიდოს რუსეთში მაგ ფასად? აშკარაა, ან იქ უნდა მოუძატოს ფასი, ან აქაც ჩაღის ფასად ჩაიგდოს ხელში. ამ რაში იმ გზას უფრო დაადგება, რომელიც უფრო ადვილია, უფრო ჭკუაზედ ახლას და ჭკუაში დასაჯდომია.

რუსეთში რომ ჩვენი ღვინოები დანიშნულ ფასებზედ უფრო ძვირად გაჭყიდოს, ხელს არ მისცემს ამხანაგობას. იმიტომ-რომ ერთობ ძვირის საქონლის მუშტარნი მარტო მდიდარი კაცია და მდიდარი ცოტაა უკუღვან და რაც არის, ისიც ჭირკუულია, ქეიფის კაცია, თავის ნებისა არის. გარდა ამისა მდიდარი კაცა რუსეთისა შეჩვეულია სხვა ღვინოებს ევროპიისას და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა, რაც უნდა ეცადოს, ამ მუშ-

ტარს ვერ ჩამოატყის საფრანგეთის ღვინოებს და ჩვენს ღვინოებისაკენ ვერ გადმოიხილებს. ამისათვის, რომ მდიდარის კაცისათვის ღვინო აჩამც თუ მარტო საჭირო და სასიამოვნო სასმელია, აჩამედ თავ-მოასწონებელი და სახელ-განთქმულიც უნდა იყოს. ავი ვამბობთ, რაც უნდა ეცდოს ბ-ნი მეისნერის ამხანაგობა, საფრანგეთის ღვინოებს ვერ გაუტყოს სახელს და ჩვენსაც ვერ მოანიჭებს რუსეთის მდიდარის კაცის თვალებში. მაშასადამე, ერთი ღონე-ღა დაჩჩება ამხანაგობას, რუსეთის შუათანა წრეს ხალხი აიხილოს მუშტრად. ამისათვის ჩვენი ღვინო, რაც შეიძლება, იქ იეთვად უნდა ჰყიდოს, რომ იეუბით ღვინის უჩვეუი ხალხი შეაჩვიოს ღვინოს. უმისოდ იმ 6120 ურუმის გასაღება რუსეთში სანატრული სიზმარი იქმნება.

რაკი ძვირად გასყიდვას ჩვენის ღვინისა რუსეთში მუშტარს ვერ იშოვის, ამიტომაც ბ-ნი მეისნერის ამხანაგობა იმის მიტადინებობაში იქნება, რომ აქ ჩვენშივე სუიდვის დროს ღვინო იეთვად ჩაიგდოს. ამას ძალიან ადვილად მოახერხებს. რაკი ამხანაგობა, ვითარცა ერთი კაცი, იმოქმედებს იმ დიდძალ ფუფითა, რომელიც მას ხელთ-ექმნება. პირველ წელიწადსვე შეუძლიან სულ შემოიფთხოს ყველა ღვინის გაჭარი, რაც კი ეხლას ჩვენში არის. ვინც საჭმით იცის ჩვენის ღვინის საჭმე და არა გაგონითა, ის დაგვერწმუნება, რომ რჩი ათასი თუმანია საჭირო, რომ რაც უკეთესი მარნებია გახეთში სულ ხელში დაიჭიროს. ამას გარდა, შესაძლოა რცა, რჩი რცა ურკში ღვინო თუნდ ას-ას თუმნად დაკიკეთო გახეთში, ამით ფასები დროებით აკწიო, წკრილი გაჭრები შემოვიფთხოს და რაკი ბურთი და მოედანი მე დამჩჩება და სხვა მოცილე არ შეუფლება, დანარჩენი რჩასი და სამასი ურკში

წყლის ფასად ჩავიგდო და ჩასაღ მცხ ურემში წავაგებ ფასუ-
ბის აწევითა, ის ერთი-ორად დაკობილუნო მჩასისა და სმასის
ურემის ფასუბის დაწევაში. ვინ იტყვის, რომ ამხანაგობა, რა-
მეფასაგ განუზრახავს მანათობედ 34 კაპეიკის მოგება, ამას არა
იქმს? აი ამიტომ შორ-მხედველნი მეწინააღმდეგენი ბ-ნ მეის-
ნერის პრექტისა ამბობდენ, რომ მონობელიობა ჩამოვარ-
დება.

თუნდ ებეც არ იყოს და დაკუჭერათ ბ-ნ მეისნერის
მექლმაგეთა, რომ ღვინოების ფასი აიწევას, რაკი რუსეთი ჩვე-
ნის ღვინის ბაზრად შეიქმნება. თუ მართლს ეგჩე იქნება,
დიდ-ძალი ღვინო ჩვენის ქვეყნისა სულ რუსეთისაკენ გაეზი-
დება, დიდ-ძალი ღვინო გავს, მამასადამე ღვინო ჩვენში დაძ-
ვირდება ასე, რომ ამოდენა ხალხი, ღვინის სმას ჩვეული,
ღვინოს თვალით ველაჩა ნახავს, ჯერ იმის გამო რომ ცოტა
იქნება, მეორე იმის გამო, რომ შეძლება არ ექნება დიდ ფასს
შესწავდეს. მამასადამე ეს შინაური ჩვენი ბაზარი აღაგდება,
მეჩე მკვიდრი ბაზარი, რადგანაც დღეს აქამოდე ისეთი მუშ-
ტარი ჭყავს, რომელიც ღვინოში ჩვეულს და მეტად საჭირო
სასაღმეს ხედავს და მის სამაგიეროდ გაიხსნება ისეთი ბაზარი,
საცა მაგ ჩვეულებამ და საჭიროებამ უნდა ახლად ფეხი მოი-
ვიდოს. ცხვირ-წინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით
ახალი ავიჩინოთ. ჩვენდა სამწუხაროდ რომ ეს მოხდეს, აქ
ცხვირ წინ ბაზარი დაკვეთოთ და რუსეთში ავიჩინოთ, მეჩე
ვინ დაკვირდება თავდებად, რომ ამხანაგობა არ გვეტყვის გინ-
დათ ამ ფასად მამყიდეთ თქვენი ღვინო, თუ არა თქვენ თვი-
თონ წაიღეთ რუსეთში: რუსეთში ჩვენ ჩვენს ღვინოს ვერ
წავიღებთ, შინ გასავალი იმოდენა აღარ იქნება და ჩვენ ან

უნდა ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას დავედრებოდეთ, ან კენახები გადავკაფოთ.

ღეღეღს ამას თავი დავანებოთ და მარტო ის წარმოვიდგინოთ, რა ქმნა იმ გარემოებაში, რომ თევზმა და ხიზალაქამ სალხანისამ ახალი ბაზარი აიხინა რუსეთში და ამ საქონლის გაჭრებაში იქით გაიწია? ისა ქმნა, რომ ეგ საყოველთაო საჭმელი ჩვენის ხალხისა საერთოდ, დღეს მარტო მდიდრის სანუგებარი-და შეიქმნა, თევზსა და ხიზალას ეხლა მარტო მდიდარი თუ ხმა-რებს საჭმელად, თორემ სხვას სიზმრადაც აღარ ეზმანება. ვინ გაკეთდა ამით? სალხანის მოიჯარადენი და ხალხი გი, ჩვენი ქვეყანა გადაჩობდა იმოდენად, რომოდენადაც თევზი და ხიზალა დააკლდა. იმოდენად გაკლავდებოდა ჩვენც, რომოდენადაც ჩვენ ჩვენი ჩვეული სასმელი მოგვაკლდება. ეს უგეტკელია. ესევე აზრი წარმოვსთქვა სამეურნო საზოგადოების კრებაში ბარონ ნიკოლაიმ და ამაკე აზრს ბევრი სხვანიც მიემხრნენ.

რასაკვირველია, ბ-ნ მონასტირცევს და სხვას მაგ კვარებს ადვილად შეუძლიან სთქვან: ლჳ, დიდი რამ იქნება თუ ქართველებმა ღვინო არა სკესო. თათრები რომ ღვინოს არა სძენ, კაცები არ არიანო. რომ ვაკბრეყდეთ და ვგრე წავიდეთ რეგორც ბ-ნი მონასტირცევი, განა ჩვენ გი ვერ ვეტყვით: ლჳ, დიდი რამ იქნება თუ ბ-ნ მონასტირცევმა წაღები არ ატარა. განა ცოტანი არიან, რომ თევზშიშველა დაიარებინ. მაშ ისინი კი კაცები არ არიან!

ამისთანა სასატილო აზრს ისევე ბ-ნ მონასტირცევს დაუთმოთ, დეე მაგან მაგ აზრით განაგოს ქვეყანა და ჩვენ ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ბ-ნი მონასტირცევი ჩვენის ბედის გამგებლად თავის დღეში არ იქმნება.

დაგვრჩა ახლა მესამე დაზილება ბ-ნ მეისნერის პრექტი-

სა, სახელდობრ ისა, რომ ღვინოს მე გავაკეთებ, თქვენ
 აღონდ ვენახები აკეთეთ და ბევრი ყურძენი მოყვანეთ. ეს
 რომ მდაბიურად ვთარგმნოთ, ეს არის: «დედეს თქვენ ვენახე-
 ბის მკეთებელიცა ხართ და ღვინოსაცა. რაკი თქვე წარ-
 მოება ხელთ გიჭირავთ, ჭსჩინს ერთი დამაცა ჩამქს ხეიჩს
 ხედავთ და მერდი დამაცა. მოდით ერთი წარმოება მაგ
 თრისაგან მე დამითქეთ, ისეთი რომელიც უფრო ფაქიზია
 და სამუშაოდ უფრო ადვილი, ესე იგი, ღვინოს კეთება.» მე-
რე ჩვენ რას გვადლეკთ მის სამაგიეროს, სახელდობრ, იმის
სახეცად, რაც ღვინოს კეთება ვენახის კეთებასთან, ერთად
ჩვენ ხეიჩს გვადლეკდა, ვკითხავთ ჩვენ? არაფერსა. თქვენი
ხეიჩი ეს იქნება, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვე-
ნი ღვინო, იმასაც თქვენ კი არ დაგალეკინებთ, რუსეთში
გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნება და სახრავი
კი ჩემი. თქვენ მარტო ვენახებს კეთებაც გეუბრათ.

აი ყოველთვის ამისთანა შედეგი აქვს, რაცა ეგრედ
 წოდებული გაპიტალობრივი წარმოება თავს ამოჭყდის ხელ-
 მე ქვეყანაში და თებს მოიკიდებს. აი სწორედ ამის გამო
 ამბობს ერთი გამორჩენილი მეცნიერი, რომ «გაპიტალობრივი
წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელ-
ში არ შეარჩენს წარმოების საშუალებასა და ცდილობს
მარტო მისის მარჯვენის ანაბრას დაავდოს და სხვა ყოვე-
ლისთვის ჩამოართვას.»

ჩვენ ძალიან გძლად მოგვივიდა ეს ლაპარაკი და ამიტო-
 მაც ამ საგანზედ, რომელიც ადვილად მისახვედრია თავისთა-
 ვდაც დიდხანს ვერ შეკუდგებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ
ბ-ნ ელიზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მი-
წასაც ხელიდამ გამოგვაცდის, საუურადღებო და ძნელად და-

საწლევი საბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა ჭსთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც როგორც ფინანსისტს თითქმის ცალი არა ჭყავს მთელს ქვეყნიერებაზედ: «**ღეღი - უკელაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) უფა-ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოდენდაც ძლიერ-ბევრდებს უმაღლეს წოდებათა ხელში სიძლიდრე და იზდებს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლ-დება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობს და სიღატაკე მატულობს მუშა ხალხს შორისო.**»

იმოდენა ფუფით სიძლიდრე არსად არ არის, როგორც ინგლისში და მის მხარ და მხარ ისეთი სიღატაკეა უძრავლე-სობისა, რომ ამბდაც ძნელი დასაჯერია. პრუსიამ ხუთი-ათასი მილიონი ბაჟალლო რქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხადა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შე-მოსკლისვე უმაღ ხალხის განიზვნამ პრუსიიდან იმატა, რად-განაც არაქათი ცხოვრებისა აღარ იყო.

ამ სახით, რა მხრითაც უნდა მიკუდგეთ ბ-ნ მეისნერის პრექტს, რომელი აღთქმა ზ დაპირებაც არ გავსინჯოთ, ვნა-ხავთ რომ მასში ჩვენი სახეირო არ არის-რა და საკნებელი კია. ასეც იცნო კავკასიის სამეურნო საზოგადოებამ ბოლოს და უარ-ჭყო იგი პრექტი.

აანცხალეზანი.

მომავალს 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამითა და წესით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალის თანამშრომლებისა და სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავალს წლიდან გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვალებების შემთხვევაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დაჩხებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალავნის უბანში, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: — ჭიჭიძეების წიგნის მაღაზრიაში, ბუჯაკთან.

ბათუმში: ლევ. მჭედლიძეებთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხრაკებთან ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „ДРОЭБА“

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით:	—	—	—	—	—	—	—	—	9 მან.
ნახევარის წლით	—	—	—	—	—	—	—	—	5 „
სამის თვით	—	—	—	—	—	—	—	—	3 „
ერთის თვით	—	—	—	—	—	—	—	—	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრის ფული ხელის-მოწერის გაზეთის დაბრუნებისთანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხრაკებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

სახელმწიფო და სალიტერატურო გაზეთი

«შ რ მ ა»

მომავალს 1883 წელს

გამოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა:

ქუთაისში: ჭედაჭედაში, თბილისის ქუჩ., ქუროთრევის
სახლში.

თბილისში: შაკერდრავის სასტუმროში.

გაზეთის ფასი: წლით — შვიდი მან., ექვსის თვით — ოთხი მან., სამის თვით — ორი მან. და ხუთი შაური.

საფორტე ადრესი:

Кутаисъ, въ редакцію газеты «ПРОМА.»

ОБЪ ИЗДАНИИ

ВЪ 1883 ГОДУ

ЕЖЕНЕДЕЛЬНАГО ЮРИДИЧЕСКАГО ЖУРНАЛА

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ третій).

Журналъ какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, въ размѣръ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ текста, кромѣ приложений, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории и практики права и судопроизводства, перечень, изложеніе и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства, краткіе отчеты (а въ случаяхъ важныхъ стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, особенно интересныя гражданскія рѣшенія, случаи изъ судебной жизни и

практики (разныя извѣстія), корреспонденции юридическаго содержанія, городская хроника, перечень новыхъ книгъ юридическаго содержанія и обзоръ печати, тезисы кассационныхъ рѣшеній: правительствующаго сената и Тифлисской судебной палаты, судебный указатель и пр.

Редакція журнала—Тифлисъ, Давидовская ул., д. Кананова.


Администрація (для приѣма подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. Меликова.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересилкою: на годъ — 10 р., на 9 мѣс. — 8 р. 20., на 6 мѣс. — 6 р., на 3 мѣс. — 3 р. 20 к. и на 1 мѣс. — 1 р. 20 к.

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—Отдѣльные номера по 25 к.—Объявленія, казенныя и частныя, по таксъ за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ Москву, и С.-Петербургъ въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Издатель А. С. Френкель. Редакторъ А. В. Степановъ.

(Присяжный повѣренный)



ლეონ გამბეტა (ნეკროლოგი).

19 დეკემბერს 1882 წ. ლამის თორმეტ საათზედ და-
ღია სული იმისთანა კაცმა, რომლის სიკვდილმაც მერე დღეს
დამდგარი ახალი წელიწადი საფრანგეთს ბედნიერ დღის მა-
გივრად უბედურ დღედ შეუცვალა. დაღია სული ლეონ გამბე-
ტამ, საფრანგეთის რესპუბლიკის დამაარსებელმა, თორმეტის
წლის განმავლობაში დაუღალავმა დარაჯმა, რომ მის ნაამაგ-
დარის რესპუბლიკის მშვიდობიანობა არავის შეეწყია და რეს-
პუბლიკა მონარქიად არ გადაექცია. ამ მოულოდნელმა სიკვდილ-
მა შესძრა მთელი საფრანგეთი, მთელი ევროპა, მთელი ჰემი-
სფერა... რჩის სიტუკით გამბეტას მნიშვნელობის გამოთქმა ძნე-
ლიც არის და ცოცხალ არის. ჩვენი ყურნალი ამ გასაოცარ
კაცზედ ცალკე წერილს დაბეჭდავს მომავალს იანვრის წიგნში,
ესლა კი მის მნიშვნელობის საჩვენებლად მოვაკონებთ მკით-
ხველებს, რომ თვით სხვა-და-სხვა ხელმწიფეებმაც კი მწუნა-
ხარება განუცხადეს გამბეტას მეგობართა და ნათესავთ, იმ კა-
ტის ნათესავთ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ებრძო-
და თავის ჰემის ბედნიერებისათვის. გამბეტა დაასრულავეს
პარიზში 25 დეკემბერს ისეთის დიდებით, რომლის მზგავსი,
გგონებთ, არც ერთს მომაკვდავს არა ღირსებია.

განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზე» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიისა» რედაქციაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პრესპექტზედ (ბუღვარზედ), მანანოვის სახლებში № 9 ბ აგრეთვე შაგერდოვის სააგენტოში.

ქადაქს გარეშე ხელის-მოწერით წერილი ბ ფული შემდგობის აღწესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აღწობონ რედაქციას.